

საერთაშორისო კონფერენცია

საზოგადოება და ისტორიული გარემო

კონფერენციის მასალები

International Conference

Community and Historic Environment

Proceedings

თბილისი 2012 Tbilisi

საერთაშორისო კონფერენცია

"საზოგადოება და ისტორიული გარემო"

20-22 სექტემბერი, 2011

კონფერენციის მასალები

International Conference

COMMUNITY AND HISTORIC ENVIRONMENT

20-22 September, 2011

Proceedings

ICOMOS საქართველო
ICOMOS Georgia
2012

პროექტი დააფინანსა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ
The project is funded by Ministry of Foreign Affairs of Norway

კონფერენციის ორგანიზატორები:
Organisers of the Conference:

ICOMOS საქართველო
ICOMOS Georgia. http://icomos.org.ge

ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის (Riksantikvaren)
Riksantikvaren (Cultural Heritage Directorate of Norway). http://www.riksantikvaren.no

კონფერენციის პარტნიორები:
Partners of the Conference:

ბრიტანეთის საბჭო, საქართველო
British Council, Georgia. http://www.britishcouncil.org/ge

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
National Parliamentary Library of Georgia. http://www.nplg.gov.ge/

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation. http://gch-centre.ge

პროექტის ხელმძღვანელი - მერაბ ბოჭოიძე ICOMOS საქართველო
Project Leader - Merab Bochoidze ICOMOS Georgia

თარგმანი - მანანა თევზაძე, მიხეილ ნიშნიანიძე, მარინე ყენია, ნატო ცინცაბაძე
Translation - Marine Kenia, Michael Nishnianidze, Manana Tevzadze, Nato Tsintsabadze

კომპიუტერული დიზაინი - თამაზ ჩხაიძე
Computer design - Tamaz Chkhaidze

ავტორთა სტილი დაცულია
Authors' texts are presented as submitted by the authors

ICOMOS საქართველო
ბეთლემის აღმართი 16 ბ
0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 298 45 27
ელ-ფოსტა: icomosge@gol.ge
http://www.icomos.org.ge

ICOMOS Georgia
16B, Betlemi ascent
0105 Tbilisi, Georgia
tel.: (+995 32) 298 45 27
e-mail: icomosge@gol.ge
http://www.icomos.org.ge

© ICOMOS საქართველო. ICOMOS Georgia. 2012
© Authors. ავტორები. 2012
All copyright issued on the images are responsibility of the authors

ISSN 1987-8265

UDC (უაკ) 7.025+351.85
ს-174

2011 წლის 20-22 სექტემბერს, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველო) და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის (Riksantikvaren) ორგანიზებით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია -"**საზოგადოება და ისტორიული გარემო**". ღონისძიება დააფინანსა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა ცნობილი საერთაშორისო ექსპერტების მოხსენებები და მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობის ამსახველი ისტორიული გარემოს დაცვის პროექტების ფართო სპექტრი ნორვეგიიდან, კანადიდან, ICCROM, დიდი ბრიტანეთიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, აშშ-დან, ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, ეგვიპტიდან, ესტონეთიდან, რუსეთიდან, საქართველოდან.

კონფერენციის ფოკუსი იყო თბილისის ისტორიულ ნაწილში განხორციელებული მრავალწლიანი პროგრამა: **ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია** და, შესაბამისად, ძველი თბილისის პრობლემატიკა. კონფერენციის შემაჯამებელი დისკუსიის (22.09.11.) შედეგად, შემუშავდა კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი დოკუმენტი - **გაკვეთილები და რეკომენდაციები**. წინამდებარე გამოცემაში შესულია ამ კონფერენციის მასალები.

On 20-22 September, 2011 International Conference - **Community and Historic Environment** was held in Tbilisi, Georgia. The Conference was funded by the Ministry of Foreign Affairs of Norway and organised by ICOMOS Georgia and Riksantikvaren (Cultural Heritage Directorate of Norway).

During the Conference, keynote speakers and experts from Norway, Canada, ICCROM, UK, Ukraine, Italy, USA, Bulgaria, Croatia, Egypt, Estonia, Russia, Spain and Georgia presented theories, practices and cases highlighting importance of involvement and participation of communities and wider public in the urban heritage preservation.

The focus of the Conference was Betlemi Quarter Revitalisation Programme in Tbilisi and, respectively, problems of Tbilisi Historic District. As a result of the final discussions (22.09.11.) and brainstorming among the Conference participants, Lessons Learnt and Recommendations were elaborated. The publication presents proceedings of the Conference.

საერთაშორისო კონფერენცია "საზოგადოება და ისტორიული გარემო".
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 20 სექტემბერი, 2011
International Conference - Community and Historic Environment. National Library of Georgia. Tbilisi, 20 September, 2011

კონფერენციის მონაწილეთა ვიზიტი ბეთლემის უბანში. თბილისი, 20 სექტემბერი, 2011
Participants of the Conference visiting Betlemi Quarter. Tbilisi, 20 September, 2011

სარჩევი

დაგ მიკლებასტი
ღირებულებათა დაცვა - საზოგადოება და მემკვიდრეობის დაცვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში 7

ჰერბ სტოუველი
ღირებულებათა დაცვა - საზოგადოება და მემკვიდრეობის დაცვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში 8

ნატო ცინცაბაძე
ადგილობრივ თემზე დაფუძნებული ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია 14

ზვიად არჩუაძე
ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე 21

ლუიზა დე მარკო
გენუის ახალი იმიჯის შესაქმნელად პროექტთა მოზაიკის მართვა 23

რინ ალატალუ
საზოგადოება და ისტორიული გარემო, ტალინის მაგალითი 31

დუნკან მაკკალამი
ისტორიული ურბანული არეალების გაუმჯობესება ინგლისში: კვლავაც ვსწავლობთ ამდენი წლის შემდეგ 36

ერლენდ გიელსვიკი
რაროსის გამოცდილება - საზოგადოების ჩართულობა და პასუხისმგებლობის განაწილება 44

ოლენა ოლეინიკ
კიევის წმ. სოფიას ტაძრის და მასთან დაკავშირებული სამონასტრო შენობების ბუფერულ ზონაში ურბანული რეკონსტრუქციის პროექტების ორგანიზაციის პრინციპები 54

ნაბელ ჰამდი
თანამონაწილეობა, პარტნიორობა, ადგილის მართვა 75

ანდრეი ივანოვი
რევიტალიზაცია ქვემოდან: რუსეთის და შვედეთის ხის ქალაქების მაგალითები 80

აბდელჰამიდ სალაჰ აბდელჰამიდ საიედი
ეგვიპტის მიწის არქიტექტურის ასოციაცია 88

ალექსანდრე ელისაშვილი
სამოქალაქო საზოგადოების როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, "ტფილისის ჰამქარის" მაგალითზე 91

რადოსვეტა კიროვა
უძველესი მემკვიდრეობა პანელურ კორპუსებს შორის. ვილა რუსტიკა, ჰაჯი დიმიტარის უბანი, სოფია 96

გორან ნიკჟიჩი
სპლიტი - მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაცია 98

იუკა იოკილეტო
მოსაზრებანი საზოგადოებასა და ისტორიული გარემოს შესახებ 104

CONTENT

Dag Myklebust
Maintaining values - Communities and heritage preservation in a market economy perspective 7

Herb Stovel
Maintaining Values - Communities and Heritage Preservation in a Market Economy Perspective 8

Nato Tsintsabadze
Community Based Betlemi Quarter Revitalisation, Old Tbilisi, Georgia 14

Zviad Archuadze
New Life of Old Tbilisi 21

Luisa De Marco
Managing a mosaic of projects towards a new image for Genoa 23

Riin Alatalu
Community and Historic Environment, Case Study - Tallinn 31

Duncan McCallum
Improving Historic Urban Areas in England: Still Learning after All These Years 36

Erlend Gjelsvik
The Røros Experience - Public Involvement and Shared Responsibility 44

Olena Oliynyk
The Principles of Organizing Urban Redevelopment Projects in the Buffer Zone of the St. Sophia Cathedral and Related Monastic Buildings in Kiev 54

Nabeel Hamdi
Participation, Partnership and Governance of Place 59

Mary Kay Judy
Taos Pueblo Preservation Program (TPPP), New Mexico, USA 75

Andrey Ivanov
Revitalization from below: cases of Russian and Sweden wooden towns 80

Abdelhamid Salah Abdelhamid Sayed
The Egyptian Earth Construction Association (EECA) 88

Alexander Elisashvili
Role of Civil Society in Heritage Protection, Case: Tiflis Hamqari - Union of Tbilisi Caretakers 91

Radosveta Kirova
Ancient Heritage among the Panel Blocks.Villa Rustica, Hadji Dimitar Quarter, Sofia 96

Goran Nikšic
Split - Conservation of a World Heritage Site 98

Jukka Jokileto
Considerations on Community and Historic Areas 104

დაგ მიკლებასტი
ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი

ღირებულებათა დაცვა - საზოგადოება და მემკვიდრეობის დაცვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ანოტაცია

დასაწყისში წარმოდგენილი იქნება თბილისის სახე უცხოელის თვალთახედვით, მხატვრებისა და მწერლების თვალით დანახული, რომელთა შორის არიან ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი და დანიელი მხატვარი და მწერალი ჰანს შერფიგი.

ძველი თბილისის ღირებულებათა გააზრება არსებითია სამომავლო გეგმების შედგენისას და ხშირად გარეშეს თვალთახედვა შეიძლება დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ რა კულტურული კაპიტალის პატრონები ვართ.

თბილისის მართვა საბაზრო ეკონომიკის წიაღში მიმდინარეობს. პროფესორი სტოუველი განიხილავს საბაზრო ეკონომიკის ზემოქმედებას მემკვიდრეობის მართვაზე. მართალია, თავიდან მას პოზიტიური ეფექტი ჰქონდა, რადგან მნიშვნელოვანი შეღავათები მოჰქონდა მემკვიდრეობის ობიექტებისთვის, მაგრამ მრავალ ქვეყანაში შეინიშნება წინდაუხედავი განვითარებისთვის მემკვიდრეობის შეწირვის ტენდენცია. ამ დებულების საილუსტრაციოდ, უმთავრესად, კანადის მაგალითებია მოხმობილი. ხაზგასმულია მემკვიდრეობის ღირებულებებზე დაფუძნებული მენეჯმენტის საჭიროება.

ბატონი მიკლებასტი წარმოადგენს “თემის” კონცეფციას, რომელიც განვითარებულია ფაროს კონვენციაში - ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციაში მემკვიდრეობის როლის შესახებ საზოგადოებაში; საქართველო კონვენციას ამ წლის დასაწყისში შეუერთდა.

მოხსენების ბოლო ნაწილში მან ისაუბრა მემკვიდრეობის ღირებულებათა ანალიზის სისტემაზე.

Dag Myklebust
Norvegian Directorate for Cultural Heritage Preservation "Riksantikvaren"

MAINTAINING VALUES - COMMUNITIES AND HERITAGE PRESERVATION IN A MARKET ECONOMY PERSPECTIVE

ABSTRACT

The starting point is the image of Tbilisi seen from a foreign viewpoint, through the eyes of artists and writers, among them Norwegian Nobel Laureate in literature Knut Hamsun, and the Danish painter and writer, Hans Scherfig.

To understand the values of Old Tbilisi when you are planning for the future, is essential, and often a look on things from the outside can be helpful to understand what kind of cultural capital you possess.

The management of Tbilisi takes place within a market economy. Professor Stovel examines the effect of market economy on heritage management. From having had a positive effect providing valuable incentives for heritage conservation objects, there is in many countries a tendency towards sacrificing the heritage for short sighted development. This is illustrated with examples mostly from Canada. This underlines the need for a value based heritage management.

Mr. Myklebust presents the community concept as it is developed in the Council of Europe's framework convention on the role of heritage in society, the Faro Convention, which Georgia acceded to earlier this year.

Finally he presents a system for heritage value analysis.

Nobel Laureate in literature **Knut Hamsun**
ნობელის პრემიის ლაურეატი, მწერალი **კნუტ ჰამსუნი**

ჰერბ სტოუველი
კარლტონის უნივერსიტეტი

ღირებულებათა დაცვა - საზოგადოება და მემკვიდრეობის დაცვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

წარადგინა **დაგ მიკლებასტმა**

ბეთლემის პროექტზე მუშაობას გამოარჩევს თემზე ორიენტირებული მიდგომისადმი ერთგულება და იგი დაფინანსებულია საერთაშორისო დონორების მიერ: მსოფლიო ძეგლთა ფონდი, სამუელ ჰ. კრესის ფონდი, UNESCO კულტურული მემკვიდრეობის დივიზია, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და შვეიცარიის საგანგებო ვითარებათა ფონდი. თუმცა, ასეთი კონფერენციის მიზანია, გამოვავლინოთ სიცოცხლისუნარიანი საშუალება, რომლის მეშვეობით მემკვიდრეობის კონსერვაციის ამოცანათა მიღწევა გრძელ-ვადიან პერსპექტივაში, ბეთლემში, შესაძლებელი იქნება საერთაშორისო დაფინანსებაზე დამოკიდებულების გარეშე. დღევანდელი საქართველოსთვის ეს ნიშნავს “საბაზრო ეკონომიკის” ფარგლებში მოქმედებას. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, ე.წ. “უკეთეს დროში”, გრანტებისა და საგადასახადო შეღავათების უზრუნველყოფით და მემკვიდრეობის კონსერვაციის მიზნების მისაღწევად, საზოგადოებრივი სექტორის შესაბამისი ინსტიტუციონალური გაძლიერების წახალისებით, მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერით, მემკვიდრეობის კონსერვაციის დარგში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხოციელდა. ამჟამად შექმნილ ვითარებაში, გლობალური რეცესიისა და მიმდინარე ფინანსური არასტაბილურობის ფონზე, მთავრობები ყველა დონეზე თავის პოლიტიკას აფუძნებენ იმ კონცეფციას, რომ წინა მთავრობებმა ზედმეტი დახარჯეს, რომ ახლა უნდა შემოვიჭიროთ ქამრები, რათა თავი დავაღწიოთ დეფიციტს, რომ ხარჯები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ “აუცილებელი მომსახურებით” და “ქონი” ჩამოეჭრას საზოგადოებრივი სექტორის პროგრამებს. ამ გამოცდილებამ ნათლად აჩვენა, თუ სინამდვილეში რამდენად მყიფე ყოფილა ერთგულება მემკვიდრეობის კონსერვაციისადმი ჩვენს საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ გარემოში და რაოდენ სწრაფად დაიხევს უკან ხელისუფლება იმისგან, რაც მის მუდმივ ვალდებულებად გვესახებოდა. ასევე სხვადასხვა შემთხვევებში გამოვლინდა, რომ არსებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ვალდებულებებს გადასარჩენად სათანადო საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარდაჭერა არ გააჩნდა.

Herb Stovel
Carleton University

MAINTAINING VALUES - COMMUNITIES AND HERITAGE PRESERVATION IN A MARKET ECONOMY PERSPECTIVE

Delivered by **Dag Myklebust**

The work on the Betlemi Project in Georgia is underlain by a commitment to community based approaches, funded by international sources: World Monuments Fund, Samuel H. Kress Foundation, UNESCO Cultural Heritage Division, Norway Funds-in-Trust, and the Swiss Emergency Foundation. But the goal of such a conference is to seek sustainable means by which heritage conservation goals may be achieved over the long term in Betlemi, without ongoing dependence on international funding. This means for current day Georgia doing so within a "market economy" framework. While market economies have supported much useful heritage conservation work around the world for the last several decades, providing helpful incentives and grants when "times were good" and encouraging strong accompanying institutional public sector led growth to attain heritage conservation objectives, in our current circumstances, in the face of global recession and continuing financial uncertainty, many governments at all levels have based their policies on the perception that past governments have overspent, that we have to tighten belts to overcome long acquired deficits, and that we must limit spending to "core services" and cut the "fat" from public sector programmes. These experiences have revealed how very fragile that the commitment to heritage conservation in our legislative and institutional frameworks really is, and how quickly governments will back away from what might have been assumed to be permanent commitments. They have also revealed in many cases that the same legislative and institutional commitments have not enjoyed sufficient community and political support to survive.

There are many examples of "backsliding" and I will draw most of these from my own country, Canada.

- The "soft approach"/ "mature approach" to heritage conservation is vulnerable. This approach, where conservation initiatives often rest at policy level (short of full legislative commitment), where legislative commitments to designation and conservation are subject to over-ride by elected officials and where it is believed that conservation goals are best achieved by thoughtful compromise and negotiation around legitimate competing interests, is helpless in the face of economic downturns. The long discredited conservation myths quickly emerge from the woodwork (we can't afford conservation; heritage designation reduces property values, we

"უკუსვლის" მრავალი მაგალითი არსებობს და აქ ჩემი ქვეყნის, კანადის გამოცდილებას შევეხები.

- "რბილი მიდგომა" / "მოწიფული მიდგომა" მემკვიდრეობის კონსერვაციისადმი სუსტი და დაუცველია. როდესაც საკონსერვაციო ინიციატივა ხშირად მხოლოდ პოლიტიკის დონეზე რჩება (სრული საკანონმდებლო უზრუნველყოფის გარეშე), როდესაც საკანონმდებლო ვალდებულებები მემკვიდრეობის მიმართ შეიძლება იგნორირებულ იქნას არჩეული ჩინოვნიკების მიერ, როდესაც მიჩნეულია, რომ კონსერვაციის მიზნები საუკეთესოდ მიიღწევა ლეგიტიმურ ინტერესთა კონფლიქტის გარშემო მოლაპარაკებებისა და გააზრებული კომპრომისის გზით, ეს მიდგომა, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, უსუსურია. ძველ დისკრედიტირებულ კონსერვაციულ მითებს (კონსერვაცია ჩვენთვის ფუფუნებაა; მემკვიდრეობის სტატუსი ამცირებს ქონების ღირებულებას; უნდა გამოვიკვლიოთ განვითარებისა და ინვესტირების შესაძლებლობანი ჩვენი ეკონომიკის დასაცავად და ა.შ.) ემატება ახალი მითები (ურბანულ მოუწესრიგებლობასთან გამკლავება მოითხოვს მემკვიდრეობის უბნების გაწირვას) და მუნიციპალური საბჭოები იწყებენ დაცული შენობების დანგრევაზე ნებართვის გაცემას.
- "მკაცრი / ხისტი მიდგომა" მოკლევადიანი მოქმედებისაა და არ გამოდგება გრძელვადიან პერსპექტივაში (მომავალში შეიცვლება). მემკვიდრეობის მიმართ მუდმივი საკანონმდებლო ვალდებულებების ინტერპრეტირება ხდება იმგვარად, რომ ეს ვალდებულებანი შესუსტდეს ან მოერგოს გარკვეულ ინტერესებს. ცენტრალური ხელისუფლება არ იყენებს არსებული კანონმდებლობით უზრუნველყოფილ უფლებას ჩარევისა (სხვა სიტყვებით, მთავრობა არ იცავს საკუთარ კანონმდებლობას). მცირდება იმ პროგრამების მასშტაბები, რომლებიც ასოციარებულია საკანონმდებლო ვალდებულებასთან. ამ პროგრამებში მომუშავე პროფესიონალთა ხმა ჩახშულია და დაფინანსება იმ ზომამდე მცირდება, რომ რესურსები ხელიდან გეცლება და საფრთხის ქვეშ დგება (ცუდი მეპატრონის სინდრომი), ხოლო პრივატიზაცია პოზიტიურად გვეჩვენება. ამის პარალელურად, არჩეული ჩინოვნიკები იწყებენ საკანონმდებლო ვალდებულებათა საფუძვლების მოშლას - განსაზღვრავენ საშიშ ფინანსურ რისკებს, რომელიც მოჰყვება საზოგადოებრივ ვალდებულებას მემკვიდრეობის

need to identify and exploit development/ investment opportunities to right our economies, etc), are joined by new myths (currently: intensification to reduce urban sprawl requires sacrificing heritage districts), and Municipal Councils begin to approve demolition of protected buildings. (Pictures: oldest buildings in Rockcliffe in Ottawa, protected by designation, demolished; Lansdowne Park (Ottawa) imminent demolition - Sullivan building (student of FL Wright), designated, to be demolished; core of Port Dalhousie Heritage Conservation District, protected by designation, but designation over-ruled by OMB (Ontario Municipal Board) to permit demolition of a dozen structures for a 17 storey tower).

- The "hard approach" is worked around in the short term, and discredited in the long term (preparing for replacement). Permanent legislative commitment to heritage is interpreted in ways which bend or lessen commitment. Opportunities for Ministerial intervention enabled by legislation are not taken up (in other words, Government does not defend its own legislation) The scope of programmes associated with legislative commitment is reduced. Professional voices working in these programmes are stilled. And funding is reduced to levels where resources deteriorate and are at risk (bad landlord syndrome) and privatization begins to look good. In parallel, elected officials also work to undermine the basic precepts on which the legislative commitment depends - defining the fearsome financial risks accompanying a public commitment to maintaining heritage - and thus building long term support for doing away with the legislation, and with the associated programmes. (Pictures: National Historic Sites in Canada not eligible for financial support; Parks Canada owned sites not maintained).
- As vulnerable as the soft and hard approaches in difficult financial times, heritage which has not been included in even simple reference lists is at very high risk, in our current economic circumstances. Whether such omissions are conscious or unconscious, whether the properties can be seen to have strong heritage value or not, the consequences of a lack of official recognition at any level can be very destructive in the face of proposed development for such sites. (Pictures: Brantford, Ontario - demolition of 41 core downtown buildings, all pre-Confederation (pre-1867) - all demolished summer 2010; view of Legislative Assembly Building (1893) in Toronto - protected views of roof line silhouette - until recent ruling by OMB (Ontario Municipal Board) paved way for two 60 storey towers).

The strong turn to the political right in decision-making in many western countries looking for ways to re-build their economies has quickly found a group of professionals and scholars prepared to trumpet academic arguments for reducing public commit-

მოვლა-პატრონობისადმი - და ამით დიდი ხნით უზრუნველყოფენ საკანონმდებლო ვალდებულებისა და მასთან ასოცირებული პროგრამების გაუქმებას.

- რთულ ფინანსურ ვითარებაში დაუცველია როგორც რბილი, ისე ხისტი მიდგომა, ხოლო ის მემკვიდრეობა, რომელიც საერთოდ არ არის რეგისტრირებული, ძალიან მაღალი რისკის ქვეშაა დღეს არსებულ ეკონომიკურ ვითარებაში. სულ ერთია, მემკვიდრეობად არ აღიარება გამიზნულად ხდება, თუ გაუცნობიერებლად, ნაგებობათა მემკვიდრეობითი ღირებულება მაღალია თუ არა, ნებისმიერ დონეზე მემკვიდრეობად ოფიციალური არ აღიარების შედეგები ძალზე სავალალო შეიძლება იყოს ამ შენობათა სავარაუდო განვითარების პირისპირ.

დასავლეთის მრავალ ქვეყანაში, რომელიც ეძიებს ეკონომიკის აღდგენის გზებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკური გადაწყვეტილებებისკენ მკვეთრ შემობრუნებას მალევე მოჰყვა იმ პროფესიონალთა და მკვლევართა წინწამოწევა, ვინც სამეცნიერო არგუმენტების საფუძველზე კონსერვაციისადმი საზოგადოებრივი ვალდებულებების შემცირებას უკიჟინებენ. ურბანისტ-ეკონომისტის ედუარდ გლასერის ბოლოდროინდელ დაკვირვებებს (The Triumph of the City), რომელიც ამცირებს მემკვიდრეობის კონსერვაციის როლს მეხსიერების, მომხიბვლელობის, ქალაქების ხასიათის, მათი *genius loci*-ს ჩამოყალიბებაში და ამ ქალაქების საცხოვრებლად თუ მოსანახულებლად მიმზიდველობის შექმნაში, ყველგან აპლოდისმენტებით ხვდებიან და მის შეხედულებებს აუცილებელი ახალი პრაგმატიზმის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ. ჯეინ ჯაკობის მიერ ჩამოყალიბებული ურბანული ზრდის წესები (ყოველ შემთხვევაში ის, რომლის თანახმად ქალაქის განვითარება დანახულია როგორც დანამატი, დაფუძნებული ძველი შენობების უნარზე, შექმნას და საზრდო მისცეს სავაჭრო და სოციალურ ურთიერთობათა ზრდას, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჯანსაღი ურბანული გარემოსთვის და რომელიც შეზღუდავდა ქალაქის სიმაღლეში განვითარებას) გვერდზეა გადადებული, რათა წაახალისონ ურბანული ზრდის ის მოდელი, რომელიც მომავალში შეზღუდავს კონსერვაციას მაღალსართულიანი და მაღალი სიმჭიდროვის ურბანული სამეზობლოების სასარგებლოდ. გლასერის მომავლის ქალაქებში განათლება მნიშვნელოვანია, მაგრამ ქალაქების უნარი, მოყვეს ისტორიები, გააძლიეროს, ჩამოაყალიბოს და ისწავლოს მოგონებებიდან, რომელიც ჩაბუდებულია ჩვენს მდუმარე ისments to conservation. The arrival of urban economist Edward Glaeser's recent observations (The Triumph of the City) which diminish the role played by heritage conservation in shaping memory, appeal, the character of cities, their genius loci, and generally in making them attractive to use, visit, live in is being applauded everywhere and his views seen as a part of the necessary new pragmatism. Jane Jacob's rules for urban growth, at least those that envision appropriate city development as incremental, built on the power of old buildings to create and nurture the growth of mercantile and social exchanges critical to urban health and which would limit high rise growth, is set aside tom promote an urban growth model which would limit future conservation in favour of a commitment to high density, high rise urban neighbourhoods. Education is important in Glaeser's cities of the future but the ability of cities to tell stories, and to foster, shape and learn from the memory imbedded in our inanimate historic and cultural environments, is completely over-looked. High rises are defended as supporting the public interest in the green economies of concentrated urban populations, but no credit is assigned the public interest in heritage conservation. Such thinking may appear to be far away from Betlemi but it is becoming increasingly fashionable in the western world economies and governments that have funded work in Betlemi, and it is just a matter of time before this thinking begins to leak into the world of international co-operation for conservation. Maybe not in Norway, but the USA and Canada are quickly buying in to this approach.

There is no single formula for urban conservation efforts in western world market economies jolted by the recent recession, but there are a number of key considerations which should be explored and perhaps adapted in developing long term urban conservation strategies for Betlemi. I've listed the most important of these below:

- The "soft approach" is always more desirable than the "hard approach", but its ability to achieve conservation goals depends upon building a sustainable community-up "culture of conservation" - a kind of DNA bound commitment that doesn't depend on legislative support, and one which finds its way into the evolution of political thinking. This requires building a social movement for cultural heritage every bit as strong as social movements built for protecting the natural environment, or for women's rights - and that has not happened for cultural heritage, not yet. And building that social movement may require more uphill efforts than staunch professionals can imagine. For one thing, jurisdictions that make high level commitments to conservation become perceived as promoting elitist approaches, against progress for the city, isolating heritage from the community. Expert driven evaluation processes which promote consolidated elitism, not of the educated amateur, but of the dedicated professional can undermine

ტორიულ და კულტურულ გარემოში, აბსოლუტურად იგნორირებულია. მაღალსართულიანობას იგი იცავს, როგორც კონცენტრირებულ ურბანულ დასახლებებში ე.წ. მწვანე ეკონომიკისადმი საზოგადოებრივი ინტერესის ხელშემწყობ ფაქტორს, მაგრამ არაფრად აგდებს საზოგადოებრივ ინტერესს მემკვიდრეობის კონსერვაციისადმი. ასეთი აზროვნება შეიძლება ბეთლემისგან დაშორებული მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი სულ უფრო მოდური ხდება დასავლეთის სამყაროს ეკონომიკასა და ხელისუფლებისთვის, რომლებიც აფინანსებდნენ სამუშაოებს ბეთლემში. მხოლოდ დროის საკითხია, როდის შეაღწევს ეს დამოკიდებულება მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სამყაროში. შესაძლოა, ნორვეგია არა, მაგრამ ა.შ.შ და კანადა სწრაფად იხრებიან ამ მიდგომისკენ.

არ არსებობს ურბანული კონსერვაციის რაიმე ერთი ფორმულა ბოლოდროინდელი რეცესიისგან შეჯანჯღარებული დასავლური სამყაროს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ არსებობს რამდენიმე საკვანძო მოსაზრება, რომელიც უნდა გამოკვლეულ და, იქნებ, ადაპტირებულ იქნას ბეთლემის უბნის გრძელვადიანი ურბანული კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავებისას. ქვემოთ მოყვანილი მაქვს ამ მოსაზრებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი:

- "რბილი მიდგომა" ყოველთვის უფრო სასურველია, ვიდრე "მკაცრი მიდგომა", მაგრამ მისი უნარი, მიაღწიოს კონსერვაციულ მიზნებს დამოკიდებულია სიცოცხლისუნარიანი "მემკვიდრეობის დაცვის კულტურის" მშენებლობაზე ადგილობრივი თემის და მის ზემოთ ყველა დონეზე - ერთგვარი დნმ-თან გადაჯაჭვული ვალდებულებისა, რომელიც არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე და რომელიც გზას იკვლევს პოლიტიკური აზროვნების ევოლუციისკენ. ეს მოითხოვს ისეთივე ძლიერი *სოციალური მოძრაობის* შექმნას კულტურული მემკვიდრეობისთვის, როგორიცაა უკვე არსებული სოციალური მოძრაობანი ბუნებრივი გარემოს ან ქალთა უფლებების დაცვისთვის - რაც ჯერ კიდევ არ შექმნილა კულტურული მემკვიდრეობისთვის. ამგვარი სოციალური მოძრაობის შესაქმნელად, საჭიროა, უფრო რთული ძალისხმევა, ვიდრე შეზღუდულმა პროფესიონალებმა შეიძლება წარმოიდგინონ. ხელისუფლების მიერ მემკვიდრეობის კონსერვაციის მაღალი დონის ვალდებულებათა აღება აღიქმება, როგორც ელიტური მიდგომის წახალისება, ქალაქის პროგრესის საწინააღმდეგოდ, რომელიც აშორებს ადგილობრივ

efforts to build and strengthen social movements truly rooted in grass roots commitments to meaningful and widespread social change. Frameworks for social change aligned with heritage goals need to be appreciated and absorbed as key steps in ensuring tomorrow's society is driven by heritage sensitive development.

- Using a values based approach is a critically important part of the necessary conservation framework. The values identified however can not just be assigned by experts but must represent efforts to identify significant values held across the community, by both individuals and groups with a stake in the future of heritage places. They must be built by consensus, defined explicitly and serve as the basis for conservation actions, and ensuring their survival should be understood to have priority over realizing economic opportunities present in a property.
- The basis for giving priority to retaining heritage values is the assumption that heritage conservation should be understood as embracing - not opposing - development, and municipal strategies and policies should support development modes which quantify and qualify the economic values of heritage "assets". The economic value of such assets should be measured in ways which look holistically at the broad cost-benefit contributions to the human eco-system that is the urban neighbourhood, and not ways which measure in overly simplistic fashion the costs of conversion or of maintaining heritage assets.
- Financial support should derive from tax credits not direct government grants or aid programmes. These latter can easily shrink or disappear under pressure when budgets begin to shrink, but tax credits, usually revenue positive in a particular jurisdiction, are rarely threatened. The American (USA) system has been offering owners significant tax credits since the 1970s for approved work undertaken on buildings on the USA National Register of Historic Properties - not because the government is fond of historic buildings but because the taxes paid on materials and labours more than covers the tax give-aways to owners.
- One of the best known and most successful "heritage developers" in my country (Sandy Smallwood) is a strong advocate for what he calls a "heritage first" approach. This would commit governments to use heritage properties on their inventories BEFORE leasing out or using newly built space for tenants. In the United States, this is law at the federal level.
- It is also important in jurisdictions where tax law rewards owners who do not maintain their properties to initiate systems which allow municipalities to carry out overdue maintenance and to charge costs back to owners on their tax bills. In this way, patterns of deterioration can be

თემს მემკვიდრეობას. ექსპერტთა შეფასება-ანალიზს, რომელიც ხელს უწყობს არა განათლებულ მოყვარყულთა, არამედ თავდადებულ პროფესიონალთა კონსოლიდირებული ელიტის შექმნას, შეუძლია შეარყიოს ძალისხმევა, შეიქმნას და გაძლიერდეს სოციალური მოძრაობები, რომელიც ეფუძნება მოქალაქეთა მისწრაფებებს გააზრებული და ფართო სოციალური ცვლილებებისკენ. იმისათვის, რომ მომავალში საზოგადოებისთვის წარმმართველი გახდეს მემკვიდრეობისადმი ფაქიზი დამოკიდებულების მქონე განვითარება, მემკვიდრეობის მიზნებთან შეთანადებული სოციალური ცვლილებების სისტემა უნდა აღიარებულ და მიღებულ იქნას, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე.

- *ღირებულებებზე დაფუძნებული* მიდგომის გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის კონსერვაციის დარგში. თუმცა, ეს ღირებულებანი არ უნდა იყოს მხოლოდ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული; ისინი უნდა წარმოადგენდეს ღირებულებებს, რომელიც თემში არსებობს, როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ასევე ჯგუფებში, რომელთაც ეხება ამ მემკვდირეობის მომავალი. ეს ღირებულებანი უნდა ეფუძნებოდეს კონსენსუსს, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და გახდეს განსახორციელებელი ქმედებების საფუძველი; აგრეთვე ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ამ ღირებულებათა გადარჩენა პრიორიტეტულია თვით ისტორიულ შენობებში არსებულ ეკონომიკურ შესაძლებლობათა რეალიზაციასთან შედარებით.
- მემკვიდრეობის ღირებულებებისთვის პრიორიტეტის მინიჭება ეფუძნება იმის დაშვებას, რომ მემკვიდრეობის კონსერვაცია გაიაზრება, როგორც განვითარების ხელშემწყობი და არა მისი მოწინააღმდეგე, ხოლო მუნიციპალური სტრატეგიები და პოლიტიკა მხარს უნდა უჭერდეს განვითარების ისეთ მოდელებს, რომლებშიც მემკვიდრეობის ეკონომიკური ღირებულებანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი. მემკვიდრეობის ეკონომიკური ღირებულებანი უნდა გაიზომოს ჰოლისტიკური მიდგომით, რომელსაც ფართო ხედვა აქვს გაწეული ხარჯებისა და დადებითი შედეგებისა ადამიანის ისეთი ეკო-სისტემისთვის, როგორცაა ურბანული სამეზობლო და არა გამარტივებული გზით, რომელიც მხოლოდ მემკვიდრეობის კონსერვაციის ან მოვლა-პატრონობის ხარჯებს აფასებს.
- ფინანსური დახმარება უნდა მოდიოდეს

attacked long before they become patterns and threaten property values and neighbourhood health and safety.

- Conservation strategies and policies in urban settings must go beyond limiting or controlling change to important listed buildings, and address a wide range of potential negative impacts caused by designation - for example, situations where conservation increases market values to the point where gentrification expels living communities, transferring social and economic problems to other neighbourhoods. Usually impact assessments measure impacts on heritage value - but there is a need to look at this the other way around as well, to take into account the broad social and economic impacts across a city or region which are generated by a commitment to conservation.
- "Integrated conservation" needs to be encouraged in the broadest possible sense, not just placing responsibility for defending heritage in a heritage office in a municipality. This mechanical and logistical approach to "integrated conservation", popular in Europe since 1975 is not enough. Effort needs to place heritage concern within management - hence, for example to produce heritage sensitive management plans, not conservation plans.
- There is also a need in the name of integrated conservation to challenge heritage professionals who are generally most interested in the traditional integrity of their conservation planning tools and philosophical frameworks, to embrace changing strategies (focusing on facilitation, negotiation methods etc. which could be used to re-think and re-orient needed alliances, approaches, ways of working). In fact, professionals should be encouraged to re-think all of their urban conservation tools to move from reactive "controls" (for example, impact assessments, etc) to tools which offer more proactive forms of engagement and involvement.

საგადასახადო შეღავათებიდან და არა უშუალოდ სამთავრობო გრანტებიდან თუ დახმარების პროგრამებიდან. ეს უკანასკნელი ადვილად შეიძლება შემცირდეს ან გაქრეს ბიუჯეტის შეკვეცის დროს, ხოლო საგადასახადო შემოსავლები კი, ჩვეულებრივ, დადებითი მაჩვენებლები, იშვიათად დგება საფრთხის ქვეშ. ამერიკული (ა.შ.შ.) სისტემა, 1970 წლიდან ითვალისწინებს მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს მეპატრონეებისთვის იმ სამუშაოებზე, რომელიც ა.შ.შ. ისტორიულ ძეგლთა ეროვნული რეესტრის შენობებზე მიმდინარეობს - არა იმიტომ, რომ მთავრობას უყვარს ისტორიული ნაგებობები, არამედ იმიტომ, რომ გადასახადები მასალასა და მუშა-ხელზე ბევრად ფარავს მეპატრონეთათვის მინიჭებულ საგადასახადო შეღავათებს.

- ჩემს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული "მემკვიდრეობის დეველოპერი" (სანდი სმოლვუდი), ძლიერი მომხრე და დამცველია მიდგომისა, რომელსაც იგი უწოდებს "პირველ რიგში მემკვიდრეობა". ეს ავალდებულებს მთავრობებს გამოიყენოს მის რეესტრში არსებული მემკვიდრეობა **მანამ, სანამ** იჯარით გასცემს ან გამოიყენებს ახლად აშენებულ ნაგებობებს. ა.შ.შ-ში ეს ფედერალური დონის კანონია.
- მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ თუ საგადასახადო შეღავათებით აღჭურვილი მეპატრონეები არ უვლიან საკუთარ ქონებას, კანონმდებლობა საშუალებას იძლევა ისეთი სისტემების ინიცირირებისა, რომელიც მუნიციპალიტეტებს უფლებას აძლევს ჩაატარონ სარემონტო სამუშაოები და შემდგომ გაწეული ხარჯები ამოიღონ მეპატრონისგან გადასახადების სახით. ამ გზით, დაზიანებები შეიძლება ადრევე ავიცილოთ თავიდან, ვიდრე ისინი საფრთხეს შეუქმნის ქონების ღირებულებებს და სამეზობლო გარემოს სიჯანსაღესა და უსაფრთხოებას.
- კონსერვაციის სტარტეგიები და პოლიტიკა ურბანულ გარემოში უნდა გასცდეს მნიშვნელოვან ძეგლ-შენობებზე ცვლილებების შეზღუდვასა და კონტროლს და გაიაზროს პოტენციური ნეგატიური შედეგების ფართო წრე - მაგალითად, ისეთი ვითარება, როდესაც ძეგლთადაცვითი ღონისძიებანი ზრდის ქონების საბაზრო ღირებულებას იმ ზომამდე, რომ ჯენტრიფიკაცია განდევნის ადგილობრივ მოსახლეობას და არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები სხვა უბნებში გადააქვს. ჩვეულებრივ, ინტერვენციის ზემოქმედების შეფასება მხოლოდ მემკვიდრეობით ფასეულობებზე ზემოქმედებას იკვლევს - მაგრამ საჭიროა, სხვა კუთხითაც შევხედოთ ამას, გავითვალისწინოთ, ქალაქის ან რეგიონის მასშტაბით, ფართო სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება, რომელიც მოჰყვება საკონსერვაციო აქტივობას.
- "ინტეგრირებული კონსერვაცია" მხარდაჭერილი უნდა იქნას მაქსიმალურად ფართო კონტექსტში და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვდირეობის განყოფილებისთვის მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებლობის გადაცემით. ევროპაში 1975 წლიდან ეს პოპულარული, მექანიკური და ლოჯისტიკური დამოკიდებულება "ინტეგრირებული კონსერვაციისადმი" არ არის საკმარისი. საჭიროა, მემკვიდრეობის საკითხების მენეჯმენტის სისტემაში ჩართვა - მაგალითად, შეიქმნას მემკვიდრეობისადმი მგრძნობიარე მენეჯმენტის გეგმები და არა კონსერვაციის გეგმები.
- ინტეგრირებული კონსერვაციის განვითარებისთვის, ასევე საჭიროა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებმა, რომელნიც, ძირითადად, დაინტერესებულნი არიან საკონსერვაციო დაგეგმვის მეთოდებისა და კონსერვაციის ფილოსოფიის ტრადიციული ერთობით, აითვისონ ახალი სტრატეგიები (ფოკუსით შუამდგომლობაზე, მოლაპარაკების მეთოდებზე და ა.შ., რაც საშუალებას მისცემს მათ გადაიაზრონ საჭირო ალიანსები, მიდგომები და მუშაობის გზები). არსებითად, პროფესიონალებმა უნდა გადახედონ ურბანული კონსერვაციის არსებულ ინსტრუმენტებს, რათა რეაქტიული "კონტროლიდან" (მაგალითად, ინტერვენციის ზემოქმედების შეფასება და ა.შ.) გადავიდნენ ისეთ მექანიზმებზე, რომელიც უფრო პროაქტიული თანამშრომლობისა და ჩართულობის ფორმებს იძლევა.

ნატო ცინცაბაძე
ICOMOS საქართველო

ადგილობრივ თემზე დაფუძნებული ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია

ბეთლემის კლდისუბანი ძველი თბილიისის შუასაუკუნებრივ ბირთვში მდებარეობს. მისი ტერიტორია მოიცავს 2,4 ჰექტარს, სადაც კონცენტრირებულია გამორჩეული ღირებულების ქალაქური ხალხური საცხოვრებლის საუკეთესო ნიმუშები, საკულტო ნაგებობები - ბეთლემის ზედა და ქვემო ეკლესიები, სამრეკლო და ათეშგა. უბნის საპროექტო არეალად შერჩევა, გარდა ურბანული ისტორიული გარემოს მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, ასევე, განსაზღვრა 1990-იან წლებში ბეთლემის უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულმა უხეშმა ჩარევამ.

2000 წლიდან დღემდე განხორციელდა ფონდების თანმიმდევრული მოძიება.[1] ამ პერიოდში ჩატარდა უბნის მრავალდისციპლინარული კვლევა, აზომვითი სამუშაოები და დამუშავდა ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა.

სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ხედავდა კავშირს უბნის მომავალ განვითარებასა და საკუთარ კეთილდღეობას შორის, რაც ადასტურებდა მათ პესიმიზმსა და პასიურობას მონაწილეობა მიეღოთ უბნის განვითარების პროცესში. ასევე კვლევამ გამოავლინა, რომ ამ დროისათვის (2000წ.) მოსახლეობის დაახლოებით 70% თითქმის უსახსრო იყო.

2004 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული მრავალდისციპლინარული დაგეგმვის მთავარ ამოცანა იყო, პროგრამის ისეთი მართვის მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა, უბნის რეაბილიტაციის პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართვას. დამუშავდა ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის მართვის გეგმა (2005-2010) და და დაიწყო კომლექსური პროგრამის განხორციელება. 2005 წლიდან დღემდე პროექტის დონორია - *ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი (Riksatikvaren).*

თემის მობილიზაცია

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის მიზნით, ჩატარდა თემის მობილიზაცია - აქ-

1 2000 – მსოფლიო ძეგლთა ფონდი, სამუელ ჰ. კრესის ფონდი; 2002-2003 – კულტურული მემკვიდრეობის დივიზია/UNESCO, შვეიცარიის საგანგებო ვითარებათა ფონდი; ; 2003-2004 – ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, UNESCO.

Nato Tsintsabadze
ICOMOS Georgia

COMMUNITY BASED BETLEMI QUARTER REVITALISATION, OLD TBILISI, GEORGIA

Betlemi Quarter is located within the medieval core of the Old Tbilisi. The area of the quarter covers 2.4 ha and is distinguished by a concentration of a considerable number of the impressive urban vernacular dwellings and religious buildings, including Ateshgah (Fire Temple). Apart from devastated condition of the heritage, the selection of the site as a project area was preconditioned by the rude interventions near the Quarter.

A consistent fund raising was made[1] since 2000 and multidisciplinary study and recording of the site was undertaken; Betlemi Quarter Conservation Plan was developed.

Results of the sociological survey had revealed that majority of the residents could not see links between the future development of the Quarter and their own welfare, which explained their passiveness in the participation in Quarter development activity. Survey also had shown that at that time (2000) 70% of the residents were socially extremely vulnerable.

In 2004, main objective of the Betlemi Quarter Revitalisation multidisciplinary planning was to design a project management model, which would ensure active involvement of the local community in the Quarter development process. Betlemi Quarter Revitalisation Management Plan was elaborated (2005-2010) and challenging programme implementation had been launched. The Ministry of Foreign Affairs of Norway has funded the project through the Directorate for Cultural Heritage (Riksantikvaren) since 2005.

COMMUNITY MOBILISATION

In order to ensure local community involvement in the Betlemi Quarter revitalisation process, community mobilisation was undertaken - explanatory meetings aimed at raising community awareness and establishment of the neighbourhood community societies.

During the meetings with the local community joint vision of the problems facing the Quarter was set up and the community leaders were identified; closer links between the pressing problems of the community and objectives of the Betlemi Quarter Revitalisation Programme were outlined; local community received information on the essence and significance of the corporative activities and participatory approach.

Despite the age-old tradition of neighbourhood

1 2000 – Samuel H. Kress Foundation through the WMW programme; 2002-2003 – Samuel H. Kress Foundation through the WMW programme; Swiss Emergency Fund through UNESCO Cultural Heritage Division; 2003-2004 – Ministry of Foreign Affairs of Norway through UNESCO Cultural Heritage Division

ტიური ახსნა-განმარტებითი შეხვედრები, რომელიც მიზნად ისახავდა უბნელთა გათვითცნობიერებას, სამეზობლო ამხანაგობების შექმნას, რაც ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის დაფუძნების წინაპირობა უნდა გამხდარიყო.

მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად ერთობლივად განისაზღვრა უბნის პრობლემები და დადგინდა თანამონაწილეთა ჯგუფები; გამოიკვეთა თემისთვის პრიორიტეტული პრობლემების ICOMOS საქართველოს პროგრამის მიზნებთან შეხების წერტილები; მოსახლეობას განემარტა ერთობლივი საქმიანობისა და თანამონაწილეობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა; გამოიკვეთა ლიდერთა ჯგუფები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა არარეგისტრირებული კავშირების - ბინის მესაკუთრეთა კავშირების - ჩამოყალიბება.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალეთნიკურ ძველ თბილისში მეზობლობის ინსტიტუტის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები არსებობს, თემის მობილიზაცია ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის ერთ-ერთი ურთულესი კომპონენტი აღმოჩნდა, რადგან მოსახლეობაში, საბჭოური გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია უნდობლობა კორპორატიული საქმიანობის მიმართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, დასახული მიზნის მიღწევაში საპროექტო ჯგუფს განვლილი წლების მანძილზე ადგილობრივ თემთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები დაეხმარა. შესაბამისად, 2004 წელს არსებული სამეზობლო ურთიერთობების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა ბინის მესაკუთრეთა 5 არარეგისტრირებული კავშირი.

ბეთლემის უბნის განვითარების კავშირი

2005 წლის 5 თებერვალს, დაფუძნდა არასამეწარმეო იურიდიული პირი - ბეთლემის უბნის განვითარების კავშირი (ადგილობრივი სააგენტო), რომლის მიზანია ბეთლემის უბნის განვითარება კონსერვაციის გზით.

უბნის მოსახლეთა კავშირებში წარმოდგენილია ბეთლემის უბნის მოსახლეობის 60% და მათგან მხოლოდ 50%-ა აქტიურად ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ სააგენტოში ამ კავშირების წარმომადგენლობამ გამჭვირვალე გახადა რევიტალიზაციის პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი. იმ შემთხვევებში კი, როდესაც ყველა არ ეთანხმება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, იგი მაინც მისაღებია უბნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. ადგილობრივი სააგენტოს სტრუქტურა სრულად აძლევს საშუალებას მოსახლეობას, მო-

institute in multiethnic Tbilisi, community mobilisation proved to be one of the most complicated activities of the Programme, since, due to the Soviet experience, society is still highly sceptical towards the foisted corporative activities. Nevertheless, relations with the local community established over the past years helped the Project Team to achieve the set goal. Respectively, taking into account existing neighbourly relations, 5 House Owners Unions (HOU) were established in Betlemi Quarter in 2004.

BETLEMI QUARTER DEVELOPMENT UNION

In 2005, ICOMOS Georgia, Betlemi HOUs representatives and project experts had founded a non-commercial legal person of the private law - Betlemi Quarter Development Union (BQDU) as a local management agency.

HOUs unite 60% of the Betlemi Quarter community and only 50% of them are actively involved in the Programme implementation. Nevertheless their representation in the local management agency contributed to the transparency of the decision making process. Even in case, when not all agree with the taken decision, the decision is still acceptable for the majority of the local community. Local management agency model ensures full participation of the community in the planning process, but the Programme experts have a decisive voice in the decision making. That is why, the Project Team spares no efforts to be flexible, is ready for a reasonable compromise, in order to avoid undesirable tension in the relations with the community.

Apart from the participation in the decision making process, likewise important for the community is that, as it is stipulated by BDU's statute, its part is directly involved in various rehabilitation works, which is a considerable job opportunity for the residents.

Opening of the BQDU office in the core of Betlemi Quarter marked the most significant stage in the development of the Programme. The Project Team became a full member of the local community, which had considerably contributed to the sustainability of the Programme. From that day onwards, relations of the Programme experts and the community had acquired natural, neighbourly, i.e. traditional character.

Information Centre housed in the BDU office is open for the visitors of the Betlemi Quarter.

TOURIST ROUT

One of the objectives of the Programme is to develop tourist rout for Betlemi Quarter. This sub-project aims at preparing conductive settings for creating job opportunities for local dwellers through enhancing the tourism potential of the Betlemi Quarter. A Georgian-English leaflet - Heritage Walk of Betlemi Quarter was produced; a web-page (*http://www.icomos.org.ge/betlemi/index.htm*) was developed, and historical photos were exhibited in the Information Centre; Simple information boards are being installed to facilitate a better interpretation of the site.

Photo: ICOMOS Georgia

ბეთლემის ეკლესიის ბაქანი რეაბილიტაციამდე. 2000
Betlemi Church platform before rehabilitation. 2000

ნაწილეობა მიიღოს პროცესების დაგეგმვაში, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას, გადამწყვეტი ხმა პროექტის ექსპერტებს აქვთ. ამიტომ საპროექტო ჯგუფი მუდამ ცდილობს იყოს მოქნილი, მზადაა გონივრულ კომპრომისზეც წავიდეს, რათა თავიდან აიცილოს არასასურველი დაძაბულობა მოსახლეობასთან ურთიერთობაში. გარდა პროეტების განხილვისა და გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობისა, ადგილობრივი სააგენტოს წესდება ასევე ითვალისწინებს მოსახლეობის ნაწილის უშუალოდ სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებში დასაქმებას, რაც მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის.

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ბეთლემის კლდისუბნის გულში ადგილობრივი სააგენტოს ოფისისა და ბეთლემის უბნის საინფორმაციო ცენტრის გახსნა. უბანში ამ ოფისის დაფუძნებით, საპროექტო ჯგუფი უბნის სრულუფლებიანი წევრი გახდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროექტის სიცოცხლისუნარიანობას. ამ დღიდან, ექსპერტთა ურთიერთობამ ადგილობრივ თემთან ბუნებრივი და ყოველდღიური, მეზობლური ხასიათი მიიღო. საინფორმაციო ცენტრში მოეწყო უბნის საარქივო ფოტო და გრაფიკული მასალის, ასევე პროგრამის ფარგლებში შესრულებული სარეაბილიტაციო პროექტებისა და ეთნოგრაფიული მასალის გამოფენა.

ბეთლემის უბნის ტურისტული მარშრუტი

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის ერთერთი ამოცანაა ბეთლემის ტურისტული მარშრუტის განვითარება. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ბეთლემის უბანში კულტურული

REHABILITATION OF PUBLIC SPACES

One of the Programme activities concerns the rehabilitation of public spaces and infrastructure. In addition to restoring Betlemi Street-stairs and terrace of Betlemi church, a number of historic supporting walls, pedestrian passes were repaired.

Local community is actively involved in the Betlemi Quarter maintenance. Gardens arranged within the Programme encouraged the local community and one green area was added to the Quarter with the efforts of the Betlemi church congregation, while another garden was made by the resident.

RESTORATION

An important component of the Programme implied restoration of listed historic houses. The most challenging case was the restoration of an entrance and balconies of the house of national listing, 3, Betlemi Street. The restoration of musharabi required special craftsmen skills. A number of problems had to be addressed to achieve high standards of restoration. With this aim, a series of studies and workshops dedicated to timber conservation, traditional surface treatment and colours on historic buildings was organised where the local community members were actively involved.

Apart from having scientific value, Ateshgah has a significant potential for tourism development. Conservation of the site was technically challenging. The complex restoration works at Ateshgah were fully implemented by local dwellers, called Betlemi Quarter Amkari (craftsmen union). Participation in the project next to conservation craftsmen, gave the locals an opportunity to acquire conservation craftsmanship skills, such as use of lime, cobblestone paving, brick and stone masonry, cautious attitude towards the historic fabric, etc. The integration of the expertise obtained within the Betlemi Project into the projects managed by the City would be highly beneficial. Regrettably, it remains to be a pilot initiative.

Photo: ICOMOS Georgia

ბეთლემის ეკლესიის ბაქანი რეაბილიტაციის შემდეგ. 2011
Betlemi Church platform after rehabilitation. 2011

და ისტორიული ფასეულობების გაცნობაზე ორიენტირებული ტურისტული მარშრუტი.

უბნის პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა ვებ-გვერდი http://www.icomos.org.ge/betlemi/index.htm, ამას გარდა, დამუშავდა ორენოვანი ბუკლეტი - გასეირნება ბეთლემის კლდისუბანში. დაიბეჭდა ისტორიული უბნის ამსახველი ღია ბარათები. ეს მასალა ხელმისაწვდომია ბეთლემის უბნის საინფორმაციო ცენტრში.

მნახველთათვის უბანში გადაადგილების გასამარტივებლად, დამონტაჟდა საინფორმაციო სტენდები და მნიშვნელოვან ისტორიულ ობიექტებზე მოკლე ანოტაციის შემცველი დაფები.

საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის ფარგლებში ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარ მიმართულებას ისტორიული გარემოსა და ინფრასტრუქტურის აღდგენა წარმოადგენს. საზოგადოებრივი სივრცის გაჯანსაღება ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი თემის ყოველდღიური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ისე უბნის ტურისტული პოტენციალის გამოვლენას, განვითარებას. ამასთან ერთად, პროგრამის ამ კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები მკაფიოდ ხილულ შედეგებს იძლევა, რაც ასევე აუცილებელია პროგრამის პოპულარიზაციისა და მოსახლეობაში პროგრამის მიზნისა და ამოცანების მიღწევის მიმართ რწმენის განტკიცებისათვის. ზემო ბეთლემის ეკლესიის ბაქნის რეაბილიტაციისა და ბეთლემის ქუჩა-კიბის რესტავრაციის გარდა, უბანში მთელ რიგ შუკებს, ქუჩა-კიბეებს, ისტორიულ საყრდენ კედლებს და ასევე, გომის ქუჩის წყაროს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოებში, ასევე უბნის მოვლა-პატრონობაში. პროგრამის ფარგლებში განშენებულმა ბაღებმა წაახალისა ადგილობრივი მოსახლეობა და საკუთარი ინიციატივით ერთი გამწვანებული არეალი, ბეთლემის ეკლესიის მრევლის ძალისხმევით, შემატა უბანს, მეორე კი უბნის მოსახლემ დამოუკიდებლად გააშენა.

რესტავრაცია

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის მნიშვნელოვანი მიმართულებაა გამორჩეული მხატვრული ღირებულების სახლების რესტავრაცია. რესტავრაციის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, საინტერესო იყო ბეთლემის ქ. N3-ის სადარბაზოსა და აივნების რესტავრაცია. სერიოზული გამოწვევა იყო შებეკეს

INITIATIVES FOR ECONOMIC DEVELOPMENT

Planned initiatives for the economic development of the Quarter were not implemented. They envisaged to help several owners to start a family-run business - a guest-house, a bakery, etc. Holding back from the implementation of this sub-project seems justified, since its management requires specific experience. The only family-run cafe, opened in historic basement within the Programme, was achieved with the minimal investment - the path leading to the cafe was tided.

PROGRAMME RESULTS

Part of the Betlemi Quarter along the rehabilitated Tourist Route is visibly improved and enlivened. Apart from the residents and the church congregation, Betlemi church platform, opening a wide view on Tbilisi Historic District, has become a favourite gathering place for the Tbilisians and guests; the Quarter is regularly visited by the school children on excursions, art colleges organise open-air sessions for their students here. Arrangement of the historic monuments lighting by the Tbilisi Municipality had considerably improved security in the Quarter. Property prices in the Quarter had increased.

The idea to establish annual Betlemi Quarter Festival on 17 May, as a celebration of the unity of the Betlemi Quarter community and the Betlemi Quarter distinguished identity was formed within the Programme.

Pride for the unique identity of the Betlemi Quarter was considerably enhanced in the local community. Increased responsibility for the Quarter and own private property maintenance is obvious. More and more owners undertake repairs to their private flats; cases of systematic renting flats to the tourists can also be quoted. One of the most important results of the Programme is the gained experience and skills.

LESSONS

There are several findings that could be summarised as:

- Systematic integrated study, recording, training had contributed to problem identification and self-confidence of the Project Team and had smoothed a conflict between the development and conservation;
- Active participation of the local community in the Betlemi Quarter Revitalisation Programme was crucial for the Project implementation;
- Transparency of the Project had ensured links between the planning, analysis and implementation/participation;
- Wide community involvement can be achieved through maintaining traditional neighbourhood relations, while confidence building requires time and patience.

ტექნიკით შესრულებული მუშარაბების შემორჩენილი ალათების რესტავრაცია და დაკარგული ალათების აღდგენა, რაც ხელოსნების უმაღლეს პროფესიონალიზმსა და დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. თბილისური სახლის რესტავრაციის მეთოდოლოგიისა და ტრადიციული სამშენებლო ტექნოლოგიის გამოყენების სტანდარტების დასახვეწად, ***Riksantikvaren***-ის დახმარებით უორკშოფებისა და სემინარების სერია ჩატარდა.

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის ფარგლებში თავისი სპეციფიკით გამორჩეული ადგილი უჭირავს ათეშგას (ცეცხლის ტაძარი) რესტავრაცია/რეაბილიტაციას. ამ არქეოლოგიურ ძეგლს, გარდა სამეცნიერო, კულტურული ფასეულობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი თბილისის ტურისტული პოტენციალის განვითარებისა და უბნის თვითმყოფადობის გამოსაკვეთად.

აღსანიშნავია, რომ ათეშგაზე ჩატარებული რთული სარესტავრაციო სამუშაოების დიდი ნაწილი ადგილობრივმა მოსახლეობამ შეასრულა. ეს ბეთლემის პროგრამის ლოგიკური შედეგი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა. ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროექტების ფარგლებში, მაქსიმალურად ხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. ამ პერიოდში მრავალმა, უკვე ოსტატ-ხელოსანმა თუ ახალგაზრდამ, შეიძინა რესტავრაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, როგორიცაა კირით მუშაობა, რიყის ქვით ქუჩის მოკირწყვლა, აგურითა და ქვით კედლის წყობის ამოყვანა, არსებული ისტორიული ქსოვილისადმი ფრთხილი მიდგომა და ა.შ. სასურველია, რომ ეს რესურსი გამოყენებულ იქნას, ქალაქის მერიის მიერ წარმოებულ ძველი თბილისის რეაბილიტაციის მასშტაბურ პროექტში.

წინადადებები უბნის ეკონომიკური განვითარებისთვის

იმ ქვე-პროექტებიდან, რომელიც მნიშვნელოვანი იყო და ვერ შესრულდა, აღსანიშნავია, ინიციატივები უბნის ეკონომიკური განვითარებისთვის, რაც ითვალისწინებდა ფონდების მოძიებას რამდენიმე მეპატრონისთვის, რათა მათ ისტორიული ქონების ადაპტაციის გზით, წამოეწყოთ მცირე საოჯახო ბიზნესი - სასტუმრო, საცხობი, და ა.შ. ამ ქვე-პროექტის შესრულებაზე თავის შეკავება, ალბათ გამართლებული იყო, ვინაიდან, ასეთი პროექტის მართვას სპეციფიური უნარჩვევები სჭირდება. ერთადერთი საოჯახო კაფე, რომელიც პროექტის ფარგლებში გაიხსნა, მინიმალური ინვესტიციით განხორციელდა - მეპატრონეს მოუწესრიგდა მისასვლელი ბილიკი.

WHAT IS NEXT?

In 2010, 5-year cycle of the Betlemi Quarter Revitalisation Programme Management Plan was completed. Time for the revision and change of the Programme strategy and conservation policy has come.

Betlemi Project is a grassroots initiative and it is important that it finds its place in the institutional system of Old Tbilisi management. The objective has not yet been achieved due to the very slow pace of City management system development allowing no place for an entity like BQDU. Cooperation with Old Tbilisi Region Administration is limited to the solution of current problems and is far from being systematic.

Here, the crucial questions arise concerning future sustainability of Betlemi Programme:

- Is the traditional neighbourhood institution sustainable tool, can it be a part of modern city management system?
- How to keep standards achieved and improve them?
- Where to look for future partners?
- Does community based approach survive without City management system support?

CHALLENGES AND OPPORTUNITIES

In 2007 Tbilisi City Hall launched large scale rehabilitation programme, called: "New Life of Old Tbilisi." This was perceived as the authorities' commitment, but at the same time the programme is followed by criticism mainly due to improper conservation standards and lack of participatory policy. Considering a scale of intervention and lack of tradition, it should not be surprising that the methodology of rehabilitation works fail to meet high standards of conservation, especially due to the "dangerous" trends of "aging" contemporary structures while replacing authentic buildings. Accordingly, this project could be a serious challenge, as well as an opportunity for the Betlemi initiative.

Taking the reality into account, goal of the Betlemi Programme is to elaborate adequate communication tools, in order to improve collaboration with local authorities and achieve integration of the Betlemi Programme objectives into Old City development plans and vice versa.

One of the significant changes in the future strategy of the Betlemi Quarter Revitalisation Programme should be a gradual shift from the humanitarian to more development-oriented projects. It is important to establish a direct inter-relation between the historic properties and the welfare of their owners and that part of the community, who has a desire and capacity, can manage to stay under the conditions of the inevitable "gentrification" of the Quarter in the future. In this respect, development of the cross sector cooperation is planned.

Note *- The paper is pased on Betlemi Quarter Revitalisation rprogramme Report , 2000-2001, Published in 2011.*

პროგრამის შედეგები

ბეთლემის უბნის ნაწილი, ტურისტული გზის გასწვრივ, იქ, სადაც ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, დღეს თვალნათლივ გაჯანსაღებული და გამოცოცხლებულია.

ბეთლემის ეკლესიის ბაქანი, არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისა და ეკლესიის მრევლის თავშეყრის ადგილია, არამედ თბილისელთა და თბილისის სტუმართა საყვარელ ადგილად იქცა. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ისტორიული მონუმენტების განათების მოწყობამ დიდად შეუწყო ხელი ამ ადგილის უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

რეაბილიტირებული ისტორიული გარემოსა და მოვლილი ბაღების გამო, ამ ადგილს ხშირად იყენებენ სხვადასხვა სარეკლამო ვიდეო რგოლების, თუ ფილმების გადაღებისთვის. ბეთლემის უბანში სისტემატიურად მოყავთ სკოლის მოწაფეები ექსკურსიაზე, სამხატვრო სკოლები აქ აწყობენ ბავშთა პლენერზე მუშაობის სესიებს. გახშირდა ფესტივალების მოსაწყობად უბნის გამოყენების შემთხვევები, რომელთაგანაც ერთი გამოირჩევა თავისი მნიშვნელობით, რადგან იგი თვით ბეთლემის უბნის დღის აღმნიშვნელია. 2010 წლიდან, 17 მაისს ტარდება ყოველწლიური ბეთლემის უბნის ფესტივალი, როგორც უბნის გამორჩეული თვითმყოფადობისა და ბეთლემის უბნის თემის ერთობის დღესასწაული.

საგრძნობლად ამაღლდა ადგილობრივ მოსახლეობაში უბნის გამოკვეთილი იდენტობის გამო სიამაყის გრძნობა. იგრძნობა უბნისა და საკუთარი უძრავი ქონების მოვლა-პატრონობის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა. გახშირდა საკუთარი ბინების შეკეთების შემთხვევები. მოსახლეობის ნაწილს გაუჩნდა სამომავლო გეგმები საკუთარი უძრავი ქონების მცირე საოჯახო ბიზნესის გამოყენებისა, არის შემთხვევები ბინების ტურისტებზე გაქირავებისა.

გაკვეთილები

ბეთლემის პროექტის გამოცდილებიდან ძირითადი დასკვნები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- სისტემატიურმა კვლევამ, სრულყოფილმა დოკუმენტაციამ და ისტორიულ არეალში მიმდინარე პროცესების მუდმივმა მონიტორინგმა შესაძლებელი გახადა პრობლემების ძირეული ხასიათის დადგენა, ხელი შეუწყო საპროექტო ჯგუფის თვითრწმენის გაღვივებას და საგრძნობლად გაადვილა სწრაფი და სწორი კონსერვაციული გადაწყვეტილებების მიღება.
- მრავალდისციპლინარულმა მეთოდოლოგიამ ხელი შეუწყო ადგილობრივი თემის მიერ განვითარებასთან ასოცირებულ გეგმებსა და ისტორიული მემკვიდრეობის ფასეულობათა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის დანახვას, რამაც შეარბილა კონფლიქტი განვითარებასა და კონსერვაციას შორის.
- ადგილობრივი თემის აქტიური თანამონაწილეობა ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამაში მისი წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო.
- პროექტის გამჭვირვალობამ უზრუნველყო კავშირი დაგეგმვას, ანალიზსა და შესრულება/მონაწილეობას შორის.
- ადგილობრივი თემის ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაში შესაძლებელია ტრადიციული მეზობლობის ინსტიტუტის გაფრთხილებითა და გამოყენებით, ხოლო ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას დრო და მოთმინება სჭირდება.

რა იქნება შემდეგ?

2010 წელს დასრულდა ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის მენეჯმენტის გეგმის 5 წლიანი ციკლი. ამ პერიოდში ბეთლემის უბნის რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოთა 50%-ზე მეტი შესრულებულია, რაც საკმაოდ მოულოდნელი იყო საპროექტო ჯგუფისთვის, ვინაიდან პროექტის სამუშაო გეგმა და შესრულების მოდელი იდეალისტური იყო. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ნათლად გამოიკვეთა, როგორც პროექტის მიღწევები, ისე სამომავლო გამოწვევები. დადგა პროგრამის სტრატეგიისა და კონსერვაციული პოლიტიკის გადახედვისა და განახლების დრო.

ბეთლემის პროექტი წარმოადგენს ინიციატივას ქვემოდან, მნიშვნელოვანია, მან იპოვნოს ადგილი ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და მართვის ინსტიტუციურ სისტემაში, რაც ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, რადგან ეს სისტემა ნელა ვითარდება და მასში ბეთლემის უბნის სააგენტოს მსგავსი ერთეულისთვის ადგილი არ მოიძებნება. თანამშრომლობა ძველი თბილისის ადმინისტრაციასთან შემოიფარგლება, მიმდინარე პრობლემების გადაჭრისთვის, კონკრეტულ ჩინოვნიკებთან ურთიერთობით, იქნება ეს ნაგვის გადატანა, ღამის განათების დაყენება და აშ. ამრიგად, არ ხერხდება ბეთლემის პროგრამის ინტეგრირება ქალაქის რეაბილიტაციის გეგმაში და პირიქით. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება ბეთლემის პროგრამის მომავალთან დაკავშირებით:

- არის თუ არა ტრადიციული სამეზობლო ურთიერთობები სიცოცხლისუნარიანი ინსტრუმენტი და შეიძლება თუა არა ის გახდეს თანამედროვე ქალაქის მართვის სისტემის ნაწილი?
- არსებულ რეალობაში, როგორ შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ რესტავრაციის სტანდარტები?
- სად ვეძებოთ მომავალი პარტნიორები?
- შეუძლია თუ არა თემზე დაფუძვნებულ ინიციატივას იარსებოს ქალაქის მმართველობის ხელშეწყობის გარეშე?

გამოწვევები და შესაძლებლობანი

2007 წელს თბილისის მერიამ წამოიწყო მასშტაბური პროგრამა: „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე", რომელსაც საკმაოდ თამამი და აგრესიული სარეაბილიტაციო ხასიათი აქვს. ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა დადებითი მოვლენა იყო, თუმცა სპეციალისტების მხრიდან მალევე მოყვა კრიტიკა არასწორი კონსერვაციული მეთოდოლოგიისა (განსაკუთრებით ახალი/თანამედროვე მოცულობების "დაძველებს" ტენდენციის გამო) და საზოგადოების თანამონაწილეობის პროცესის იგნორირების გამო. ეს პროექტი ბეთლემის პროგრამისთვის შეიძლება გახდეს, როგორც განვითარების შესაძლებლობა, ასევე დაუძლეველი პრობლემა, რომელიც წერტილს დაუსვამს პროგრამის თემზე დაფუძნებულ იდენტობას.

მრავალპარტნიორული თანამშრომლობის განვითარება პროექტის სამომავლო სტრატეგიის შემუშავების მთავარი ამოცანაა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ადგილობრივ ხელისუფლებასთან პროექტის ურთიერთობის შემდგომი განვითარება, რათა მოხდეს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების ძველი ქალაქის განვითარების გეგმებში ინტეგრაცია და პირიქით.

პროგრამის სამომავლო სტრატეგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მისი ჰუმანიტარული მიმართულებიდან, ნელ-ნელა, უფრო განვითარებაზე-ორიენტირებულ პროექტებზე აქცენტის გადატანა იქნება. ამისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობის მეთოდოლოგიის შემუშავება კერძო სექტორთან, რომელიც უკვე დაინტერესდა ამ უბნით. უბნის "ჯენტრიფიკაცია" გარდაუვალია და არ იქნება დამღუპველი იმ შემთხვევაში, თუ ის დაბალანსებული იქნება, რასაც იმედი გვაქვს, უკვე ჩატარებულმა სამუშაომ უნდა შეუწყოს ხელი.

წყარო: *ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია, პროგრამის ანგარიში, 2000-2001. თბილისი 2011*

Photo: G.Chkhatarashvili. ფოტო: გ.ჩხატარაშვილი

ბეთლემის უბნის ფესტივალი. 2010 წლის 17 მაისი.
Betlemi Quarter Festival. 17 May, 2010.

ზვიად არჩუაძე
ქალაქის ეკონომიკური განვითარების
პოლიტიკის სამსახურის უფროსი,
ქ. თბილისის მერია

Zviad Archuadze
Head of the Economic Policy Agency,
Tbilisi City Hall

ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე

NEW LIFE OF OLD TBILISI

ანოტაცია

2009 წლის 25 სექტემბერს თბილისის მერიამ დაიწყო ახალი პროექტი - “ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე”, რომელიც მიზანად ისახავდა ისტორიული უბნებისა და მისი შემოგარენის რეაბილიტაციას, ბანკებისა და სამშენებლო სექტორის ხელშეწყობას, დაწყებული მშენებლობების დასრულებასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ყველაზე მეტად ისევე როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც სამშენებლო ბიზნესი დაზარალდა. საფრთხე შეექმნა მშენებლობის სფეროში არსებულ სამუშაო ადგილებს, რაც ქართული ეკონომიკის დაახლოებით 30%-ს შეადგენდა. სწორედ კრიზისის დაძლევის მიზნით თბილისის მერიამ შეიმუშავა პროექტი - “ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე”.

პროგრამა ხორციელდება 2 ფაზად: პირველი ფაზა გამოცხადდა 2009 წლის 25 სექტემბერს და დასრულდება 2014 წლის იანვრამდე, ხოლო მეორე 2011 წლის 15 აპრილს და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

პროგრამის პირველი ფაზა მოიცავდა ორ ეტაპს და ითვალისწინებდა: კონკურსს გამარჯვებულის გამოსავლენად, ბიუჯეტის წინასწარ განსაზღვრას, მოქმედების შემოსაზღვრულ არეალს და კონკურსზე გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს.

პირველი ფაზის ორივე ეტაპზე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 48 კომპანიამ, რომლებმაც წარმოადგინა 22 პროექტი. აქედან გამარჯვებულად გამოვლინდა 22 კომპანია. პროგრამის განხორციელების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 55 000 000 $.

პროგრამის განხორციელების პირველი ფაზის შედეგად 422 ოჯახი მწვავე ავარიული სახლიდან ახალ კეთილმოწყობილ ბინაში გადავა. ამ ეტაპზე 56 ოჯახი უკვე დაკმაყოფილებულია.

პროექტის ფარგლებში სამშენებლო კომპანიები სულ 22 პროექტს დაასრულებენ, აქედან 8 უკვე დასრულებულია.

ABSTRACT

On 25 September 2009, Tbilisi City Hall launched new project - New Life of Old Tbilisi, which is aimed at the rehabilitation of Tbilisi historic quarters and its environs, support of the banks and construction sector, completion of the unfinished new buildings and creation of job opportunities.

Under the conditions of the world economic crisis, similar to the situation all over the world, in Georgia construction business had suffered most. Employment possibilities in the construction sector, forming approximately 30% of Georgian economy, proved considerably endangered. In order to overcome the crisis, Tbilisi City Hall had initiated the project - New Life of Old Tbilisi.

The Programme is implemented in 2 phases: Phase 1 was launched on 25 September 2009 and will be completed before January 2014, while Phase 2 was launched on 15 April 2011 and will be completed within a year.

Phase 1 of the Programme comprised two stages and implied: launching a competition, working out budget estimations, identification of the operational area and elaboration of criteria for the winner selection.

On both stages of Phase1, 48 companies participated in the competition, presenting 22 project proposals. From these, 22 companies were selected as the competition winners. Total budget for the Programme implementation equalled USD 55 000 000.

Implementation of the first stage of Phase 1 resulted in the provision of 422 families, who lived in extremely endangered houses, with new flats with modern facilities. At present 56 families are already provided with the flats.

Within the framework of the Programme, construction companies were to implement 22 projects, from these, 8 projects are already completed.

At present, the space of freed land plots, which was bought by the City Hall equals 13 000 m2. In total, Tbilisi City Hall will regain the area of 62 000 m2, which will contribute to the improved development of the city.

Phase 2 of the Programme envisages a simplified scheme of participation. Participants have only time limitations and the operational area comprises entire

თბილისის სხვადასხვა უბანში გამოთავისუფლებული და მერიის მიერ შესყიდული მიწის ფართობი ამ დროისთვის 13 000 კვ. მეტრია. სულ მერიის საკუთრებაში 62,000 კვადრატული მეტრი ფართობი გადავა, რაც ქალაქის უკეთესად განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის მეორე ფაზა ითვალისწინებს მონაწილეობის გამარტივებულ სქემას. მონაწილეების შეზღუდვა ხდება მხოლოდ დროით და განხორციელების არეალი მოიცავს მთელ თბილისს. მენაშენე წარადგენს განაცხადს მერიაში, იღებს დაპირებას, იღებს სესხს ფინანსური ინსტიტუტიდან, მშენებლობის დასრულების, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ მენაშენის სურვილის შემთხვევაში მერიის მიერ შესაბამის ვადებში ხდება დაპირების შესრულება, კერძოდ ქ. თბილისის მერია ყიდულობს საცხოვრებელ ფართს 1კვ.მ 400 აშშ დოლარად.

პროგრამის მეორე ფაზის განხორციელებისას ამ ეტაპზე დაპირება მერიიდან გაცემულია 6 კომპანიაზე.

Tbilisi. Construction company is to submit a letter of intent to the Tbilisi City Hall, receives an offer from City Hall, takes a loan from the financial institution; after the completion of the construction, approval of the building for exploitation and its registration in the public registry, in case, the construction company expresses its desire, Tbilisi City Hall fulfils its offer within respective time spell, namely, City Hall purchases the living space at USD 400 per 1 m^2.

On the present stage of implementation of Phase 2, an offer from Tbilisi City Hall is issued to 6 construction companies.

ლუიზა დე მარკო
ლიგურიის კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურული ლანდშაფტის რეგიონალური დირექტორატი

გენუის ახალი იმიჯის შესაქმნელად პროექტთა მოზაიკის მართვა

ანოტაცია

ბოლო 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოვლენათა უეცარი აჩქარების წყალობით, რასაც 1992 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში სამ დიდ საერთაშორისო ღონისძიებას უნდა ვუმადლოდეთ, - როგორიცაა კოლუმბის დღეების საზეიმო აღნიშვნა - 1992 წელს, დიდი რვიანის სამიტი 2001 წელს და "გენუა კულტურის დედაქალაქი" 2004 წელს, რამოდენიმე ათწლეულის ეკონომიკური და ფიზიკური დაქვეითების შემდეგ, გენუა ქალაქის გარემოს აღდგენის მრავალმხრივი და ვრცელი პროგრამის ცენტრში მოექცა, რის შედეგადაც განხორციელდა ინვესტიციები უმეტესწილად ქალაქის ისტორიულ ნაწილში და ძველ ნავსადგურში და გარდა ამისა ზოგ გარეუბანშიც. განახლების პროგრამამ, რომელიც კვლავ გრძელდება და შედგება სპეცპროექტებისგან და მიმდინარე რემონტის ღონისძიებებისგან, ხელი შეუწყო ქალაქის იმიჯის შეცვლას როგორც უცხოების ასევე თავად გენუელების თვალში და თანაც ქალაქის ამ უბნების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება გამოაცოცხლა. ქალაქის ისტორიული შუაგულის რეაბილიტაციამ, რომელიც უფრო ვრცელი სტრატეგიის ნაწილია, რაც მიზნად ისახავს მეტროპოლიის კომპლექსურ განვითარებას, შეძლო აეღორძინებინა გენუას უკეთესი მომავლის რწმენა, უცხოების ყურადღებაც მიიპყრო და ინვესტორებიც მოიზიდა სახარბიელო პირობების შექმნის წყალობით. კონფერენციის შემდგომ დაწერილი წერილი აჯამებს ქალაქის ძველი შუაგულის აღორძინების სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს და მიმოიხილავს დადებით შედეგებს და შექმნილ ნაკლოვანებებს.

კონტექსტი

გენუა ჩრდილო იტალიაში მდებარეოს და ლიგურიის ზღვას გადაყურებს. იგი თითქმის დაარსებიდანვე პორტის ფუნქციას ასრულებდა. გენუას ბუნებრივი ყურე ხმელთაშუა ზღვაში ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს. ამ მდებარეობამ გასულ საუკუნეებში ქალაქს გამორჩეული როლი დააკისრა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გენუა ოთხთაგან ერთ-ერთი საზღვაო რესპუბლიკა გახლდათ, რომლებიც

Luisa De Marco
Regional Directorate of Liguria for Cultural and Landscape Properties

MANAGING A MOSAIC OF PROJECTS TOWARDS A NEW IMAGE FOR GENOA

ABSTRACT

Over the last 30 years, with a sudden acceleration between 1992 and 2004, thanks to three major international events - the Columbus Celebrations - 1992, the Summit G8 in 2001 and the Genoa Capital of Culture - 2004 - Genoa, after some decades of economic and physical decline, has been at the centre of a comprehensive and extensive programme of urban regeneration that has invested the historic city and the old harbour, primarily, but also has touched more peripheral areas. This renovation programme, still in progress and made up of special projects and more ordinary maintenance activities, has contributed to change the image of the town as perceived by outsiders but also by its own inhabitants and has contributed to revitalise the socio-economic life of this part of the city. As an ingredient of a much wider strategy pursuing the comprehensive development of metropolitan area, the rehabilitation of the historic core of the city has been able to rebuild the confidence that a better future for Genoa is possible and to attract the attention of outsiders and, strengthening favourable conditions, investors. Following the conference, the paper summarizes the strategies and the instruments elaborated to achieve the recovery of the old core of the city and outlines some of the positive results as well as of emerging shortcomings.

THE CONTEXT

Located in northern Italy and facing the Ligurian Sea, Genoa has been a port town almost since its birth. Its natural harbour is the most northern in the Mediterranean Sea and this feature has given the city a prominent role in the past centuries. It suffices to remind that the city was one of the four Italian maritime republics which controlled larger tracts of the Mediterranean and Black Sea coast ports and that, in the 16th- 17th centuries, Genoa became an unrivalled financial power. The permanency of this geographical datum could only confirm Genoa's maritime commercial vocation, although in the 20th century the importance assumed by state-owned or state- subsidized industries - mainly in steel production and ship-building sectors - let the city neglect its original inclination.

It was only in the recent decades that the origins of the name "Genoa" - possibly from Janus, the two-faced god, or from the late-Latin word janua, meaning "gate" -, and therefore its 'natural' propensity to play a role as a commercial hub, have been revived

ხმელთაშუა და შავი ზღვების აკვატორიების პორტების უმსხვილეს მარშრუტებს აკონტროლებდნენ, ხოლო მე-16-ე და მე-17-ე საუკუნეებში ქალაქს ბადალი არ ყავდა როგორც საფინანსო ცენტრს. ამ გეოგრაფიული მოცემულობის მუდმივობა ხაზს უსვამს გენუას საზღვაო სავაჭრო მოწოდებას, თუმცა მე-20-ე საუკუნეში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფმა და სახელმწიფო სუბსიდიებით არსებულმა დარგებმა - ძირითადად ფოლადის წარმოებამ და გემთმშენებლობამ, რამაც ქალაქს თავდაპირველი დანიშნულება დაავიწყა.

მხოლოდ ბოლო ათწლეულებში დაიბრუნა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა სიტყვა "გენუამ", რომელიც სავარაუდოდ "იანუსიდან", ორსახოვანი ღმერთისგან მომდინარეობს, ან მეორე ვერსიით გვიანდელი ლათინური სიტყვა *janua*-სგან, რაც კარიბჭეს ნიშნავს. შესაბამისად აღდგა მისი "ბუნებრივი" თვისობრიობა, სავაჭრო კვანძის როლის შესრულება, როგორც ერთგვარი შთაგონება და თანაც შეგნებული არჩევანი ქალაქის მომავალი როლის განსასაზღვრად და ევროპულ სცენაზე ახალი ადგილის საპოვნელად.

ეკონომიკური ვარდნა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყო და განსაკუთრებით თავი იჩინა ოთხმოციან წლებში, მძიმე მრეწველობის დემონტაჟის შედეგად, რასაც ქალაქის მესვეურები მოუმზადებლები შეხვდნენ და თავი ვერ გაართვეს კრიზისის და წინა ათწლეულებში გენუას მიერ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე გაბატონებული ადგილის დაკარგვის შედეგებს. ქალაქის მესვეურებს თითქმის ოცი წელი დაჭირდათ, რათა უკუსვლის პოლიტიკა დაეძლიათ და გენუას მომავლის ალტერნატიული ხედვა ჩამოეყალიბებინათ. თუმცა ეს წლები მიძინების ხანად არ უნდა ჩავთვალოთ. ეს უფრო ერთგვარი ინკუბაციური პერიოდი იყო, რომელმაც დაბადა პროექტები, გეგმები, იდეები ქალაქის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადასაჭრელად, მართალია ჯერ კიდევ ძალზე ფრაგმენტული ფორმით, რასაც ჯერ ძალა არ შესწევდა ერთიან ხედვად ჩამოყალიბებულიყო.

გენუას ახალი ხედვა

მხოლოდ ოთხმოციანი წლების დასასრულს სცადა ქალაქის ხელისუფლებამ ხელახლა გაეაზრებინა გენუას მომავალი; უარი უნდა ეთქვათ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ მრეწველობაზე და გენუას ადრინდელი დანიშნულება გაეხსენებინათ: პორტი თავისი ინფრასტრუქტურით, ელექტრონიკა, ზუსტი მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა და ტურიზმი.

as an inspiration but also as a deliberate choice for defining the future role of the city and its re-positioning in the European stage.

The economic decline that started in the 1970s and became evident in the 1980s with heavy de-industrialisation phenomena left the city's ruling class unprepared to tackle with the consequences of the crisis and with the loss of centrality that Genoa suffered at the international and national levels since the preceding decades. The city's governing class took almost two decades to get out of this retreating attitude and to shape an alternative vision for the future of Genoa. However, those were not sleeping years, rather an incubation period, during which projects, plans, ideas to address some of the most urgent problems of the city were put forth, although still too fragmented to consolidate into a coherent vision.

A NEW VISION FOR GENOA

It was only since the late 1980s that the municipal administrations tried to reinvent a future for Genoa, no longer based on publicly subsidized industry, but anchored to some of Genoa's earlier vocations: the port with the logistics, the electronics, the precision engineering manufacturing, the shipbuilding and the tourism.

Politicians, entrepreneurs, intellectuals agreed on the fact that Genoa could not rely on one prevailing economic sector. The peculiarities and specific situation of the city made this not viable or wise: the major industries that supported the economic life of the city in the first half of the 20th century were all in crisis, a number of other manufacturing sectors were well established and relatively active, compared to others. On the other hand, the landscape and climatic peculiarities of the Ligurian Riviera, along with some international events that were base in Genoa (i.e., the Naval Fair, the Nervi Ballets, the International Paganini Prize) were seen as strengths that could be used as attracting factors for presenting the still unknown rich cultural heritage of the historic core of Genoa, which at the time was perceived only as a dreary industrial town, so as to exploit also its remarkable tourism potential.

Slogans such as "Genoa, the polycentric city", "Genoa, the beautiful city", "Genoa, city of doing" reflect the attempts to grasp the multiple facets/possibilities of Genoa, to promote and, at the same time, to set the kaleidoscopic image of the city as its peculiarity and strength.

The recovery of the urban and built heritage quality of the historic city was called to play a multiple role. In a number of areas, i.e. in the Castello district, where the School of Architecture found its new location, or in other still lively districts where urban maintenance intervention were carried out, the abandonment and decay trends slowed down or stopped, the real estate values increased, which allowed to make viable and economically interesting the rehabilitation of other buildings, carried out by both small owners

პოლიტიკოსები, მეწარმეები და ინტელექტუალები ერთ რამეზე შეთანხმდნენ; გენუა აღარ უნდა ყოფილიყო ერთი რომელიმე წამყვანი დარგის იმედად, რადგან ქალაქის თავისებურებებიდან და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ეს ვერ იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი და ბრძნული ნაბიჯი: მრეწველობის წამყვანი დარგები, რომლებიც ქალაქის ეკონომიკურ აღმავლობას ხელს უწყობდნენ მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში ახლა კრიზისს განიცდიდნენ. ქალაქში წარმოების სხვა დარგებიც იყო განვითარებული, რომლებიც სხვებთან შედარებით აქტიურობა შეინარჩუნეს. მეორეს მხრივ ლიგურიული რივიერას ლანდშაფტი და კლიმატური თავისებურებები და ამასთან ერთად საერთაშორისო ღონისძიებები, რომლებმაც ბინა დაიდეს გენუაში (მაგ. საზღვაო გამოფენა, ნერვის ბალეტი, პაგანინის საერთაშორისო კონკურსი) ქალაქის ძლიერ მხარეებად მოიაზრებოდნენ და შეიძლებოდა მათი გამოყენება გენუას, რომელიც მაშინ მოსაწყენ სამრეწველო ქალაქად აღიქმებოდა, ისტორიული ცენტრის ჯერაც უცნობი კულტურული მემკვიდრეობისადმი ყურადღების მისაპყრობად, რათა მისი შესანიშნავი ტურისტული პოტენციალის ათვისება მომხდარიყო.

სლოგანები, როგორიცაა მაგალითად, “გენუა მრავალცენტრიანი ქალაქი”, “გენუა მშვენიერი ქალაქი”, “გენუა ქმნადობის ქალაქი” ასახავდნენ მცდელობებს გენუას მრავალი წახნაგი/პოტენცია მოეცვათ, პოპულარიზაცია გაეწიათ და თანაც ქალაქის კალეიდოსკოპური სახე დაემკვიდრებინათ, რომელიც მის თავისებურებას და სიძლიერესაც წარმოაჩენდა.

ისტორიული ქალაქის ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობის თვისობრიობის აღდგენას მრავალფუნქციური როლი უნდა ეთამაშა. მთელ რიგ უბნებში, მაგ. კასტელოს (ციხე-სიმაგრის) რაიონში, სადაც არქიტექტურის სკოლამ თავისი ახალი ადგილსამყოფელი დაიმკვიდრა, ანდა ქალაქის სხვა, ჯერ კიდევ ხალხმრავალ ნაწილებში, სადაც შენობათა შეკეთება განხორციელდა, მიუსაფარობისა და ნგრევის პროცესები შენელდა ან სრულად შეჩერდა, უძრავი ქონების ფასები გაიზარდა, რამაც შესაძლებელი და ეკონომიკურად მიმზიდველი გახადა სხვა შენობების რეაბილიტაციაც, რასაც ხელი მიჰყვეს როგორც კონდომინიუმებში თუ კონსორციუმებში გაერთიანებულმა მცირე ბინათმფლობელებმა, ასევე უძრავი ქონების მსხვილმა მეპატრონეებმაც. თანაც ქალაქის მჭიდრო ტექსტურამ ქუჩების ხშირი და ვიწრო ქსელით თავიდან აგვაცილა ამ რაიონის უკიდურესი ჯენტრიფიკაცია და მან შეინარჩუნა ჯანსაღი სოციალური ნაზავი. ზოგიერთი ცენტრალური უბნის და ფუნქციუ-

organised in condominiums or consortia and large estate proprietors. However, the dense urban fabric along with the narrowness of the street network contributed to prevent the radical gentrification of the historic centre, which therefore has retained a healthy social mix. The urban regeneration of central areas and of large underutilised historic buildings, along with minor maintenance works, was able to modify the negative perception of this part of the city by the Genoese citizens. This was particularly important since the conviction that the old town was a depressed area, a burden and a limitation for the town development was widespread and somehow overlapping and confused with the lack of confidence in the city potential. Finally, the rehabilitation campaign, consciously promoted by the administration as an experimental 'urban laboratory', contributed to make known the cultural importance of this underrated city so as to attract visitors and, under favourable conditions, also investors.

The regeneration strategy was developed according to a double register: on the one side, structural, long term projects - i.e., the high speed corridor from Genoa to the north, the expansion of the port to the west of the city, the creation of a technological pole close to the airport, the improvement of the east-west urban mobility, the recovery of large, abandoned, formerly used areas and buildings such as the old harbour, the Ducal Palace, the Castello hill, in the city centre; on the other, light, short- term actions, i.e., the publicly funded or subsidized programmes for street repaving, façade maintenance, or infrastructure modernisation, that could rapidly change the inhabitants' quality of life and the perceptions of outsiders and, in this way, to attract private investments to supplement public ones.

Such an ambitious operation could not be achieved without the consensus of the Genoese civil society and of the major stakeholders. The administrators were well aware of this need and chose to focus on selected subjects whose positive response, in their view, was particularly useful to attain the objectives pursued with their programme. In the historic core, the most relevant stakeholders appeared to be first the 'newcomers', that is intellectuals, educated professionals, university professors who had bought flats in the historic area and had decided to live there, and, secondly, the old proprietors, descendants from the ancient Genoese families, who owned large numbers of rented apartments and often entire palaces. It was not necessary to convince the first ones of the potential of the historic core; additionally, they were affluent enough to afford investing in the renovation of their property. On the other hand, convincing the second type of owners to be part of the process was necessary - from their participation in the renovation programme could depend its success or failure - although not raely difficult, due to their conservative and prudent attitude, which looked at their inheritance as a burden and, at the same time, as a source of income to be exploited. The other stakeholders relevant for the municipality were shop-

რად ნაკლებად დატვირთული დიდი ისტორიული შენობების ურბანული გარემოს აღდგენამ, მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, შეძლო გენუელების ცნობიერებაში ქალაქის ამ ნაწილის უარყოფითი აღქმა შეეცვალა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, ძველი ქალაქი დეპრესიულ ადგილად ითვლებოდა, რომელიც გენუას ტვირთად აწვა და აფერხებდა მის განვითარებას, რასაც თან ერწყმოდა უნდობლობა ქალაქის პოტენციალისადმი. საბოლოოდ რეაბილიტაციის კამპანიამ, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციამ შეგნებულად ჩაატარა, ხელი შეუწყო შერისხული ქალაქის კულტურული მნიშვნელობის აღიარებას, რამაც მნახველები უმრავლა და მათთან ერთად ინვესტორებიც.

აღდგენის სტრატეგია ორმაგი რეგისტრის მიხედვით შემუშავდა: ერთის მხრივ სრულდებოდა სტრუქტურული, ხანგრძლივ-ვადიანი პროექტები - მაგ. გენუადან ჩრდილოეთით მიმავალი ჩქაროსნული დერეფანი, პორტის გაფართოება ქალაქის დასავლეთი კიდისკენ, აეროპორტის გვერდით ტექნოლოგიური პოლუსის შექმნა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე ქალაქის გამავალობის გაზრდა, წარსულში ათვისებული და ახლა მიტოვებული ვრცელი ტერიტორიების და ნაგებობების აღდგენა, როგორიცაა ძველი ყურე, დუკას სასახლე, კასტელოს გორა ქალაქის ცენტრში; მეორეს მხრივ მსუბუქი, მოკლე-ვადიანი ღონისძიებები ტარდებოდა, მაგ. ქუჩების საგზაო საფარის აღდგენა, ფასადების შეკეთება, ან ინფრასტრუქტურის განახლება, რასაც სწრაფად შეეძლო მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება და გარეშეთა აზრის შეცვლა ქალაქზე, რითიც შესაძლებელი გახდა კერძო ინვესტიციების მოზიდვაც სახელმწიფო დაფინანსების შესავსებად.

ასეთი ამბიციური ოპერაცია ვერ განხორციელდებოდა გენუას სამოქალაქო საზოგადოების და მთავარი დაინტერესებული მხარეების თანხმობის გარეშე. ქალაქის ხელისუფლებამ კარგად უწყოდა ეს და თავიდანვე გააკეთა აქცენტი შერჩეულ სუბიექტებზე, რომელთა დადებითი რეაქციის შემთხვევაში, მათი აზრით, შესაძლებელი იქნებოდა პროგრამის ამოცანების მიღწევა. ისტორიულ ცენტრში ყველაზე რელევანტური სუბიექტების პირველი ჯგუფის სახით მოიაზრებოდნენ “ახალმოსულები”, - ინტელექტუალები, განათლებული პროფესიონალები, უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც ისტორიულ უბანში ბინებს იძენდნენ და სამუდამოდ დამკვიდრებასაც აპირებდნენ, მეორე ჯგუფს ძველი მეპატრონეები, უძველესი გენუელი ოჯახების შთამომავლები შეადგენდნენ, ვისაც გასაქირავებელ ბინათა უმრავლესობა ეკუთვნოდა და ხშირად მთელ სასახლეებსაც ფლობდნენ. საჭირო იყო პირველების დარწმუნება ისტორიული ცენტრის პოტენციალში; გარდა ამისა მათ საკმაო შეძლება ქონდათ, რომ საკუთარი ქონების შეკეთებაში გარკვეული თანხა დაებანდებინათ. მეორეს მხრივ, აუცილებელი იყო მეპატრონეთა მეორე ჯგუფის დარწმუნება ჩართულიყვნენ პროცესში, რადგან მათ მონაწილეობაზე დამოკიდებული იყო განახლების პროგრამის წარმატება, თუმცა ეს იოლიც არ იყო ამ უკანასკნელთა კონსერვატიული და ფრთხილი დამოკიდებულების გამო, მიიჩნევდნენ რა საკუთარ მემკვიდრეობას, ერთის მხრივ, ტვირთად და ამავდროულად შემოსავლის წყაროდაც, რომლის ექსპლუატაცია სურდათ. სხვა რელევანტური დაინტერესებული მხარეები, მერიის აზრით, იყვნენ მაღაზიების მეპატრონეები, წვრილი ვაჭრები, ბარების და რესტორნების მფლობელები... რომელთა ჩართვაც და ხელშეწყობაც აუცილებელი იყო ურბანული აღდგენის პროგრამის წარმატებისათვის. ამავდროულად მერია რაიმე განსაკუთრებულ ნაბიჯებს არ დგამდა ისტორიული ცენტრის ყველა მცხოვრების მოსაზიდად, ეს ხდებოდა მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციებში, როდესაც სოციალური პირობები და შერჩეული რეაბილიტაციის პროგრამის ტიპი მოითხოვდა გარკვეული ინსტრუმენტების შემუშავებას, თუმცა ამას ძირითადად კომუნიკაციის სფეროში ჰქონდა ადგილი. ასეთი მიდგომა დასაწყისში ეფექტური აღმოჩნდა, რადგან პროცესები დააჩქარა, თუმცა დღეს უკვე თავი იჩინა მისმა გარკვეულმა შეზღუდულობამაც და გვერდითმა მოვლენებმაც (იხ. ქვემოთ).

ინსტრუმენტები

ქალაქის მომავლის ხედვას და მერიის მიერ შემუშავებული სტრატეგიას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეწერა აღსრულება, თუ გეგმები და პროექტები, რომლებსაც სხვადასხვა სირთულე და ვადები ქონდათ და წარმოუდგენლად ბევრ ფინანსურ, ტექნიკურ, ადამიანურ რესურს მოითხოვდნენ, რასაც მხოლოდ სახელმწიფო სექტორში თუ იპოვიდი, ერთდროულად უფრო ფართო, ტერიტორიულ დონეზე და, ამავე დროს, ადგილობრივ დონეზეც განხორციელდებოდა.

ამ რთული და დანაწევრებული მანქანის სამართავად მერიის ადმინისტრაციამ კომპლექსური სტრატეგიული მონახაზი შეიმუშავა, სადაც განსაზღვრული იყო ამოცანები და მოქმედების მიმართულებები, ხდებოდა დაგეგმილი პროექტების სისტემატიზაცია და პრიორეტიზაცია, რის შედეგადაც საბოლოოდ ყველა ქმე-

დება ერთ გენერალურ გეგმაში, “ქალაქის გეგმაში” გაერთიანდა. ეს გეგმა, გარდა იმისა, რომ განსაზღვრავდა მიწათსარგებლობის წესებს და აწესებდა სამშენებლო სტანდარტებსა და შეზღუდვებს, კოორდინაციას უწევდა მსხვილმაშტაბიან და კომპლექსურ ტრანსფორმაციას, რომელიც მიმდინარეობდა ქალაქში და, განსაკუთრებით, მის ისტორიულ ცენტრში.

რამოდენიმე პროექტის წამოწყება და განხორციელება მოხერხდა ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, რომელიც ეროვნული და ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურების ძირეული რეფორმის შედეგად შეიქმნა ოთხმოცდაათიან წლებში. ამ რეფორმამ შემოიტანა სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეს და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ახალი პრინციპები და მოდელები, რასაც შემდგომში დაერთო სხვადასხვა მექანიზმის შემუშავება, რომლებიც ხელს უწყობდნენ და არეგულირებდნენ სხვადასხვა მონაწილე მხარის ურთიერთქმედებას. პარალელურად, ეროვნულ დონეზე შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების მხარდაჭერით შემუშავდა სხვადასხვა დარგთაშორისი ურბანული გადაკვალიფიცირების პროგრამები იმ პროექტების სტიმულაციისათვის, რომლებიც ერთდროულად ფიზიკურ ჩარევას და ეკონომიკურ-სოციალური სტრატეგიის შემუშავებას ითვალისწინებდნენ.

ამრიგად ქალაქის ადმინისტრაციას ხელი მიუწვდებოდა ეროვნული და რეგიონული დონის სხვადასხვა ინსტრუმენტებზე: ასეთია მაგ. ქალაქის განახლების და ტერიტორიის მდგრადი განვითარების პროგრამა (PRUSST), ქალაქის უბნების ინოვაციური პროგრამები (PIAU), ორივე პროგრამა დაარსა და ნაწილობრივ აფინანსებს ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივ ნაგებობათა სამინისტრო, აგრეთვე სახელმწიფო საცხოვრებელი რაიონების ფიზიკური ურბანული რეაბილიტაციის პროგრამები (PRU) უბნის კონტრაქტები (CQ), რომლებიც ზრუნავენ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ სახლებზე, მათ შეკეთებაზე, ენერგიის რაციონალურ მოხმარებაზე, ისინი შეიქმნა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით და ითვალისწინებს პარტნიორობას სახელმწიფო და კერძო სუბიექტებს შორის, ანდა ოპერატიული ზომების ორგანული პროგრამა (POI), რომელიც რეგიონული კანონმდებლობის მიხედვით ჩამოყალიბდა და მსგავსი მოქმედების სფერო და მიზნები აქვს. ზემოთხსენებული პროგრამები ინტეგრირებულ იქნა ევროკავშირის ტრანს-ნაციონალური თანამშრომლობის და ურბანული გადაკვალიფიცირების პროგრამებთან, მაგ. პროგრამები URBAN-ი, INTERREG-ი. გარდა ამისა დამატებით დაწესდა კონკრეტული ზო-

keepers, retailers, bar and restaurant owners… who had to be involved and supported so as to ensure their engagement in the urban regeneration programme. On the other hand, the municipality has not made any special effort to sensitize all inhabitants of the historic centre, unless in specific situations in which social conditions and the type of selected rehabilitation programme required to elaborate tools that, however, mainly remain in the communication area. This approach paid off at the beginning, with a quicker implementation, but today is showing its limits and side effects (see below).

THE TOOLS

The vision developed for the future of the city and strategy set up by the administrators could be implemented only through plans and projects elaborated at both the wider, territorial and the local levels, with different degrees of complexity and timeline of implementation and a conspicuous amount of resources - financial, technical, human - that could only searched in the public sector.

To manage the complex and articulated engine put in place, the municipal administrations made the effort to build a comprehensive strategic framework by identifying objectives and action lines and by systematizing and prioritizing planned projects and implemented interventions that were finally consolidated into a master plan - the "Plan for the city". This Plan, beyond regulating the land-uses and establishing building standards and limitations, coordinated the large and complex transformations that were taking place within the city and particularly in its historic central area.

Several projects could be initiated and implemented thanks to the specific national circumstance that, in the 1990s, saw a profound reform of the organisational national and local administrative engine. This reform introduced new principles and modalities of cooperation among public administrations at the different levels and between the public and private sectors, being further accompanied by several instruments to facilitate and regulate the collaboration among several actors. In parallel, intersectional urban requalification programmes supported by appropriate financial tools were developed at the national level so as to stimulate projects that integrated both physical intervention and economic/social strategies.

The city administration therefore could take advantage from a wide range of instruments at the national and regional levels: i.e., the PRUSST, programmes for urban rehabilitation and sustainable development of the territory, the PIAU or innovative programmes for urban districts, both established and funded partially by the Ministry of Infrastructures and Public Works, the PRU or programmes for the physical urban rehabilitation of public residence compounds, the CQ or neighbourhood contracts, focused on public housing, regeneration, energy conservation, established by national laws and envi-

მები ეკონომიკური გამოცოცხლების მისაღწევად, კერძოდ ქუჩის ინტეგრირებული ცენტრები (CIV) და საწარმოთა ინკუბატორი (IdI). პირველი მიზნად ისახავს ეკონომიკური სტრუქტურის გამოცოცხლებას საერთო სარგებლობის ადგილების და ქუჩის ავეჯის მოვლა-რემონტის ჩათვლით, მეორე დაფინანსდა ეროვნული კანონის თანახმად საწარმოო საქმიანობის სამინისტროს მიერ და მიზნად ისახავს ეკონომიკური სტრუქტურების გამოცოცხლებას ეკონომიკური, ტექნიკური და სამეურნეო მხარდაჭერის აღმოჩენით, ახალი საქმიანობის წამოწყებისას დაბალპროცენტიანი სესხების უზრუნველყოფით და საქმიანობის პირველი ორი წლის განმავლობაში ფართის ქირის თანადაფინანსებით.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS), რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ისტორიული ცენტრის შესახებ ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციის ორგანიზებისათვის, საშუალებას იძლეოდა ამ პროგრამებით ძველ ქალაქში გათვალისწინებული ყველა სამუშაო დატანილ ყოფილიყო რუკებზე, მოეხდინათ მათი პრიორეტიზაცია და შესრულების მონიტორინგი. GIS-ი ძირითადი იარაღი გახდა ისორიული ქალაქის ოპერატიული გეგმის შესამუშავებლად, რომელიც შეიქმნა გენუას ძველ ცენტრში მიმდინარე გარდაქმნის გეგმიური და მიმდინარე სამუშაოების ვადების გასაკონტროლებლად.

GIS-ი სისტემა CIVIS-ის, ევროკავშირის დაფინანსებული საპილოტე პროექტის, კავშირის ერთ-ერთი ხაზი იყო. სხვადასხვა ფუნქციებთან ერთად იგი ითვალისწინებდა ტერიტორიული საინფორმაციო სიტემის შექმნასაც, ძველი ქალაქის შენობათა არქეოლოგიურ და სტრუქტურულ ანალიზს, თავაზობდა კონსერვაციის ტექნიკური მეთოდებისა და მასალების კატალოგს, მართვის პროგრამას ქალაქის ჰიგიენის, წყალმომარაგების და ჰიდრო-გეოლოგიური სისტემის გასაუმჯობესებლად. ტერიტორიული მონაცემების ბაზა დღესღეობით 30 000-ზე მეტი გეოდეზიური აზომვების ბარათისგან შედგება, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას შენობების სივრცობრივ განლაგებაზე, სართულიანობაზე, ტრანსფორმაციაზე, სტრუქტურასა და შემადგენელ ნაწილებზე, ნგრევის პროცესზე, პირველი სართულების კომერციულ საქმიანობაზე და ფოტოებს. გარდა ამისა მოხდა ისტორიული რუკების და საკადასტრო მონაცემების მიბმა განახლებულ კარტოგრაფიაზე. ეს ვრცელი ინფორმაცია აგრეთვე გამოიყენება სასწრაფო რეაბილიტაციისას და პრიორიტეტების განსაზღვრისას. ეს ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მერიას სხვადასხვა პროექტების განხორციელების და ახალი აზომვების შემ-

sioning partnerships among public and private actors, or the POI, organic programmes of intervention, established by a regional law and with similar scope and goals. These were integrated also by EU programmes for the transnational cooperation and urban requalification, i.e. URBAN, INTERREG programmes. Additionally, specific measures for the economic revitalisation were established, namely the CIV or street integrated centres and the IdI or enterprise incubator. The first is a programme for revitalizing the economic fabric through the maintenance of public spaces and street furniture, the second has been funded through a national law by the Ministry of Productive Activities aiming at revitalizing the economic fabric through the economic, technical and managerial support to new activities by providing low-interest loans, and contributing to rent expenses for the first two years of the activities.

All the actions foreseen in the old city by these integrated programmes could be mapped, prioritized and their implementation monitored through a Geographical information System which was initially developed to organise the huge amount of information collected on the historic city along decades of research. This GIS became the basilar tool for the Operational Plan of the Historic City, a plan developed to manage the scheduled and ongoing transformations of the old core of Genoa, according to their timeline.

მაგალითად, მოსწავლეებმა ისწავლეს პრაქტიკული სადურგლო საქმე, ააგეს რა თავიანთი მზრუნველობის ქვეშ მყოფი სახლების 1:10 მასშტაბის მაკეტები. მათ შეისწავლეს მათემატიკა როდესაც ზომავდნენ სახლს მაკეტის ასაგებად. მათ ასევე მიიღეს გამოცდილება წერაში, კვლევასა და ჯგუფურ მუშაობაში. ისინი წერდნენ სტატიებს ადგილობრივი გაზეთებისათვის, აწარმოებდნენ ინტერვიუებსა და საარქივო კვლევებს შენობების შესახებ და ამზადებდნენ პრეზენტაციებს. მეტიც, ისინი სწავლობდნენ ინგლისურს პრეზენტაციების თარგმნით. მოსწავლეები აწყობდნენ ექსკურსიებს მშობლებისათვის, ბებია-ბაბუებისათვის და ნორვეგიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სკოლის მოსწავლეებისათვის. საარქივო კვლევებისა და ინტერვიუების საფუძველზე მათ გააცოცხლეს იმ ადამიანების ყოველდღიურობა, ვინც ცხოვრობდა ამ ისტორიულ შენობებში და თეატრალიზებულად წარმოადგინეს იგი.[5]

როგორც აღვნიშნეთ, როროსის მუნიციპალიტეტში 5600 ადამიანი ცხოვრობს. პროექტის მსვლელობის მეორე წელს მასში ჩართული იყო დაახლოებით 1500 ადამიანი. პროექტში მონაწილეობდა 22 კლასი, რაც დაახლოებით 560 მოსწავლესა და 60 მასწავლებელს უდრის, ამას კიდევ დამატებული ბავშვების ოჯახის წევრები. პროექტმა თითქმის ყველა დონეზე წარმატებულად ჩაიარა, მის მეშვეობით კონსერვაცია ბავშვების ბუნებრივ საქმიანობად იქცა. თუმცა, როგორც ყველა პროექტს, მასაც ახლდა გამოწვევები.

რა ვისწავლეთ:

- ვანდალიზმის შეჩერების კუთხით პროექტმა სასიცოცხლო როლი შეასრულა. თუმცა ძნელია დავასკვნათ, რომ მხოლოდ მან განაპირობა ვანდალიზმის შეჩერება. პროექტის დაწყებისთანავე გადაიჭრა ვანდალიზმის პრობლემა, ხოლო პროექტის მსვლელობისას თვალსაჩინო გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისადმი გაზრ-

Now the adoption program is carried out only over a week in the spring. This is an unfortunate break with the original intention of making the project an "everyday" activity, and the pupils thus experience the adoption as something extraordinary, which is not always positive.[7]

SUMMING UP

Public involvement and shared responsibility is a characteristic feature in the field of cultural heritage in Røros. Unfortunately, as both projects show, being a small community often involves challenges in terms of capacity both on human resources as well as funding.

In the Conflagration Project, the Vice Fire Chief took the necessary steps to involve the house owners. This was done voluntarily and in his spare time. As soon as he retired, nobody was willing to continue working around the clock in the same manner as he had done. This is of course understandable, and in hindsight it is easy to see that he had made himself indispensable to the completion of the project. However, the project showed that revitalisation of historical structures customised to fit modern lives, had a real impact on the attitudes of the house owners and their awareness on fire prevention.

The House Adoption Project was and still is considered a successful project on a national level. Here too, the project leader played an important role in coordinating the two institutions. The pupils were handed a serious responsibility in the adoption of the old buildings, and they were willing to take that responsibility. As one of the pupils told the Norwegian Minister of the Environment while visiting Røros and the project: "It is the Røros museum that owns the buildings, but it is we (the pupils) that take care of them." The clue to the success among the pupils was to give them responsibility and treat them as serious workers, which they indeed were. As the funding was terminated after the three years, the school and the museum did not find it possible to maintain the same level of activity.

4. საუბარი იონ ჰოლმ ლილეგელტენთან როროსის მუზეუმიდან

5. უნდა აღინიშნოს, რომ როროსის სპილენძის ქარხნის არქივი ინფორმაციის არაჩვეულებრივი რესურსია. ამჟამად მას იუნესკო პროგრამაზე "მსოფლიოს მეხსიერება" წარადგენენ.

7. See Hilde Lidén, "Husadopsjon Røros Evaluering av et samarbeidsprosjekt mellom Røros Museum og Røros grunnskole", ISF Rapport (2005:002) Oslo, Institutt for samfunnsforskning (2005)

დილი პატივისცემა.

- შენობების სასკლასო ოთახებად გამოყენების იდეის განხორციელებას ხანგრძლივი დაგეგმვა დასჭირდა, რადგანაც მუზეუმსა და სკოლას უნდა მოეხერხებინა სავალდებულო ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება.
- ახალ სასწავლო გარემოში ჩართვა ყველაზე პატარებს უფრო გაუადვილდათ, ვიდრე 13-16 წლის თინეიჯერებს.
- მაშინ როცა მოსწავლეთა დონეზე ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, რიგი განსხვავებულობების გამო, საკმაო სირთულეები წარმოიშვა ინსტიტუციონალურ დონეზე:
  1. მუზეუმს ერთდროულად რამოდენიმე პროექტი აქვს, რაც მძიმე ტვირთად აწვება მუზეუმის თანამშრომლებს, რომელთაც უხდებათ თავიანთი სამუშაო საათების ეფექტურად გადანაწილება. ამავდროულად მათ მრავალი გაუთვალისწინებელი საქმეც აქვთ, რაც ასევე მყისიერ ყურადღებას მოითხოვს.
  2. სკოლას ბევრი თანამშრომელი ჰყავს და მათგან ყველას მოტივირება, გადაეტანათ გაკვეთილები ისტორიულ ნაგებობებში, არც ისე ადვილი იყო. ამავდროულად სკოლის მასწავლებლებს უხდებოდათ გაკვეთილების განრიგის დიდი ხნით ადრე დაგეგმვა და მუზეუმთან შეთანხმება.
  3. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პროექტის ხელმძღვანელს, რომელსაც ორივეგან ჰქონდა ოფისი. მაგალითად, როდესაც ის დეკრეტში გავიდა 2003 წელს, პროექტმა დაღმასვლა განიცადა.
  4. პროექტიდან ჩვეულ რეჟიმზე გადასვლა. როდესაც პროექტი დასრულდა და შეწყდა გარე დაფინანსება, გადაწყდა გაგრძელებულიყო სახლზე მზრუნველობის პროგრამა. სკოლასაც და მუზეუმსაც კარგად ესმოდა, რომ იმისათვის, რომ პროექტს გაეგრძელებინა არსებობა, საჭირო იყო უფრო მსუბუქი და ნაკლები რესურსის მომთხოვნი პროექტის შემუშავება.

2004 წლიდან, პროექტის დასრულების შემდეგ პროგრამა კვლავაც გრძელდება, მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბით. სახლზე ზრუნვის პროგრამა ხორციელდება ერთი კვირის მანძილზე ყოველ გაზაფხულზე. ეს რა თქმა უნდა დასანანი ცვლილებაა, მაშინ როდესაც თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, პროექტი ყოველდღიურ აქტივობაში უნდა გადაზრდილიყო. ამჯერად, სახლზე ზრუნვის პროგრამა ბავშვებისათვის რაღაც განსაკუთრებულია, რაც ყოველთვის დადებითი არ არის.[6]

რეზიუმე

როროსის კულტურული მემკვიდრეობის სფეროსათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი ჩართულობა და საერთო პასუხისმგებლობა. თუმცაღა, როგორც ორივე პროექტის მაგალითზე დავინახეთ, მცირე თემში ხშირია გამოწვევები როგორც ადამიანური ისე ფინანსური რესურსის სიმწირის მხრივ.

სახანძრო პროექტში სახანძრო სამსახურის უფროსის მოადგილემ მოახერხა, ჩაერთო სახლის მფლობელები. მან ეს ნებაყოფლობით და საკუთარი თავისუფალი დროის ხარჯზე გააკეთა. მისი პენსიაში გასვლის შემდეგ, არავინ მოინდომა, გაეგრძელებინა მის მსგავსად დღე და ღამე მუშაობა. ეს რა თქმა უნდა გასაგებია და დღევანდელი გადმოსახედიდან კარგად ჩანს, რომ მან საკუთარი თავი შეუცვლელი გახადა პროექტის განხორციელებისათვის. თუმცაღა, პროექტმა გვაჩვენა, რომ ისტორიული სტრუქტურების რევიტალიზაციას და თანამედროვე ცხოვრებასთან მორგებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სახლის მფლობელებზე და მათ მიერ სახანძრო უსაფრთხოების საკითხების უკეთ აღქმაზე.

სახლზე მზრუნველობის პროექტი იყო და დღემდე ეროვნულ დონეზე აღიარებულია როგორც წარმატებული პროექტი. აქაც, პროექტის ხელმძღვანელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორ უწყებას შორის კოორდინაციის საქმეში. მოსწავლეებს სახლზე ზრუნვით სერიოზული პასუხისმგებლობა დაეკისრათ, რაც მათ პირნათლად იტვირთეს. როროსში პროექტის მოსანახულებლად სტუმრად ჩასულ ნორვეგიის გარემოს დაცვის მინისტრს ერთ-ერთმა მოსწავლემ უთხრა: "შენობებს როროსის მუზეუმი ფლობს, მაგრამ მათ ჩვენ (მოსწავლეები) ვუვლით." მოსწავლეებთან მიღწეული წარმატების გასაღები მდგომარეობდა მათთვის პასუხისმგებლობის გადანაწილებაში და მათ მიმართ, როგორც სერიოზულ თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში. დაფინანსების დასრულების შემდეგ სამი წლის თავზე, მუზეუმმა და სკოლამ ვეღარ მოახერხა მსგავსი აქტოვობის დონის შენარჩუნება.

---

6. იხ. *Hilde Lidén, "Husadopsjon Røros Evaluering av et samarbeidsprosjekt mellom Røros Museum og Røros grunnskole", ISF Rapport (2005:002) Oslo, Institutt for samfunnsforskning (2005)*

ოლენა ოლეინიკ
უკრაინის არქიტექტორთა ეროვნული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი

კიევის წმ. სოფიას ტაძრის და მასთან დაკავშირებული სამონასტრო შენობების ბუფერულ ზონაში ურბანული რეკონსტრუქციის პროექტების ორგანიზაციის პრინციპები

წმინდა სოფია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი, კიევის რუსეთის პერიოდის მთავარი საკათედრო ტაძარი და კიევის ცენტრალურ ნაწილში მდებარე არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლია. 1037 წელს აგებული და 1688 წელს უკრაინული ბაროკოს სტილში აღდგენილი ტაძარი შედგება 13 გუმბათისაგან. თავად ტაძრის და მისი მიმდებარე შენობების გარდა შემორჩენილია ინტერიერის ზოგიერთი ნაწილი, კერძოდ: 260 კვადრატული მეტრი მოზაიკის პანელები და დაახლოებით 3000 კვადრატული მეტრი ფრესკები.

ტაძრის გარდა, არქიტექტურული ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს კიდევ 11 შენობას, მათ შორის, მე-18 საუკუნეში პოლტავის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად აგებულ სამრეკლოს, სატრაპეზოს, ბერების საცხოვრებელს და სენაკებს. ეკლესიასთან ერთად სამრეკლო ქმნის სოფიისკას მოედნის არქიტექტურულ ანსამბლს. ძირითადი ვიზუალური ხაზი წმ. სოფიას მე-12 საუკუნეში აგებულ, 1937 წელს დანგრეულ და 1997 წელს აღდგენილ წმ. მიხეილის ოქროს გუმბათების ტაძართან აკავშირებს. წმ. სოფიას სამრეკლოდან იშლება წმ. მიხეილის ხედი. ეს ორი კათედრალი ერთმანეთს ერწყმის და ქალაქის მთავარი ქუჩის, ხრეშჩატიკის შორეული კუთხიდან დანახული ქმნის ქალაქის ზედა ნაწილის ერთიან პანორამას.

Photo: Oliynyk. ფოტო: ოლეინიკი

Panorama Mihailovsky Goldendomes Cathedral
მიხეილის ოქროსგუმბათოვანი კათედრალის პანორამა

Olena Oliynyk
Vice-president of National Union of Architects of Ukraine

THE PRINCIPLES OF ORGANIZING URBAN REDEVELOPMENT PROJECTS IN THE BUFFER ZONE OF THE ST. SOPHIA CATHEDRAL AND RELATED MONASTIC BUILDINGS IN KIEV

Saint Sophia is a UNESCO site, the main church of Kievan Rus, and the principal architectural monument in the central part of Kiev. Built in 1037 and rebuilt in the Ukrainian Baroque style in 1688, it has 13 domes. In addition to the cathedral itself and adjacent buildings, some of the interiors have been preserved: 260 square meters of mosaic panels and about 3000 square meters of frescoes.

Apart from the cathedral, the territory of the architectural reserve includes another 11 buildings, among them the bell tower erected in the early 18th century to mark the victory in the Battle of Poltava, the refectory, the brethren's building, and the cells. Together with the church, the bell tower forms the architectural ensemble of Sofiyska Square. The main visual axis connects St. Sophia with the St. Michael's Cathedral of Golden Domes, which was built in the 12th century, demolished in 1937 and rebuilt in 1997. A view on St. Michael's opens from St. Sophia's bell tower. The two cathedrals tie together into a sweeping panorama of the Upper Town as seen from the far side of Khreshchatyk, the city's main street.

The buffer zone of the World Heritage site St. Sophia Cathedral with its complex of monastic buildings occupies an area of 111 hectares in downtown Kiev and is an important element of the city's current conservation zone. Its territory includes the so called Upper Town and a part of the architectural and archeological protected zones of "Prince Yaroslav's City." While the declared regime of the buffer zone meets the requirements of the Law of Ukraine On the Protection of the Cultural Heritage and international agreements about conserving immovable cultural heritage, the real situation around this cultural monument of world significance is rather complicated.

Firstly, the buffer zone lies inside the city's administrative, commercial and cultural center. Centrally located, it is oversaturated with residential housing, commercial and administrative buildings.

Since the existing transport infrastructure does not provide for the creation of pedestrian areas, the streets, sidewalks and even public gardens are oversaturated with public and private transport, unauthorized parking, etc.

Secondly, the buffer zone is the responsibility of the Ministry of Construction and Architecture - an agency which is interested in stepping up down-

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის წმ. სოფიას საკათედრო ტაძრის ბუფერულ ზონას მის სამონასტრო შენობების კომპლექსთან ერთად კიევის ცენტრში 111 ჰექტარი უკავია და ქალაქის არსებული კონსერვაციის ზონის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი ტერიტორია მოიცავს ე.წ. "ზემო ქალაქს` და "თავადი იაროსლავის ქალაქის` დაცული არქიტექტურული და არქეოლოგიური ზონების ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ბუფერული ზონის დეკლარირებული რეჟიმი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ უკრაინის კანონის და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ამ მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მონუმენტის ირგვლივ არსებული რეალური ვითარება საკმაოდ რთულია.

უპირველეს ყოვლისა, ბუფერული ზონა მდებარეობს ქალაქის ადმინისტრაციულ, კომერციულ და კულტურულ ცენტრში. ქალაქის ცენტრში მდებარეობის გამო იგი გადატვირთულია საცხოვრებელი სახლებით, კომერციული და ადმინისტრაციული შენობებით.

ვინაიდან არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ფეხით მოსიარულეთა ზონების შექმნის საშუალებას არ იძლევა, ქუჩები, ტროტუარები და საზოგადოებრივი პარკებიც კი საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტით, უკანონო ავტოსადგომებით და ა.შ. არის გადატვირთული.

მეორეს მხრივ, ბუფერული ზონა მშენებლობის და არქიტექტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია - იმ უწყების, რომელიც ქალაქის ცენტრალური ნაწილის ინტენსიური განაშენიანებით და არა ძეგლების კონსერვაციისათვის საჭირო პირობების შექმნით არის დაინტერესებული. მშენებლობის სიმჭიდროვე ძალიან მაღალია.

და ბოლოს, აღნიშნულ ზონაში მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის უამრავი ძეგლი საჭიროებს ყოველმხრივ გადაუდებელ რესტავრაციას, რისთვისაც ხელისუფლებას არც სახსრები და არც სურვილი არ გააჩნია. კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ამ განაშენიანებული ტერიტორიის შერეული ფუნქციონალური დატვირთვა, სადაც ძირითადი აქცენტი დამხმარე ინფრასტრუქტურას მოკლებულ საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობებზე კეთდება.

ასეთ პირობებში, უკრაინის არქიტექტორთა ეროვნული კავშირის და უკრაინის არქიტექტურის აკადემიიის მიერ ჩატარებული იქნა საპროექტო ტენდერები, რომელთა მიზანი იყო ბუფერული ზონის რევალორიზაციის ძირითადი პრინციპების დადგენა. ბოლო ასეთი

Saint Sophia. Photo: State Register of Ukrainian Monument
წმ. სოფია. ფოტო: უკრაინის ძეგლთა სახელმწიფო რეესტრი

town construction rather than creating conditions for monument conservation. The building density is very high.

Thirdly, the poor condition of numerous architectural monuments of local significance in this area calls for their urgent comprehensive restoration, for which the authorities have neither the funds nor the will. Another major problem is the mixed functional use of this built-up area, with heavy emphasis on housing and administrative buildings lacking supportive infrastructure.

Under these conditions, the National Architects Union of Ukraine and the Ukrainian Academy of Architecture initiated a number of design competitions to determine the basic principles of revalorization of the buffer zone. The latest of these competitions took place in 2007. The first prized was awarded to a design directed by our architectural group.

The main provisions of the designs were as follows: within the buffer zone, the St. Sophia's architectural ensemble should be regarded as the architectural and spatial core of the integral historic town-planning process as a result of which the Upper Town emerged; the traditional character of urban environment should remain prevalent throughout the entire territory of the buffer (protected) zone of the architectural ensemble; new additions should be subordinated to and organically combined with it; and the maximum permissible height of buildings, newly built or heightened, may not exceed that of adjacent historic ones, that is 12 to 25 meters.

The next step in regulating development in the area was to determine the so-called "blue lines" - the development height limit for the highest-risk neighborhoods. Within the framework of town-planning requirements (Phase One), it was proposed to set height restrictions on new development in absolute values according to the Baltic Coordinate System.

It should be noted that far from all counties use "blue lines" in regulating urban development. However, the present-day situation with architectural conservation in Ukraine is so anarchic that it requires

ტენდერი ჩატარდა 2007 წელს. პირველი პრემია ჩვენი არქიტექტორების ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროექტს ერგო.

წარმოდგენილი პროექტების ძირითადი პირობები იყო შემდეგი: ბუფერულ ზონაში წმ. სოფიას არქიტექტურული ანსამბლს ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს ერთიანი ისტორიული ქალაქგეგმარების პროცესის არქიტექტურულ და სივრცითი მოწყობის ნაწილში, რამაც ბიძგი მისცა ზემო ქალაქის წარმოშობას; ურბანული გარემოს ტრადიციული სახე პრიორიტეტულად უნდა დარჩეს არქიტექტურული ანსამბლის ბუფერული (დაცული) ზონის მთელ ტერიტორიაზე; ახალი მშენებლობები უნდა დაექვემდებაროს და ორგანულად შეერწყას მას; და ახლად აშენებული ან მაღლივი შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს მიმდებარე ისტორიული შენობებისას, კერძოდ 12-25 მეტრს.

აღნიშნულ ტერიტორიის განვითარების რეგულირების შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა ე.წ. „ლურჯი ხაზებს“ - ყველაზე მაღალი რისკის მატარებელ მომიჯნავე ტერიტორიებზე შენობა-ნაგებობების დასაშვები სიმაღლის დადგენა. ქალაქგეგმარების მოთხოვნების (I ფაზა) ფარგლებში შეთავაზებული იქნა ახალი შენობა-ნაგებობებისათვის სიმაღლის შეზღუდვების დაწესება აბსოლუტური სიდიდეების გამოყენებით, ბალტიურ კოორდინატთა სისტემის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა როდი იყენებს „ლურჯ ხაზებს“ ურბანული განვითარების რეგულირების მიზნით. მიუხედავად ამისა, ამჟამად, არქიტექტურული კონსერვაციის კუთხით სიტუაცია უკრაინაში იმდენად ქაოტურია, რომ იგი საჭიროებს ყოველი ქუჩისა და შენობის დეტალურ გრაფიკულ გამოსახულებას. შემდგომი ნაბიჯი ამ ტერიტორიის რევალორიზაციის დეტალური გეგმის შემუშავებაა.

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე არქიტექტურის დამახინჯება: გარემომცველი შენობები მნიშვნელოვნად გასხვავდებიdetailed graphic representations for every street and building. As the next step, a comprehensive revalorization plan should be developed for the area.

Architectural eyesores are also a problem: The surrounding buildings differ greatly in bulk, scale, appearance and quality. Historical and architectural value of the buildings in the area is high - more than 100 buildings are in the local heritage list.

The priority tasks of reconstruction and regeneration of St. Sophis's protected area should be:

1. to renovate the historical environment of the city's core area, in part, to recreate the lost monuments, elements of the buildings, and small-scale features of urban environment;
2. to locate a museum in the so-called Offices Building and encourage tourism ;
3. to build an underground throughfare from Mykhailivska Street to Zhytomyrska Street, complete with car parks under Volodymyrsky Drive, using automated multilayer parking systems;
4. to demolish or re-design incongruous buildings by reducing their height, changing their front facing and/or décor, or using graffiti; and
5. to carry out landscape re-design of Volodymyrsky Drive and Peizazhna (Scenic) Walkway.

For five years now, groups of students have monitored, photographed and explored the adjacent area, doing very important work. We give them the following tasks:

a. creating a number of top view points in the protected area along its perimeter;
b. comprehensive block-by-block analysis of built-up area.

As their yearly projects, they do various neighborhood improvement projects in the buffer zone. The topics vary from creating sculpted features and semantic signage to designing recreation areas.

The main effort in the development of this part of the city amounts to preserving its historical environment and regenerating its historical buildings and landscape, including:

- Restoring all architectural landmarks to their original design, complete with façade décor, shop windows, balcony gratings, gates, lost decorative cupolas and pinnacles, etc.;
- Overhauling key older buildings and tidying up adjacent area;

ან მოცულობით, მასშტაბით, გარეგნობით და ხარისხით. ეს შენობები მაღალი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევიან - მათგან 100-ზე მეტი შენობა ადგილობრივი მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

წმ. სოფიას დაცული ტერიტორიის რეკონსტრუქციის და რეგენერაციის პრიორიტეტულ ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს:

1. ქალაქის ცენტრალური უბნის ისტორიული გარემოს განახლება, მათ შორის, დაკარგული ძეგლების, შენობათა ელემენტების და ურბანული გარემოს წვრილმანი დეტალების გაცოცხლება;
2. ე.წ. საოფისე შენობებში მუზეუმის განთავსება და ტურიზმის პოპულარიზაცია;
3. მიწისქვეშა გადასასვლელების გაყვანა მიხაილივსკას ქუჩიდან ჟიტომირსკას ქუჩამდე, ვოლოდიმირსკის გზატკეცილის ქვეშ ავტოსადგომის მოწყობით და მრავალსართულიანი ავტომატიზირებული პარკინგის სისტემების გამოყენებით;
4. შეუთავსებადი შენობების დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია მათი სიმაღლის შემცირებით, ფასადში და/ან დეკორში ცვლილებების განხორციელებით ან კედლების მოხატვით; და
5. ვოლოდიმირსკის გზატკეცილის და პეიზაჟნა (პეიზაჟური) ხეივანის ლანდშაფტური რეკონსტრუქცია.

უკვე ხუთი წელია, რაც სტუდენტთა ჯგუფები მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგს, ფოტოგრაფირებას და კვლევას ახორციელებენ, რითაც უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ჩვენ მათ ვაძლევთ შემდეგ დავალებებს:

ა) ააგონ დაცული ტერიტორიის და მისი პერიმეტრის ჰორიზონტალური პროექციები;

ბ) განახორციელონ განაშენიანების ტერიტორიის დეტალური ანალიზი კვარტლების მიხედვით.

მათი ყოველწლიური პროექტების ფარგლებში ისინი ბუფერულ ზონებში მეზობელი

- Re-creating interior design in residential landmarks to its original appearance - a desirable option;
- Conserving the remaining historic environment and re-creating the most valuable lost elements, heightening the visibility of sites of historical/archeological interest by means of re-planning and streamlining;
- Installing way-marking signage where authentic markers have been lost completely; and
- Incorporating individual new buildings in a tactful way.

Information panels and decorative/festive accent lighting, using semantic signage.

Small but important accents as different as flower kiosks and municipal sewage lids.

Community organizations, in part, local residents groups, have lately been playing an increasingly prominent and active role. One such community initiative has been the Sculpture Park project on Scenic Walkway. It is very popular with adults and children.

The Artists Union of Ukraine has formally declared the landscape park area on the corner of Peizazhna Walkway and Desiatynny Lane a work of art.

Other community organizations and NCOs are also playing an important role in the revalorization of the St. Sophia protected area. The independent press has managed to stop several construction projects in the center of the city. A number of initiative groups are active in protecting and improving individual areas such as Peizazhna Walkway and Khmelnytsky Street with its architectural monuments.

Today, it is a favorite walking place with visitors and local residents. It is likely to become an example of successful cooperation of community groups and professionals in the field of heritage conservation.

Every bit of international support, especially when it comes from authoritative cultural and professional political bodies, is of tremendous importance to these efforts.



წმ. სოფიას ბუფერული ზონის რევოლარიზაცია, პროექტი. ვლადიმირის შესახვევი. ლურჯი ხაზები

რაიონების კეთილმოწყობის სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ. თემატიკა მრავალფეროვანია და როგორც სკულპტურული ძეგლების და სემანტიკური ნიშნების, ასევე რეკრეაციული ტერიტორიების დაპროექტებას მოიცავს.

ქალაქის ამ ნაწილის განვითარების უმთავრესი მიზანი მისი ისტორიული გარემოს შენარჩუნება და ისტორიული შენობა-ნაგებობების და ლანდშაფტის რეკონსტრუქციაა, კერძოდ:

- ყველა არქიტექტურული ღირშესანიშნაობის თავდაპირველი პროექტის, მათ შორის, ფასადის დეკორის, ვიტრინების, აივნის ცხაურების, შესასვლელების, დაკარგული დეკორატიული გუმბათების და კოშკების და ა.შ. აღდგენა;
- ძველი მნიშვნელოვანი შენობების კაპიტალური შეკეთება და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება;
- საცხოვრებელი ღირშესანიშნაობების ინტერიერის პროექტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა - სასურველი ვარიანტი;
- დარჩენილი ისტორიული გარემოს კონსერვაცია და ყველაზე მეტად ღირებული დაკარგული ელემენტების რეკონსტრუქცია, ისტორიული/არქეოლოგიური ძეგლების ვიზუალური სახის გაუმჯობესება ხელახალი დაგეგმარებისა და გარეგნული იერის ტრანსფორმაციის გზით;
- ძველი დაკარგული საგზაო ნიშნების ახლით შეცვლა და
- ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენება სიფრთხილის და წინდახედულობის დაცვით.

საინფორმაციო დაფები და დეკორატიული/სადღესასწაულო განათება სემანტიკური ნიშნების გამოყენებით.

მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი აქცენტები, დაწყებული ყვავილების ჯიხურებით და დამთავრებული ქალაქის საკანალიზაციო ჭების სახურავებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფები აღნიშნულ პროცესში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან და აქტიურ როლს თამაშობენ. ერთ-ერთ ასეთ საზოგადოებრივ ინიციატივას პეიზაჟურ ხეივანზე სკულპტურული პარკის მოწყობის პროექტი წარმოადგენს, რომელიც მოზარდებსა და ბავშვებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პეიზაჟნა ხეივანის და დესიატინნი შესახვევის კუთხეში არსებული ლანდშაფტური პარკის ტერიტორია უკრაინის მხატვართა კავშირის მიერ ოფიციალურად იქნა აღიარებული ხელოვნების ნიმუშად.

სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ წმ. სოფიას დაცული ტერიტორიის რევალორიზაციაში. დამოუკიდებელმა პრესამ შეძლო შეეჩერებინა ქალაქის ცენტრში მიმდინარე რამდენიმე სამშენებლო პროექტი. მთელი რიგი საინიციატივო ჯგუფები აქტიურად არიან დაკავებულები კერძო ტერიტორიების, მათ შორის, პეიზაჟნა ხეივანის და ხმელნიცკის ქუჩის და იქ არსებული არქიტექტურული ძეგლების დაცვით და კეთილმოწყობით.

ამჟამად, იგი სტუმრების და ადგილობრივი მაცხოვრებლების საყვარელი სასეირნო ადგილია. სავარაუდოდ, იგი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში საზოგადოების ჯგუფებსა და დარგის პროფესიონალებს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი გახდება.

ნებისმიერი სახის საერთაშორისო დახმარებას, განსაკუთრებით ავტორიტეტული კულტურული და პროფესიული პოლიტიკური ორგანიზაციების მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ძალისხმევების რეალიზაციის საქმეში.

ნაბელ ჰამდი
პროფესორი, ოქსფორდ ბრუქსის
უნივერსიტეტი

მოხსენების ტექსტი იბეჭდება წიგნიდან: ***Nabeel Hamdi, The Placemaker's Guide to Building Community;*** *ავტორის, ნაბელ ჰამდის და გამომცემლის,* ***Earthscan Ltd*** *ნებართვით; თავი 6. მონაწილეობა პრაქტიკაში; გვ. 87-104; სურ.: 6.1; 6.2; 6.3; შენიშვნები: გვ. 233-234*
ნაბელ ჰამდი©ყველა უფლება დაცულია
ISBN*: 978-1-84407-802-8; 978-1-84407-803-5;*

თანამონაწილეობა, პარტნიორობა, ადგილის მართვა

სესია როლების მოკლე და მარტივი გათამაშებით დავიწყეთ. მიზანი ტერმინი „მონაწილეობის" გარჩევა იყო დეველოპმენტის სხვადასხვა მონაწილე მხარის გადასახედიდან, რათა მათი მოქმედების პროგრამები შეგვედარებინა, ურთიერთწინააღმდეგობრივი და ურთიერთხელშემწყობი მხარეები აღმოგვეჩინა. ფასილიტაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ერთი მონაწილე მხარის დღის წესრიგის მეორე მხარის გეგმებთან დაბალანსებაში მდგომარეობს, ასევე ინტერესების თანხვედრის ხელშეწყობასა და პრიორიტეტების შეთანხმებაში. ამ სავარჯიშომ გარკვეული შესავალის როლი ითამაშა, რომელიც მიგვიძღვის მონაწილეობის პრაქტიკისადმი და მონაწილეთა ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკაში არსებული ურთიერთობების ძალთა ბალანსზე და განსხვავებულობაზე. გარდა ამისა იგი გამოგვადგება ფასილიტატორების წასავარჯიშებლად მოლაპარაკებების ხელოვნებასა და კონფლიქტებში შუამავლობის ტექნიკაში. ბოლოსდაბოლოს ამან ყველას ფიქრისკენ უბიძგა სანამ მე საუბარს დავიწყებდი.

ჩვენ შერეულ ჯგუფებად დავიყავით და თითოეულ მათგანს როლები დავუნაწილეთ - აქ იყო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO), დონორი, ადგილობრივი ხელისუფლება, მერიის ინჟინრები, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მმართველი პარტიის ადგილობრივ ამომრჩეველთა ჯგუფი. ჯგუფებს ვთხოვე ეფიქრათ „მონაწილეობის" შესახებ, თუ რად ჭირდებოდათ მასში ჩართვა და რა დროს. შემდეგ ვიმსჯელებდით იმაზე თუ რისი ცოდნა სჭირდება თითოეულ ჯგუფს დაწყებამდე? რამ შეიძლება შეუშალოს ხელი და რატომ? ცხადია, ეს კითხვები გამომდინარეობდა მონაწილეთა შეკითხვებიდან, რომლებიც მათ მუშაობის დაწყებისას წინა კვირეებში პირველ ხანს უჩნდებოდათ, ადგილის შეცნობის პროცესში. ახლა კი ვთხოვე ამაზე ჯგუფებში ეფიქრათ.

ჯგუფებში დისკუსიის დაწყებიდან დაახ-

Nabeel Hamdi
Professor Emeritus,
Oxford Brookes University

The presentation text is reprinted with the generous permission of the author, ***Nabeel Hamdi*** *and publishers,* ***Earthscan Ltd****, from the publication:* ***Nabeel Hamdi, The Placemaker's Guide to Building Community; Chapter 6. Participation in Practice;*** *pp. 87-104; Figures: 6.1; 6.2; 6.3; Notes and references: pp. 233-234*
First published in 2010 by Earthscan Ltd., www.Earthscan.co.uk
Copyright©Nabeel Hamdi, 2010; All rights reserved
Earthscan publishes in association with the International Institute for Environment and Development
ISBN: 978-1-84407-802-8; 978-1-84407-803-5;

PARTICIPATION, PARTNERSHIP AND GOVERNANCE OF PLACE

We started our session with a short and simple role play. Its purpose was to give definition to the term participation from the points of view of some of the principal actors in development, in order to reveal some of the conflicting agendas and also the complementarities. Moderating the dominance of one actor's agenda versus another, converging interests and negotiating priorities is one of the key roles of facilitation. The exercise served as an introduction to the practice of participation and sensitized participants to issues of power relations and differences in practice. It was also a useful vehicle for training facilitators in negotiation and conflict mediation techniques. In any case, it got everyone thinking, before I started talking.

We formed into mixed groups and designated a role to each group - an international NGO, a donor, the local authorities, municipal engineers, a community-based organization, and a local constituency of the political party in office. I asked each group to consider in respect to participation why they thought they needed it and when. Later, we would consider what each group might need to know before they start. What might get in the way of doing it and why? These questions were, of course, the participants' own questions derived from the first weeks of work and discovery on site and their own perception of the term and of themselves, which I now asked them to consider in groups.

After an hour or so of group discussion, I asked each to present their reflections in general before we got into more detail. What was participation and why did we need it? The responses were predictable and served to illustrate the range of definitions in current use, in relation to differences in purpose. Each group had conformed to stereotype, to their own silo of self-interest and occupation.

The NGOs were driven by ideals - by the' ... exercise of popular agency in relation to Development'.[1] Participation to this group was about community building, about sustaining livelihoods and tackling the symptoms and, where possible, the root causes of poverty. Their concerns were with rights, the right to citizenship and all the other rights enshrined in the UN Convention on Human Rights. They talked of reducing vulnerability, building community resilience

ლოებით ერთ საათში თითოეულს ვთხოვე თავიანთი ნააზრევი ჯერ ზოგადად გაეზიარებინათ ვიდრე დეტალებს ჩავუღრმავდებოდით. რას წარმოადგენს „მონაწილეობა” და რისთვის გვჭირდება? პასუხები მოულოდნელი არ ყოფილა, ძირითადად მთელი რიგი დეფინიციების ახლანდელი ინტერპრეტაციის ილუსტრირების მცდელობაში გამოიხატებოდა რათა მსჯელობის საგნის სხვადასხვა მიზანი და დანიშნულება წარმოეჩინათ. ყველა ჯგუფი პასუხობდა სტერეოტიპს, საკუთარ იზოლირებულ თვითდაინტერესებას და საქმიანობას.

არასამთავრობოებს იდეალები ამოძრავებდათ - „სახალხო აგენტის, შუამავლის როლი დეველოპმენტთან დაკავშირებით”[1]. ამ ჯგუფისთვის „მონაწილეობა” ნიშნავდა ადგილობრივი თემის განვითარებას, საარსებო წყაროების შენარჩუნებას და სიღარიბის სიმპტომების მკურნალობას, ან შეძლებისდაგვარად მიზეზების აღმოფხვრასაც კი. მათ განსაკუთრებით უფლებები ადარდებდათ, მოქალაქეობის უფლება და გაეროს ადამიანთა უფლებების კონვენციით განსაზღვრული სხვა უფლებები. საუბრობდნენ დაუცველობის შემცირებაზე, საზოგადოების გაძლიერებაზე და თემისთვის ხმის უფლების მიცემაზე. მათი მთავარი საზრუნავი პოტენციალის ზრდაში გამოიხატებოდა რათა სამოქალაქო საზოგადოებას შეძლებოდა მმართველობაში და ბაზრებში ეფექტურად მონაწილეობა. „მონაწილეობა”, მათი თქმით, ნებისმიერი სოციალურად გააზრებული დეველოპმენტის მაცოცხლებელი ძალაა, რომლის მობილიზაცია ადგილზე უნდა მოხდეს და ამავე დროს შესწევდეს ინსტიტუციონალური და პოლიტიკური გარდაქმნის უნარი.

როცა ჯგუფის ნააზრევის ღრმააზროვან შეჯამებას ტრადიციული ტაში მოჰყვა (განსხვავებული აზრის გამოთქმა ვერავინ გაბედა!), ერთ-ერთი ადგილობრივი კაცი მომიტრიალდა და ჩაილაპარაკა „მაფრთხობს მათი ოცნებები, იმიტომ რომ არც გონივრულია არც შესაძლებელი - ყოველ შემთხვევაში ჩვენთან არა”. რატომღაც ეს კაცი უფრო შეშინებული მეჩვენა, ვიდრე აღფრთოვანებული.

ბაზრები - ბაზრის ხელშეწყობა და ბაზრის ლიბერალიზაცია - ის მოტივია, რაც დონორებს ამოძრავებდათ. ამ ჯგუფისთვის „მონაწილეობა” ასპარეზის, თავისუფლების მიცემას ნიშნავდა ნებისმიერი შესაძლებელი ფორმალური თუ არაფორმალური სამეწარმეო საქმიანობის წასახალისებლად. სახელისუფლებო ორგანოები მათთვის ხელშემწყობები უფრო არიან და არა საქონლის და მომსახურების გამანაწილებლები. მათ ურჩევნიათ „ზრდის და კონკურენციის” ხელშეწყობა, მიწის, კრედიტების, სერვისების და სამშენებლო მასალების

and giving community voice. Their concern was with building capacity so that civil society could engage effectively in governance and markets. Participation, they said, was the life blood of all socially intelligent development, mobilized locally and transformative, institutionally and politically.

After the routine applause to a worthy summary (no one dared disagree!), a local man sitting next to me turned and muttered, 'Their dreams are punishing because they are not reasonable and not reachable - not here at least.' It was as if he felt threatened more than enlightened.

Markets - market enablement and market liberalization - drove the donors. Participation for this group was about giving space to encourage informal and formal enterprises wherever possible. Governments acted as enablers rather than principal providers of goods and services, preferring instead to 'stimulate growth and competition' to facilitate access to land, credit, services and building materials for small scale (community-based) enterprises, formal and informal.[2]

They talked of 'stakeholder' participation and not just 'community'. Participation, they said, improved the recovery of costs. It helped policymakers reach decisions that were equitable and efficient and widened choice. This in turn fed markets and stimulated growth.

Our group of politicians was keen to extend and consolidate their ability to govern - to help the poor but at least public cost and without alienating their political constituencies, mostly among the middle classes. For them, participation was central to the democratic reforms of public institutions - whether in education, health or housing. It was good for votes and for attracting aid. It was good for devolving responsibility but without devolving too much power. 'We want to involve people, but without losing control', someone said. I wondered to which rung of Arnstein's ladder they had ventured to climb![3]

For the local authority - their municipal engineers and others - participation was about improving efficiency in the operation and maintenance of services and utilities and the delivery of shelter. It was about partnerships, which took the load off municipalities and, again, contributed to improving governance. Their take on participation was aligned to definitions of partnerships - pragmatic and business like. 'An association between two or more persons, groups or organizations who join together to achieve a common goal that neither one alone can accomplish ... Each member agrees to contribute resources with the understanding that the possession or enjoyment of the benefits will be shared by all. Partners work hard to strengthen each other and to endure conflict and change, because they recognize that their shared goal extends beyond the reach of any one member.'[4]

None of this invokes the language of rights or the social imperatives of empowerment, nor is it intended to do so. However, implicit in their text is the mutual recognition of ownership, the pooling of resources, the building of resilience to endure con-

ხელმისაწვდომობის გაადვილება მცირე (თემის დონეზე) ფორმალური თუ არაფორმალური[2] მეწარმეებისათვის.

მათ იმსჯელეს „დაინტერესებულ მხარეთა" და არა უბრალოდ „საზოგადოების" მონაწილეობაზე. მონაწილეობა, მათი აზრით, ხარჯების უკუგებას აუმჯობესებს. იგი ეხმარება პოლიტიკური კურსის გამტარებლებს უფრო სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში და არჩევანს ამრავალფეროვნებს. ეს კი თავის მხრივ ბაზრებს ასაზრდოებს და ზრდას ხელს უწყობს.

პოლიტიკოსების ჯგუფი მოწადინებული იყო საკუთარი მმართველობის უნარი გაეფართოვებინა და გაეძლიერებინა - ღარიბებსაც დახმარებოდა მაგრამ სახელმწიფო ხაზინის მინიმალური დანახარჯით და თანაც საკუთარი პოლიტიკური მხარდამჭერებიც, ძირითადად საშუალო კლასიდან, არ დაეფრთხო. მათთვის „მონაწილეობას" გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული რეფორმის პროცესისათვის, - განათლების, ჯანდაცვის თუ ბინათმშენებლობის სფეროში. ეს ამომრჩეველთა ხმებსაც მოუტანდათ და მეტ დახმარებასაც მიაღებინებდათ. გარდა ამისა, ეს კარგია პასუხისმგებლობის გადანაწილებისთვისაც, თანაც ზედმეტი უფლებამოსილების გადანაწილების გარეშე. „ჩვენ გვსურს ჩავრთოთ ხალხი მაგრამ კონტროლიც შევინარჩუნოთ", თქვა ერთ-ერთმა. ნეტა არნსტეინის კიბის, რომელ საფეხურს შეწვდნენ?[3] ვიფიქრე მე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის - მერიის ინჟინრებისთვის და სხვებისთვის - „მონაწილეობა" სერვისების და კომუნალური სამსახურების მუშაობის და ტექ. მომსახურობის ეფექტურობის გაზრდაში და გარდა ამისა, თავშესაფრის უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. მათი გაგებით ეს იყო პარტნიორობა, რომელიც მერიას ტვირთს შეუმსუბუქებდა და თანაც მმართველობის ეფექტურობას გაზრდიდა. მათი შეხედულება „მონაწილეობაზე" სხვადასხვა ფორმის პარტნიორობის ძალზე პრაგმატული და საქმიანი აღწერით შემოიფარგლებოდა „ორი ან მეტი პირის, ჯგუფის ან ორგანიზაციის გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს საერთო მიზნის მიღწევას, რასაც ვერცერთი მათგანი დამოუკიდებლად ვერ მიაღწევდა... თითოეული წევრი თანახმაა საერთო სარგებლობაში გადასცეს საკუთარი რესურსები დარწმუნებულია რა, რომ ამ რესურსების ფლობა და მათგან წარმოქმნილი სარგებელი გაზიარება ყველა წევრის მიერ მოხდება. პარტნიორებმა ძალა არ უნდა დაიშურონ ერთმანეთის გასაძლიერებლად და კონფლიქტების და სიტუაციის ცვალებადობის

flict and change, the sharing of aspirations, or at least of some objectives. Our community group took on an activist's stance, situated somewhere between the debate on tyranny and transformation. Their position is best summarized in Figure 6.1 (overleaf). To them, participation was ideological in purpose, political in substance, pragmatic in its outputs. The concept of partnership depolitizes participation, they said, and was no more or less than a neoliberal plot to get governments and their cohorts off the hook. Participatory processes had at once to meet the needs of community now, as well as the broader and more strategic objectives of 'social justice and radical political change' in order to guarantee citizenship, reduce poverty and tackle exclusion. 'Extending the concept of participation to one of citizenship also recasts participation as a right, not simply an invitation offered to the beneficiaries of development.'[5]

Figure 6.1 Poster produced during the Paris student demonstrations c.1968

ნახატი 6.1 ეს პოსტერი პარიზის სტუდენტთა დემონსტრაციების დროს შეიქმნა დაახლოებით 1968 წელს.

Source (წყარო): Arnstein, S.R. (1969) 'A Ladder Of Citizen Participation', Journal of the American Institute of Plannen, Vol. 35, No. 4, p. 21 7

Meanwhile, most times and whatever the debate, communities do participate in programmes, often initiated by outsiders, not because they agree with their high ideals or even the programme that these outsiders bring, but because if they do get

დასაძლევად, რადგან ითვალისწინებენ, რომ მათი ერთობლივი მიზანი, თითოეული მათგანის შეძლებას სცილდება”.[4]

აქ არსად არ იყო ნახსენები უფლებათა ან შესაძლებლობათა გაფართოების სოციალური იმპერატივი და ასეთი რამ არც იყო გათვალისწინებული. თუმცა მათ სიტყვებში თანაზიარობის, საერთო კუთვნილების ურთიერთაღიარება იგრძნობოდა, რაც რესურსების ერთად თავმოყრას, კონფლიქტებისა და სიტუაციის ცვალებადობის დასაძლევად უნარის გამომუშავებას, მიზანსწრაფვების ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგი ამოცანის ურთიერთგაზიარებას ითვალისწინებდა.

ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჯგუფმა აქტივისტური პოზიცია დაიკავა, სადღაც ტირანიასა და გარდაქმნას შორის. მათი პოზიცია ყველაზე კარგად გამოიხატება ნახატში 6.1.

მათთვის „მონაწილეობა” თავისი მიზნით იდეოლოგიური იყო, არსით პოლიტიკური, ხოლო შედეგებით პრაგმატული. მათი თქმით პარტნიორობის კონცეფცია „მონაწილეობის” დეპოლიტიზაციას ახდენს და არც მეტი არც ნაკლები ნეოლიბერალურ შეთქმულებას წარმოადგენს და ხელისუფალთა და მათი გუნდისთვის უსიამოვნების აცილებას ემსახურება. ახლა კი საჭიროა, რომ მონაწილეობითი პროცესები პასუხობდნენ საზოგადოების საჭიროებებს და უფრო ვრცელ და სტრატეგიულ ამოცანებსაც წყვეტდეს, როგორიცაა „სოციალური სამართლიანობა და რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები”, რათა შეიქმნას მოქალაქეობის გარანტია, შემცირდეს სიღარიბე და გადაიჭრას გარიყულობის პრობლემა. „მონაწილეობის კონცეფციის მოქალაქეობრიობაზე განვრცობით „მონაწილეობა” უფლებად გარდაიქმნება და აღარ რჩება უბრალოდ განვითარების ბენეფიციარებისთვის შეთავაზებულ მოწვევად”.[5]

ამავე დროს, ადგილობრივი თემები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მოწყობილ პროგრამებში, რომლებსაც ხშირად გარედან მოსული ადამიანები აწყობენ, ძირითადად მონაწილეობას იღებენ არა იმიტომ, რომ მათ მიერ გამოცხადებულ მაღალ იდეალებს იზიარებენ, ანდა თუნდაც გარედან მოსულების პროგრამები მოსწონთ, არამედ მათში მონაწილეობა რაღაცას შესძენთ, რაც, ყოველ შემთხვევაში, სულ უარაფრობას ჯობია.

როცა ჩემი ჯერი დადგა მელაპარაკა ძირითადი საკითხები უკვე მოცული იყო. ერთი ძველი პროექტორის და ჩემი ჩვეული რამოდენიმე გამჭვირვალე პლასტიკის დიაპოზიტივის დახმარებით შევეცადე შემეჯამებინა მსჯელობა და ზოგიერთი გამორჩენილი ადგილი შემევსო.

დავიწყე თეზისით, რომ დეველოპმენტში, სადაც არ უნდა იყო, რასაც არ უნდა აკეთებდე და როგორ, „მონაწილეობა” ცენტრალურ როლს ასრულებს ნებისმიერი პროგრამის თუ პროექტის დაგეგმვისას. შემდეგ მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი გავაკეთე: ყველას შევახსენე, რომ წარსული დროის რეფორმატორები, გედესი და ჰოვარდი, რომელთაგან არცერთი არ ყოფილა ინჟინერ-მგეგმავი (გედესი ზღვის ბიოლოგი იყო, ჰოვარდი - სტენოგრაფისტი), დაგეგმარების მათეული იდეალების ცენტრში ადამიანებს და „სოციალურ ქალაქს” აყენებდნენ.

მაგალითად, გედესის სისხლხორცეული პოზიცია იყო, რომ „უბრალო მოქალაქე უნდა ხედავდეს და გააზრებული ჰქონდეს საკუთარი ქალაქის შესაძლებლობები”[5]. მისი თქმით „აღსრულება, რომ მოხდეს მმართველობა თემის მოქმედმა ორგანომ უნდა შეითავსოს. როგორ? პირდაპირი ქმედების ჩვეულების დანერგვით და არა ვინმეს მიერ შუამავლობის ლოდინით”.

შემდეგ იყო ჰოვარდი სოციალური ქალაქის მისეული ხედვით და აკვიატებით, რომ ხვალინდელი ახალი ქალაქები მათ მცხოვრებთა საერთო საკუთრება უნდა იყოს და მიწის ღირებულების ზრდას მათთვის უნდა მოჰქონდეს სარგებელი და არა უძრავი ქონების სპეკულანტებისათვის და გამოიყენებოდეს საზოგადო და ერთობლივი მიზნებისათვის.

გათავისება, პირდაპირი ქმედება, მმართველობა და თემი, საერთო კეთილდღეობა - მართლაც მაღალი იდეალებია, ისეთი შეგრძნებაა თითქოსდა ისევ მივუბრუნდით მსჯელობას „მონაწილეობის” რაობაზე დიზაინის და დაგეგმარების პროცესის მნიშვნელობის და ღირებულების ძიებისას.

გავაგრძელე ჩვენი საგნის ჩემს მიერ ამოჩემებული განმარტების განვრცობა. იგი არც ტირანულია და არც აშკარად რეფორმისტული, ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით არა. „მონაწილეობა” უფლებამოსილებასთან ერთად პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობაში ხორციელდება საერთო მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა მას ყველა ის დანარჩენი თვისება აქვს, რაც ყველა დანარჩენმა მონაწილემ აღნიშნა: პასუხისმგებლობა, რადგან „მონაწილეობას” თან მოყვება უფლებებიც და აგრეთვე ვალდებულებებიც. უფლებამოსილება, რადგან საკმაო დოზით კონტროლისა და მიზანდასახულობის გარეშე ვერ მიაღწევ გათავისებას, ხოლო გათავისების გარეშე ნიადაგს აცლი საკუთარ მიზანსწრაფვას, ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში; და ბოლოს პარტნიორობა, რადგან იგი ითხოვს თანამშრომლობას არა მხოლოდ

საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ გიბიძგებს მოკავშირეების ძებნისაკენ როგორც ვერტიკალურ ღერძზე სხვა უფლებამოსილებებს შორის, ასევე ჰორიზონტალურად საკუთარ კომპეტენციებთან, რასაც საბოლოოდ შეუძლია პოლიტიკოსებზეც და პოლიტიკური კურსის განსაზღვრაზეც მოახდინოს გავლენა და გაძლიერებას და გარდაქმნას შეუწყოს ხელი.

თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ „ ...გაძლიერებაც და გარდაქმნაც არა მხოლოდ „მონაწილეობისთვის" ასპარეზის მიცემას გულისხმობს, მოქალაქეობრიობის რაობაზე ღიად სამსჯელოდ... არამედ ყოველდღიურ, უფრო პროზაულ გარდაქმნასაც არ უნდა ივიწყებდეს: გაათავისუფლოს ადამიანი წყლისთვის რიგში დგომისა და შემდეგ მისი ზიდვისგან, ყანის თოხნისაგან, ყოველდღიური სარჩოს მისაღებად ნაცნობობაზე ან მფარველზე დამოკიდებულებისაგან, ანდა ავადმყოფობის გამო მკურნალობის ხარჯების უსაშველო ტვირთისგან... „მონაწილეობის" ცნების გარდაქმნა რადიკალურ და პოლიტიკურ მოქალაქეობრიობად... „მონაწილეობის" საფასურს ერთი ხელის მოსმით ვერ მოგვაშორებს... მოკლევადიანი გადასახედიდან, (ღარიბებისთვის) უთანასწორო დამოკიდებულებასთან შეჭიდებამ, შეიძლება იმდენი უარყოფითი მოიტანოს, რომ მიღებული შეღავათები გადაწონოს".[7]

გავიხსენე ქალაქის და სოფლის ღარიბთა ფედერაციის (FEDUP) წარმომადგენლის, როზა მულოკოანეს მიმართვა გაერო-ჰაბიტატის მმართველი საბჭოსადმი 2007 წელს: „ნუ გვიწოდებთ ბენეფიციარებს" თქვა მან. „ნუ გვიწოდებთ საბოლოო მომხმარებლებს. ჩვენ გვსურს თქვენს პარტნიორებად ვიწოდებოდეთ. ჩვენ გვსურს თქვენს პოლიტიკაში ჩვენი წვლილიც იყოს... თუ თქვენს პოლიტიკაში ჩვენს იდეებს არ ჩართავთ ეს იქნება უბრალოდ ლამაზი პოლიტიკა, როგორც ლამაზი ქალი უქმროდ."

ვიცით, რომ „მონაწილეობითი" მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, რომ თუ რაიმეს გაკეთებას ცდილობ და თუ რაიმეს მიღწევა შეგიძლია ეს პირდაპირ კავშირში უნდა იყოს შენს გარემოსთან. მისი, როგორც იდეალის ისტორია და განვითარება ირჩევა ჰიკის და მოჰანის მშვენიერ წიგნში „მონაწილეობა", აქვე განხილულია მისი ტრანსფორმაციული ღირებულებები ძალთა ურთიერთქმედებისას და პოლიტიკის განსაზღვრისას „სახალხო რწმუნების" მობილიზაციის გზით. მაგრამ ვიკითხოთ, რა პრაქტიკული ღირებულება აქვს „მონაწილეობას": რისთვის გვჭირდება იგი?

ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ადგილობრივი თემების ჩვეულ ინტერესებში და სხვა

involved they might just get something, which, after all, is better than nothing' By the time it was my turn to talk, most of the ground had already been covered. With the help of an ageing overhead projector and a few of my usual plastic overhead transparencies, I tried to summarize and fill in some of the gaps.

I started with an assumption that wherever you were, whatever you did and however you did it in development work, participation is central to all planning of programmes and projects. I then reflected on a snapshot of history reminding everyone that the early reformers, Geddes and Howard, neither of whom happened to be planners (Geddes was a marine biologist, Howard a stenographer) placed people and the 'Social City' at the heart of their ideals for planning.

Geddes, for example was vitally concerned 'that the ordinary citizen should have a vision and comprehension of the possibilities of his own city'.[6] 'He said that 'for fulfilment there must be a reabsorption of government into the body of the community. How? By cultivating the habit of direct action instead of waiting on representative agencies.'

And then there was Howard with his vision of the social city and his insistence that the new cities of tomorrow should be the common property of the inhabitants and that the increase in land values should belong to them and not to property speculators, to be used for their common and cooperative purpose.

Ownership, direct action, governance and community, the common good - high ideals indeed, ideals it seemed we had returned to in our discussions on participation, in search of meaning and value in design and planning.

I went on with a definition I like, neither tyrannical nor seemingly transformative, notat first. Participation is about taking responsibility with authority and in partnership with other stakeholders in pursuit of common goals. And it is everything else that everyone else had said already. Responsibility, because with participation come rights and also obligations. Authority, because without a large measure of control and self-determination, you cannot have ownership and without ownership you undermine commitment, over the longer term at least. And partnership, because it demands cooperation, not just to deliver on needs but also to forge alliances vertically with other authorities and horizontally with your own, which in time can influence politics or policy and which can both empower and transform.

But we should be aware that ' ... empowerment and transformation require not just the opening up of participatory spaces to debate transparently citizenship ... but also the more prosaic transformation of everyday life: relief from the burden of queuing for and carrying water, of hand tilling fields, of dependence on relations, of patronage for daily subsistence, of the burden of care imposed by diseases ... Transforming the notion of participation into one of a

დაინტერესებულ მხარეებში გარკვევა კარგი საშუალებაა საჭიროებათა განსაზღვრისათვის - ანუ სასურველის და აუცილებლის კომბინაციაა. ამ გზით ინტერესების დაახლოება ხდება და არა მათ მართებულობაში ეჭვის შეტანა. თანაც ეს ზუსტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობაა. უფრო სწორად ეს ინფორმაცია სარგებლობას იძენს სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციის ციკლურ პროცესში გამოვლისას.

ხშირად უთქვამთ, რომ ყველაზე უარესი რამ პროექტის დაგეგმარებისას ამოცანის არასწორად ანდა არასრულყოფილად ჩამოყალიბებაა. ამას ისეთ გადაწყვეტილებებამდე მივყავართ ხოლმე, რომლებიც სიმპტომებს მკურნალობს და არა სიღრმისეულ მიზეზებს ეჭიდება, კოსმეტიკურ ზომებს გვთავაზობს, პრაქტიკულს მაგრამ არა სტრატეგიულს. ამიტომ ინფორმაციის ინტერპრეტაცია ანუ ტრიანგულაცია ამ გაგებით ძალზე მნიშვნელოვანია.

იყო ასეთი შემთხვევა, ადგილობრივი თემი დასახლებაში გარე განათების გამოსწორებას გვთხოვდა უბედური შემთხვევების შესამცირებლად. ჩვენი თავდაპირველი რეაქცია იყო მეტი ლამპიონი დაგვეყენებინა. მაგრამ თურმე ეს ადამიანები უბედურ შემთხვევებში ქუჩურ ძალადობას გულისხმობდნენ და არა საგზაო ანდა საწარმოო ტრავმას. ჩვენთვის ეს გაკვეთილი გახდა ქალებთან, ბავშვებთან და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან საუბრისას. დაუცველთა ამოცნობა, გარიყულობის გათვითცნობიერება და შიშის შემცირება ჩვენგან საპასუხო ქმედებების მთელ წყებას ითხოვდა, რაც უფრო ხანგრძლივვადიანი, უფრო სტრატეგიული უნდა ყოფილიყო. ქუჩის ლამპიონები, თუ მარტო ამით შემოვიფარგლებოდით, სწორედ კოსმეტიკური ზომები იქნებოდა საჭირო მაგრამ არასრულყოფილი პასუხი იმ პრობლემებზე, რომლებიც მოგვიანებით ნათლად დავინახეთ და დავადგინეთ.

„მონაწილეობითი" პროგრამები დაგეგმარების ადრეულ ეტაპებზე აგრეთვე ხელს გვიწყობს ძალაუფლებისათვის ანდა რესურსებისათვის მოპაექრე ჯგუფებს შორის პოტენციური კონფლიქტის სფეროების დადგენაში, ეხმარება ადამიანებს გამომგონებლური ნიჭის გამოვლენაში ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, რაც შეიძლება ექსპერტების უნარს აღემატებოდეს. ისინი შესაძლებელს ხდიან „... სამყაროს ალტერნატიული მოდელების აგებას, სოლიდარობის ქსელების გაშლას და ადამიანებს საკუთარი ცოდნისა და უნარის რწმენას უნერგავენ და ამასთან ერთად უფლებებითაც აღჭურვავენ".[8]

„მონაწილეობითი" მუშაობა ამცირებს საradicalised and political citizenship ... doesn't suddenly do away with the costs of participation ... In the short term, the disadvantages (to the poor) of confronting unequal relations on which they depend, may simply outweigh the costs of acquiescence."[7]

I recalled the plea made by Rose Mulokoane of the South African Federation of the Urban Poor (FEDUP), addressing the UNHabitat Governing Council in 2007: 'Don't call us beneficiaries', she said. 'Don't call us end-users. We want to be your partners. What we want you to do is to include our inputs in your policy ... If you don't include our ideas in your policies, it will be just a beautiful policy, like a beautiful lady without a husband to marry.'

We now know that the process of participatory work depends on what you are trying to do and what you can achieve relative to where you are. Its history and development as an ideal is already reviewed in Hickey and Mohan's excellent book Participation, as have its transformative values in power relations and policies through the mobilization of 'popular agency'. But what of the practical values of participation: why do we need it?

We have already seen that working across the usual interests of communities and other stakeholders is a good way of defining needs - that combination of desire and necessity. It's a good way of converging vested interests rather than contesting their legitimacy, and of getting accurate information. That is, information made useful through a cyclical process of interpretation offered by different interest groups.

It is often said that there is no greater evil in project planning than a problem misstated or stated in a way that is incomplete. It leads one in search of solutions that wind up tackling symptoms rather than root causes, to 'Band Aid' interventions that may be necessary in the short term - practical but not very strategic. The interpretation or triangulation of information is important in this respect.

In one example, there was a demand from community to improve the lighting in their settlements and so reduce accidents. Our first response was more street lights. But the accidents people referred to were largely associated with violence, as it turned out, rather than vehicular or work related. And it was mostly in our discussions with women, children and ethnic minorities that this emerged. Targeting the vulnerable, understanding exclusion and mitigating fear were all primary causes of insecurity and demanded a bundle of responses, more long term, more strategic. Street lights, on their own, are Band Aid interventions, necessary but incomplete in response to the problems as later discovered and defined.

Participatory programmes, in the early stages of planning, also help identify areas of potential conflict among groups vying for power or competing for resources. They help tap the ingenuity of people to discover ways of solving problems that may not be a part of the expert repertoire. They enable '...the construction of alternative versions of the world, to fash-

ხელმწიფოზე თუ სხვადასხვა ორგანიზაციაზე დამოკიდებულებას და შეიძლება შექმნას პირობა ახალი ტიპის ორგანიზაციების შექმნისათვის და პროცესის უწყვეტობაც უზრუნველყოს მას შემდეგ რაც გარედან მოსულები ასპარეზს დატოვებენ. ამის კარგი მაგალითია ქალთა ბანკი და სხვა არაფორმალური წამოწყებები მსოფლიო მასშტაბით.

თუმცა ისმის კითხვა: ვინ იწყებს ამ პროგრამებს და რა მოსაზრებით? ვინ პოულობს მათგან რეალურ სარგებელს? და რა წინაპირობები უძღვის წარმატებას?

უდავოა, რომ ეფექტური „მონაწილეობის" ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციის არსებობა. ადგილობრივ ჯგუფებში აღნიშნული პოტენციალის განვითარება წარმოადგენს, ერთის მხრივ, „მონაწილეობითი" საქმიანობის საბაბს, ხოლო, მეორეს მხრივ მის შედეგს. ამავე დროს, უკვე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებთან დაკავშირება შეიძლება ხელს აძლევდეს იმათ ვინც სწორედ იმ ძალაუფლებას ჩაბღაუჭებია, რომელსაც მავანნი შერყევას უპირებენ, რათა იმ ადამიანთა ჩართულობას მიაღწიონ, ვისაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიყვას უპირებენ. კეთილი პოლიტიკური ნება, პრობლემების გათავისება, ნდობის ამაღლება, ფართო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა - არა მხოლოდ ფიზიკური დასწრების სახით, არამედ ხმის უფლების მინიჭებითაც - სწორედ ის წინაპირობებია, რისი კულტივირება გვმართებს, რათა ჩვენმა ძალისხმევამ მდგრადი ხასიათი მიიღოს ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში. მნიშვნელოვანია, რომ „მონაწილეობითმა" საქმიანობამ ხელშესახები შედეგები მოიტანოს დროთა განმავლობაში, რისი მომსწრეც გავხდით წინა მუშაობისას, იმგვარად, რომ ნდობა და რწმენა შენარჩუნდეს. მაგრამ საკითხავია, რა უნდა ვიცოდეთ, ან ყოველ შემთხვევაში, რას უნდა ვუფრთხილდეთ, სანამ დავიწყებდეთ?

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ უნდა გავერკვეთ თემის ტიპსა და სტრუქტურაში და არსებულ ორგანიზაციებსა და იერარქიებზე. როგორ დავუკავშირდეთ ქსელში გაერთიანებულ თემებს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი უფრო ქალაქებში მოიძევება ვიდრე ადგილობრივ დონეზე? როგორ ვიპოვოთ საერთო ენა იმ ადამიანებთან ან ორგანიზაციებთან, რომლებიც აქ დროებით არიან, ანდა თავს დროებით მდგმურებად მიიჩნევენ და მათი გულისთქმა და საკუთარი სახლის შეგრძნება სხვა ადგილებთანაა დაკავშირებული მიუხედავად იმისა, რომ აქ 20-30 წელი დაყვეს? ვინ არის ჩართული და ვინ გამორიყული? რისი შედეგია ეს, საკუთარი არჩევანის,

ion networks of solidarity, and build people's confidence in their own knowledge and capabilities and with it a sense of entitlement'.[8]

Participatory work reduces dependencies on state or other organizations and can create the opportunity for new kinds of organizations to emerge, providing continuity, once the outsiders pull out. The Women's Bank, and all other informal enterprises worldwide, are good examples.

The question throughout, however, is who initiates these programmes and why? Who really benefits? What are some of the conditions that ensure success?

Unquestionably, one of the key conditions to effective participation is strong local organization. Building that capacity among local groups to become effective partners is both a reason for, and an outcome of, participatory work. At the same time, engaging with already established organizations may be playing into the hands of the very people whose hold on authority one is trying to disturb, in order to encourage inclusion of others who may be excluded. Political goodwill, ownership of problems not just solutions, finding a common cause and engineering common goals, building trust, ensuring good representation - not just in presence but also in voice - are all conditions to cultivate so that efforts can be sustained over the long term. Importantly, participatory work must produce tangible results progressively, as we have seen in our earlier work, so that trust and confidence can be maintained. But what do we need to know, or at least beware of, before we start?

In all these respects, we do need to know something of the type and structure of community and of existing organizations and hierarchies. How do we engage with communities that are networked, as they mostly are in cities, rather than place based? How much can you engage with people and organizations who are either transient or see themselves as transient, and whose aspirations and sense of home are, therefore, elsewhere, even if they have been in place for 20 or 30 years? Who is included and who is excluded? Is it by choice, necessity or coercion? None of this will become obvious, although it may be evident before you start, which is why starting is a good way of finding out. Flexibility, group work and intermixing, stakeholder analysis of key actors and conflict analysis are all useful tools in this respect. My preferred tools and routines are diagrammed below.

Whether in workshop format or otherwise, I asked a variety of groups - at first based on gender, age, ethnicity, and later perhaps by trade or occupation, and later still based on location in their settlement - each to consider who were the primary, secondary or external stakeholders and what each group thought would be their interests, influence (authority) and priority with respect to upgrading, housing or infrastructure improvement. And then, who might we partner with - who can help, when and how?

აუცილებლობის თუ ძალდატანების? არცერთ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი ბოლომდე ნათელი არა არის მიუხედავად იმისა, რომ თავიდან შეიძლება თავისთავად ცხადი გვეჩვენებოდეს. ამიტომაც პროცესის დაწყება შეიძლება კარგი საბაბი იყოს ამაში გასარკვევად. მოქნილობა, ჯგუფური მუშაობა და შერწყმა, ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის სასარგებლო ინსტრუმენტებია დაინტერესებულ მხარეთა, ძირითად მოქმედ პირთა და კონფლიქტების ანალიზი. მე, პირადად, უპირატესობას ვანიჭებ ქვემოთ მოცემულ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს.

სემინარის ფორმატში და სხვა საშუალებების გამოყენებით მე თხოვნით მივმართე სხვადასხვა ჯგუფებს - თავდაპირველად, სქესის, ასაკის და ეთნიკური ნიშნით, შემდეგ, მათი პროფესიისა და საქმიანობის გათვალისწინებით, და ბოლოს მათი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე - რათა თითოეულ მათგანს ემსჯელა იმაზე, თუ ვინ იყვნენ ძირითადი, მეორადი და გარეშე დაინტერესებული მხარეები და თითოეული ჯგუფის აზრით როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი ინტერესები, გავლენა (ავტორიტეტი) და პრიორიტეტი განახლების, საცხოვრებელი პირობების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ვისთან შეიძლება გვქონოდა პარტნიორული ურთიერთობები - ვის, როდის და როგორ შეიძლება დავხმარებოდით? მე შემეძლო იგივე გამეკეთებინა პოტენციური კონფლიქტის ანალიზის დროსაც. რა თავსებადობები არსებობდა ძირითადი მონაწილეების - მთავრობის, არასამთავრობო კერძო სექტორის და დონორების და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ქცევასა და მიზნებს შორის?

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი			
	ინტერესები	პროექტზე ინტერესთა პოზიტიური(+) ან ნეგატიური(-) ზეგავლენა	ინტერესთა ფარდობითი პრიორიტეტები
მთავარი დაინტერესებული მხარეები			
მეორადი დაინტერესებული მხარეები			
გარეშე დაინტერესებული მხარეები			

დაინტერესებული მხარე: პირები, ჯგუფები ან ინსტიტუციები, რომლებიც დაინტერესებული არიან პროექტით. ძირითადი დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ საბოლოო - დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს. მეორადი დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ შუამავლებს დახმარების გაწევის პროცესში.

ინტერესები: აკავშირებს თითოეულ დაინტერესებულ მხარეს პრობლემასთან, რომლის გადაჭრასაც ცდილობს პროექტი.

გავლენა: ზემოქმედება, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დაიყოლიონ ან აიძულონ სხვები მიიღონ გადაწყვეტილებები და მიმართონ გარკვეულ ქმედებებს.

მნიშვნელობა: უპირატესობა, რომელიც ენიჭება პროექტით დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას.

ნახატი 6.2 დაინტერესებული მხარის ანალიზის საფუძვლის მოდელი

წყარო: უცნობია

კონფლიქტის ანალიზი: კვადრატი

კონფლიქტების სავარაუდო სამუშაო დეფინიცია შემდეგია: ურთიერთობა ორ ან მეტ მხარეს შორის, რომლებსაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ შეუთავსებადი მიზნები.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს კონფლიქტი, იგი საშუალებას გვაძლევს აღნიშნულ დეფინიციაში ყურადღება გავამახვილოთ ორ ელემენტზე: ქცევაზე (რომელიც მთავარია ნებისმიერ ურთიერთობაში) და მიზნებზე (ის, რისი მიღწევაც გსურთ). ქვემოთ წარმოდგენილი მოდელი განსაზღვრავს სახვადასხვა სახის კონფლიქტებს ამ ორი ელემენტის საფუძველზე. სიტყვა „თავსებადი" ნიშნავს „ჰარმონიაში მყოფს"; სიტყვა „შეუთავსებადი" ნიშნავს „ურთიერთსაწინააღმდეგოს", ან „საპირისპიროს".

მიზნებისა და ქცევის თავსებადობა



ნახატი 6.3 კონფლიქტის ანალიზი
წყარო: კონფლიქტზე რეაგირება (კრ)

რა შეუთავსებლობები არსებობდა? ვინ ვისთან ითანამშრომლებდა და ვის შეეძლო პროგრესის შეფერხება? რა უნდა შეცვლილიყო ქცევაში და მიზნებში? შემდეგ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მონაწილეებს შორის პარტნიორობის შედარებითი უპირატესობები და რისკები და სავარაუდოდ სად შეიძლება არსებულიყო კონფლიქტები? როგორ იქნებოდა შესაძლებელი ამ კონფლიქტების მართვა?

მონაწილეებში გარკვევა „მონაწილეობითი” საქმიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მათ მიერ პროექტისათვის მოტანილი სარგებლობის და შექმნილი საფრთხეების ცოდნა საშუალებას გვაძლევს ხელი შევუწყოთ პარტნიორობის განვითარებას და დავამსხვრიოთ სტერეოტიპები. საერთო თვალთახედვების ჩამოყალიბება, რისკების და ორმხრივი სარგებლობის გაზიარება, ფულადი და არაფულადი წვლილის გააზრება, ხელისუფლების და პასუხისმგებლობის განაწილება, და ანგარიშვალდებულება - ყველაფერი ეს პარტნიორობის განმსაზღვრელი და განმასხვავებელი ფაქტორებია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ „მონაწილეობითი” საქმიანობის პრაქტიკული განხორციელების საქმეში.[9]

დასასრულს, საჭიროა გამოვიჩინოთ დელიკატურობა გადაწყვეტილების მიღების კულტურის მიმართ ნებისმიერ კონტექსტში - საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხშირად ფეხმოკიდებული იერარქიის ან ავტორიტეტის პატივისცემის, იმ დროისა და მცდელობების მიმართ, რომლებიც იქ ხმარდება გადაწყვეტილების მიღებას. რამდენიმე წლის წინ, ეგვიპტეში ურბანული განახლების პროექტზე მუშაობის დროს, მე შეხვედრაზე შევუთანხმდი ურბანულ პროგრამებზე პასუხისმგებელ ფიზიკური დაგეგმარების გენერალური ოფისის დირექტორს (ფდგო). შეხვედრა დანიშნული იყო 9:00 საათზე და სავარაუდოდ უნდა დასრულებულიყო 10:00 საათზე. განსახილველი საკითხების დღის წესრიგი იყო გარკვეული და ზუსტი: მოცემულ მომენტში მიმდინარე სამუშაოს მიმოხილვა, ჩვენს მიერ დაწყებული პროცესის სანქციონირება და გაგრძელებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. მას დიდი კაბინეტი ჰქონდა, რომლის ერთ ბოლოში იდგა მუხის მძიმე სამუშაო მაგიდები, სიმბოლური დროშები და სამახსოვრო საჩუქრები - მაგრამ არანაირი ქაღალდები ან სამუშაო გარემოზე მიმანიშნებელი სხვა რაიმე ატრიბუტები, ხოლო მეორე მხარეს ტყავის დივანი მასზე მსხდომი ორი ადამიანით და სათათბირო მაგიდა და მის ირგვლივ მოთათბირე კიდევ სამი პერსონა.

დავჯექი, გავაბით საუბარი, მოგვართვეს ჩაი. იგი, დროდადრო, პარალელურად მიმდინარე ორ სხვა თათბირზე შერბოდა. დისკუსია, რომლის დროს ჩვენ ერთი თემიდან მეორეზე გადავდიოდით, ზოგად ხასიათს ატარებდა - ეხებოდა საერთაშორისო დახმარების პოლიტიკას, ეგვიპტის მიერ კემპ დევიდის ხელშეკრულების დაცვას, იგი მეკითხებოდა ჩემს ერაყულ წარმოშობაზე, არაბულის არასრულყოფილ ან სრულ არცოდნაზე, ქაიროში გატარებულ ოთხ წელიწადზე როცა ბავშვობისას ზამალეკში ვცხოვრობდით. იგი გამოთქვამდა სა-

Stakeholders Analysis			
	Interests	Influence impact of interest on the Project Positive (+) or Negative (-)	Relative Priorities of Interest
Primary Stakeholders			
Secondary Stakeholders			
'External' Stakeholders			

Stakeholder: *Persons, groups or institutions with interests in a project. Primary stakeholders are those ultimately affected, either positively or negatively. Secondary stakeholders are the intermediaries in the aid delivery process.*

Interests: *Relate each stakeholder to the problems which the project is endeavouring to address.*

Influence impact: *The extent to which stakeholders are able to persuade or coerce others into making decisions, and following certain courses of action.*

Importance: *The priority to be given to satisfying stakeholders' needs and interests through the project.*

Figure 6.2 *A sample framework for doing stakeholder analysis*

Source: *unknown.*

I might do the same with analysing potential conflict. What were the compatibilities in behaviour and goals between key actors - government, non-government private sector and donors and all the factions which make up communities?

ANALYSING CONFLICT:
THE SQUARE

A possible working definition of conflict is: a relationship between two or more parties who have, or who think they have, incompatible goals.

In order to understand more deeply what conflict is, it can help to focus on two elements in this definition: behaviour (which is basic to any relationship) and goals (what you wont to achieve). The model below identifies different kinds of conflict according to these two elements. The word "compatible" means "in harmony with"; the word "incompatible" means "clashing", or "in opposition to".

COMPATIBILITY OF GOALS AND BEHAVIOUR

		GOALS	
		COMPATIBLE GOALS	INCOMPATIBLE GOALS
BEHAVIOUR	COMPATIBLE BEHAVIOUR	NO CONFLICT	LATENT CONFLICT
	INCOMPATIBLE	SURFACE CONFLICT	OPEN CONFLICT

Figure 6.3 Analysing conflict
Source: Responding to Conflict (RTC)

კუთარ აზრს ქაიროში ურბანული დაგეგმარებასთან დაკავშირებული სირთულეების, მათ შორის, ტრანსპორტის და საცხოვრებელი პირობების, არაოფიციალური მშენებლობის საფრთხეების, სასოფლო-სამეურნეო მიწების უკანონო განაწილების და გასხვისების ირგვლივ და მისი სამომავლო ხედვების შესახებ.

ოთახში მყოფი სხვა პირები გვისმენდნენ და ერეოდნენ ჩვენს საუბარში, გვთავაზობდნენ საკუთარ აზრს ან გვაწვდიდნენ ინფორმაციას. დროდადრო, დირექტორი რაიმე ფაქტის ან თვალსაზრისის დადასტურების მიზნით წამოიყვირებდა. შემდეგ, მოჰქონდათ ჩაი. ჩვენ ვიცავდით ჩემს მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს, მაგრამ არა ისე, როგორც მე მქონდა დაგეგმილი. მისი რეაქცია სამომავლო ნაბიჯებზე იყო ზოგადი და განზოგადებული, თითქოს იმეორებდა კონფუცის სუტყვებს: "ნურასოდეს დაკარგავთ საღად აზროვნების უნარს!

საკუთარი სტატუსის დამკვიდრებამ, ჩემი პატივისცემის მოპოვებამ, ჩემს შესახებ გარკვეული შთაბეჭდილების შექმნამ და ჩვენს საუბარში ჩართული კოლეგების აზრის გათვალისწინებამ კონკრეტიკაზე გაიმარჯვა. ჩვენ ორივემ კარგად ვუწყოდით, რომ ბევრი საკითხი განუხილველი დაგვრჩა, მაგრამ ჩვენს შორის კარგი სამუშაო ურთიერთობა ჩამოყალიბდა ურთიერთპატივისცემისა და ერთდროულად უნდობლობის ხარჯზე. გადაწყვეტილებები იშვა მოგვიანებით, რომელიც ნასაზრდოები იყო ჩვენს მიერ მოპოვებული ჯილდოებით: ჩემთვის კარიერით, მისთვის კი მერის თანამდებობის მოპოვებით.

„მონაწილეობასთან" დაკავშირებული ჩვენი ბოლო შეკრებისათვის ჩვენ კვლავ ჩამოვყალიბდით ჯგუფებად და ყოველი მხრიდან კოლექტიურად განვიხილეთ დღემდე პრაქტიკაში არსებული „მონაწილეობით" საქმიანობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები და შეზღუდვები. მათი დიდი ნაწილი იყო პროგნოზირებადი და მოცემული მომენტისათვის კარგად ცნობილი - და მაინც პრაქტიკაში გამოირჩეოდა სისტემური ხასიათით. „მონაწილეობა" შეიცავს საფრთხეებს პროფესიონალური თვალსაზრისით და ნაკლებად წამახალისებელია არქიტექტორებისთვის და ინჟინრებისთვის. მას დისონანსი შეაქვს სპეციალისტების სამუშაო რუტინაში. ადამიანები ხელს უშლიან შემოქმედებით საქმიანობას, არეულობა შეაქვთ სამუშაო პროცესში. ამას ყველაფერს სჭირდება გარკვეული დრო, იგი წარმოშობს მოლოდინებს, რომლებიც ვერასოდეს ვერ გამართლდება და ნაკლებად ეფექტურია. ზოგიერთებმა, კერძოდ, ჯგუფის წევრმა მთავრობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ „მონაწილობა" სახიფათოა პოლიტიკური თვალსაზ-

What were the incompatibilities? Who could work with whom and who might get in the way of progress? What would need to change in behaviour or goals? Later, what would be the comparative advantages and risks of any partnership between actors, and where were there likely to be conflicts? How might these conflicts be managed?

Knowing the actors is an important prelude to participatory work. Knowing the advantages and risks they bring to project work helps build cooperation and break down stereotypes. Finding the common ground, sharing risks and mutual benefits, understanding both monetary and non-monetary contributions, sharing authority, responsibility and being accountable - all distinguish and define partnerships and are key to the practical implementation of participatory work.[9]

Finally, one needs to be sensitive to the culture of decision making in any one context - the respect for hierarchy or authority often embedded in social practices, the time and steps it takes to reach a decision. Some years ago, while working in Egypt on urban upgrading, I had arranged a meeting with a director of the General Office of Physical Planning (GO PP) who was responsible for urban programmes. I had scheduled a meeting at 9am and expected to be out by 10 am. My schedule of issues for discussion was clear and precise: a review of progress to date, approval of the process we had set up and some guidance on how best to proceed. His office was large, with one of those heavy oak desks at one end, flags and trophies symbolically arranged - little or no paper or signs of work; on one side, a leather sofa with two men in discussion and on the other side, a meeting table with three others in dialogue.

I sat, we talked, tea was served. He would occasionally drop in on either of the other two meetings going on in parallel. Our discussion ranging from topic to topic was kept specifically unspecific - the politics of international aid, now that Egypt had secured the Camp David Agreement, his curiosity with my own background in Iraq, but with little or no Arabic, and the four years I had spent in Cairo as a child living in Zamaleck. He would offer his views on the complexity of urban planning in Cairo, from traffic to housing, the dangers of the informality of construction and the illegal subdivision and sale of agricultural land, which was continuing to sprawl, and his aspirations for the future.

Others in the room would eavesdrop or interrupt, offer an opinion or add a piece of information or insight. On occasion, the director would shout across the room for confirmation of fact or in support of an opinion. Then more tea. We did talk through my agenda but not in the structured way I had planned. His guidance on next steps was unspecific and uncommitted, as if from Confucius: 'Use your best judgement at all times', he said!

Establishing his status, winning my respect, sizing me up and getting the opinion of colleagues dropping in and out - all took precedent over specifics. We both knew that we each had other agendas that

რისით, რადგან იგი ხელს უწყობს პოლიტიკური ელექტორატის პოლარიზაციას და ექსტრემიზმს. ხშირ შემთხვევაში, იგი ემსახურება არსებული მმართველობითი სტრუქტურების გაძლიერებას; აძლიერებს უმრავლესობის ან ელიტის წამყვან როლს და ბღალავს უმცირესობების ინტერესებს. იგი სასტიკია უმცირესობების მიმართ და ძირს უთხრის მათი კუთვნილების გრძნობას. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ყველაფრისთვის საჭიროა ორგანიზაციაში მაღალი დონის კოორდინაცია და მდგრადი პოტენციალი, რაც მთავრობას არ გააჩნია.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ, ხშირ შემთხვევაში, „მონაწილობამ" შესაძლოა გამოიწვიოს ჩამოყალიბებული და ზოგჯერ ადგილობრივი ორგანიზაციული სტრუქტურების გაუქმება სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც „მათთვის" გარედან არის თავს მოხვეული. იგი ძირს უთხრის გადაწყვეტილებების მიღების ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც ჩვეულებრივ ნდობაზეა აგებული. პოლარიზაციის ნაცვლად იგი აწესრიგებს რადიკალურ ჩართულობას.[10] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი ახშობს ცოდნას და ღარიბი მოსახლეობის ხმას გარეშე პირების დღის წესრიგის ხელშეწყობის მიზნით, იმ პასუხების მისაღებად, რომლებიც ორგანიზაციებს სურთ მოისმინონ. უფლებამოსილებებს გადასცემს გარეშე პირებს.

ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მითვისებას საერთაშორისო განვითარების სფეროში წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ღარიბთა ხმების პროექტი. ტექსტური მასალის დამუშავება ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ღარიბი მოსახლეობის მიერ გაკეთებული განხადებები შეგროვდა, ითარგმნა, შეირჩა და გაიფილტრა, მოხდა მისი რედაქტირება, სისტემატიზაცია, მასზე საავტორო უფლების მოპოვება და მისთვის ISBN-ის (წიგნის საერთაშორისო სტანდარტის ნომერი, მთარგმნელის შენიშვნა) მინიჭება... ინგლისურ ენაზე დაწერილი და გამოცემული კომერციალიზირებული ხმების სამ ტომად, რომლებიც ამჟამად 60 აშშ დოლარად იყიდება აღსანიშნავია, რომ ღარიბ მოსახლეობას არა აქვს არანაირი უფლება არც ფსიქოლოგიურად და არც პირდაპირი გაგებით, იმაზე, რაც მავანთა განცხადებით სწორედ მათ ეკუთვნით.[11]

დასასრულს, გამოითქვა ცინიკური აზრი მათი მხრიდან, ვინც ცდილობდა ფულის ეკონომიას და ხელმძღვანელობის ინტერესების დაცვას. მათი აზრით, „მონაწილეობა" საჭიროებს საკმაოდ დიდ დროს და საკმაოდ ძვირია განსახორციელებლად, საბოლოოდ კი მის

we did not discuss. But we established a good working relationship based on murual respect and mistrust. Decisions would come later, tempered by the value of rewards, which might come our way: mine with careers, his to win office as mayor.

For our last session on participation, we formed back into groups and brainstormed some of the objections and constraints to participatory work, still common in practice, from all sides. Most were predictable and were by now well known - and yet remained systemic to practice . Participation is professionally threatening and brings few rewards to architects or engineers. It interrupts expert routines. People get in the way of creative work, they clutter up the process. Consensus building waters down creative work to the lowest common denominator. It all takes time, raises expectations that can never be met and lacks efficiency. Some, the government officials in the group, said that participation can be politically threatening because it polarizes political constiruencies and can make space for extremists. It often serves to reinforce existing leadership structures; gives dominance to the majoriry or elite and either way can exclude minorities. It winds up being oppressive to minorities and undermines their sense of belonging. In any case, it all demands a high level of agency coordination and the kind of long-term capacity that government does not have. Some argued that participation could often override established and sometimes indigenous organizational structures in the interest of equity, the kind decided by 'them' from outside. It undermines traditional methods of making decisions based usually on trust, on friendship and kinship, which outsiders will label as nepotism or corrupt. Rather than polarizing it normalizes radical engagement[10] Importantly, it co-opts knowledge and the voice of the poor in promoting outsiders' agendas, in getting answers that agencies want to hear. It empowers outsiders.

'One of the most substantial appropriations of data in international development has been the World Bank's Voices of the Poor project. Word processing at its most literal, the uttering of poor people around the world has been collected, translated, se lected and discarded, edited, collated, categorized, copyrighted and given an ISBN ... That these commodified voices can now be purchased in three volumes, written in English, for a total of $60, suggests that poor people have no psychological or literal ownership of something claimed to be theirs.'[11]

Finally, there was the cynical view, of those looking to save money and safeguard the interests of management. To them, participation takes too long and costs too much to do, and in the end its benefits were difficult to measure. And if you can't measure it, it can't be worth having. How do you quantify it all in money or other indicators, especially in the short term that the project cycle often demands? It was Oscar Wilde who said a cynic was 'someone who knows the price of everything and the value of nothing'.

Diana Warburton, in her paper for INVOLVE on

მიერ მოტანილი სარგებელის შეფასება რთულია. ხოლო თუკი ვერ შეაფასებ, მის არსებობას აზრიც არ აქვს. როგორ უნდა დავთვალოთ იგი ფულად გამოხატულებაში ან სხვა მაჩვენებლებით, განსაკუთრებით პროექტის მიერ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილ მოკლე ვადაში? როგორც ოსკარ უაილდმა თქვა, ცინიკოსია „ის, ვინც ყველაფრის ფასი იცის და არაფრის ღირებულება".

INVOLVE-ისთვის (ბრიტანული საკონსულტაციო ჯგუფი, მთარგმნელის შენიშვნა) გამოქვეყნებულ მოხსენებაში „მონაწილეობის რეალური ღირებულების~ შესახებ დაიანა უარბერტონი გვთავაზობს საზოგადოებრივი ღირებულების კონცეპციას, რომელიც ფოკუსირებულია შედეგებზე, მომსახურებაზე და ნდობაზე ჩვეულებრივი „ეფექტურობის" კრიტერიუმის ჩარჩოებს გარეთ. აქ აქცენტი კეთდება არა იმდენად იმაზე, თუ „რამდენს" ხარჯავ, არამედ უფრო მეტად იმაზე, თუ „რამდენად კარგად" იხარჯება საზოგადოებრივი რესურსები - და რა შედეგები იქნა მიღწეული. „როგორ უნდა დავადოთ ფასი დემოკრატიას?" სვამს იგი კითხვას. „რა თქმა უნდა, დემოკრატიას და მონაწილეობას ყოველთვის ექნებათ მორალური და ფილოსოფიური ღირებულება, რომელიც ასე ვერ შეფასდება. მიუხედავად ამისა, INVOLVE-ის კვლევებმა აჩვენა, რომ შვეიცარულ კანტონებში, სადაც დემოკრატიის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან, ეკონომიური მაჩვენებლები საშუალოდ დაახლოებით 15%-ით უფრო მაღალია. რობერტ პუტნამის ცნობილმა კვლევამ აჩვენა, თუ რა გავლენა იქონია სოციალურმა კაპიტალმა დემოკრატიულ საქმიანობაზე და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე იტალიაში, ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში ამარია სენი გვიჩვენებს ურთიერთკავშირს დემოკრატიასა და შიმშილის დაძლევას შორის... მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობის კომპლექსური სარგებლობის (ნდობა, მეზობლობა, საზოგადოებრივი ჩართულობა და საზოგადოებრივი დინამიურობა) შეფასების გზების განვითარებასთან ერთად (საზოგადოებრივი განვითარების ფონდის, ახალი ეკონომიკის ფონდის და სხვების მცდელობით) უფრო უკეთ ესმით პრაქტიკული სარგებლობა, რომელიც შეიძლება მონაწილეობამ მოუტანოს ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობებს, მოსახლეობას და ფართო საზოგადოებას - მოკლე პერიოდში და დროთა განმავლობაში.[12]

ობიექტზე მუშაობის ხელახლა დაწყებამდე მე ვთხოვე მონაწილეებს მოეფიქრებინათ ეფექტური „მონაწილეობითი" საქმიანობის მაგალითები, მათ, ვინც დაიწყო საჭიროებიდან გამომდინარე, შემდეგ კი გააქტიურა თავისი საქმიანობა საზოგადოებრივი ძალაუფლების და გავლენის მოპოვების მიზნით, რაც გულისხმობს პრაქტიკულ ჩარევას, რომელსაც აქვს გრძელვადიანი სტრატეგიული მნიშვნელობა. პუჯას მაგალითი ქ. პუნში (ინდოეთი) განასახიერებდა ყველა იმ მაჩვენებელს, რომელთა მიღწევასაც ჩვენ ვიმედოვნებდით ჩვენი პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს განმავლობაში - „მონაწილობის" ძალის შესანიშნავი მაგალითია როცა მისი განვითარება გულისყურით ხდება. აღნიშნული მაგალითი მან შეისწავლა განვითარების დაგეგმვის ერთეულში (გდე) ჩემთვის შესრულებული სამუშაოს ფარგლებში, კურსისთვის „მონაწილობითი" პროცესები: შენება განვითარებისთვის"[13], რომელიც მე მიმყავდა.

„ინდოეთის ქალაქებში სანიტარულ-ტექნიკური ნაგებობების უზრუნველყოფა და ექსპლუატაცია ხორციელდება ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული მოიცავს საპირფარეშოების ბლოკების მშენებლობას ღარიბ რაიონებში. ქალაქების მოსახლეობის ზრდის გამო მოთხოვნილება გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული, თუმცა, სანიტარულ-ტექნიკურ მომსახურებაზე გამოყოფილი რესურსები, ხშირ შემთხვევაში, აუთვისებელი რჩება.[14] საპირფარეშოების უზრუნველყოფის მიზნით ხარჯთაღრიცხვების მომზადება, მოიჯარეების დაქირავება და ტენდერების ჩატარება ხდება ტრადიციული გზით. საინჟინრო განყოფილების მიერ პროცესი ხორციელდება მოსახლეობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების გარეშე. მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები ნაკლებად არიან ანგარიშვალდებულნი იმ მოსახლეობის წინაშე სადაც ისინი მშენებლობას ახორციელებენ, ხოლო მოსახლეობას ან მათ ორგანიზაციებს არა აქვთ იმის შეგრძნება, რომ ისინი ახალი საპირფარეშო ბლოკების მფლობელები არიან.[15] ხშირ შემთხვევაში, საპირფარეშოების ბლოკის კონსტრუქცია ცუდი ხარისხისაა; წყლით მომარაგება მინიმალურია, ხოლო დრენაჟი არადამაკმაყოფილებელი. საპირფარეშოების ტექმომსახურება ხორციელდება მუნიციპალური ორგანიზაციების მიერ დაქირავებული მუშაკების მიერ, რომლებიც პასუხს არ აგებენ უშუალოდ მოსახლეობის წინაშე. აღნიშნულის შედეგად, საპირფარეშოებში, როგორც წესი, სიბინძურეა და მოსახლეობა იძულებულია ზემოთ ხსენებულ მუშაკებს დამატებით გადაუხადოს იმისათვის, რომ მათი საკუთარი მოვალეობა შეასრულონ და საპირფარეშოში სისუფთავე დაიცვან. იქიდან გამომდინარე, რომ საპირფარეშოებში აუცილებელი ტექმომსახურების და სარემონტო სამუშა-

ოები არ ტარდება, ისინი თავიანთ დანიშნულებას ვერ პასუხობენ, რის გამოც მოსახლეობა იძულებულია დეფეკაციისათვის გამოიყენონ საპირფარეშოების მიმდებარე ტერიტორიები. ასეთი სანიტარული პირობები იწვევენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს, რის შედეგადაც ჩვილების და ბავშვთა სიკვდილიანობის დონე საკმაოდ მაღალია. მოსახლეობის განსაკუთრებით დაზარალებულ ნაწილს წარმოადგენენ ქალები, რადგან „სირცხვილის გრძნობიდან გამომდინარე ისინი ხშირად იცდიან, სანამ არ დაბნელდება, რაც ასევე იწვევს ფართოდ გავრცელებულ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს".[16]

ისეთი გამოსავალი, როგორიცაა „გადაიხადე და გამოიყენეს" ტიპის საპირფარეშოები, რომლით სარგებლობის გადასახადი შეადგენს 1 რუპიას, განსაკუთრებით ძვირადღირებული ალტერნატივა აღმოჩნდა ღარიბი ოჯახების ყოველდღიური სარგებლობისათვის. 80-იან წლებში ალიანსმა (SPARC [რეგიონის რესურსების ცენტრის ხელშეწყობის საზოგადოებამ], NSDF [ქვეყნის ღარიბი რაიონების მაცხოვრებლების ფედერაციამ] და მაჰილა მილანმა) მიიღეს დახმარება უცხოელი დონორებისაგან და სახელმწიფო უზრუნველყოფის პროგრამების არაეფექტურობის სადემონსტრაციოდ დაიწყეს ღარიბი რაიონების კვლევა.[17] საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების დემონსტრირების მიზნით ალიანსმა ააშენა საპირფარეშოების ბლოკები. 2001 წელს, ალიანსთან გაფორმდა ხელშეკრულება საზოგადოებრივი საპირფარეშოების აშენებაზე და ექსპლუატაციაზე ქალაქ პუნში, სადაც მან ხელი შეუწყო წარმატებული დანაზოგებისა და კრედიტების მოძრაობას ღარიბ რაიონებში მცხოვრებ ქალებს შორის.[18]

მოსახლეობის ჩართულობამ საპირფარეშოების ბლოკების დაპროექტებაში და მშენებლობაში ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების ზრდას და მოსახლეობის პოტენციალის ამაღლებას. მაჰილა მილანის მიერ შეიქმნა შემნახველი ჯგუფები, რომლის წევრებმა შეიტანეს თავიანთი ფული შემნახველ ანგარიშებზე. შემდეგ, აღნიშნული დანაზოგები გამოყენებული იქნა „კრიზისული სესხების" სახით ინფრასტრუქტურის პროექტების, მათ შორის, საზოგადოებრივი საპირფარეშოების დაფინანსების მიზნით. ალიანსის დახმარებით საზოგადოებრივმა ჯგუფებმა ასევე ჩაატარეს კვლევები და წვრთნები რუკების შედგენაში, საკუთარი საჭიროებების უკეთ გაცნობიერების და ქალაქის ოფიციალური პირებისთვის საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენის მიზნით. ალიანსი ასევე ავითარებდა საკუთარ უნარ-ჩვევებს რუკების შედგენის, მოსახლეო-

'The True Costs of Participation', and in search of its real value, suggests the concept of 'public value' focusing on outcomes, services and trust beyond the usual 'efficiencies' criteria. The emphasis here is less on 'how much' you spent but more on 'how well' public resources are spent - and what was achieved. 'How can you put value on democracy?', she asks. 'Of course democracy and participation will always have moral and philosophical value attached to them which cannot be subject to such measurement. Yet INVOLVE's reviews found research showing that Swiss Cantons with more democratic rights than others had, on average, about 15 per cent higher levels of economic performance. Robert Putnam's famous research in Italy showed how social capital affected democratic activities and economic performance and Nobel Economics Laureate Amarrya Sen shows the correlation between democracy and eradicating famine ...

But with the development over recent years (by the Community Development Foundation, the New Economics Foundation, and others) of ways of measuring complex benefits of participation such as trust, neighbourliness, community involvement and community vibrancy, there is beginning to be a greater understanding of the practical benefits that participation can offer - to local and national governments, participants, communities and the wider society - in the short term and over time."[12]

Before we got started back on site, I had asked participants to reflect on examples of effective participatory work, ones that started with need and then scaled up in power and influence for communities, a practical intervention with long-term strategic value. Pooja's example in Pune, India, embodied all the characteristics that we hoped to achieve during our own project work - an excellent example of the power of participation when carefully cultivated. She had researched the example as a part of her work for me at the Development Planning Unit (DPU), for a course I run on Participatory Processes: Building for Development.[13]

'In cities in India, sanitation facilities are provided and maintained by local agencies affiliated with the government. This includes building toilet blocks in poor settlements. But perhaps due to the growing population in cities, the need is far greater than what is planned for, even though resources allocated for sanitation often remain under-utilized."[14] When toilets are provided, traditional ways are used in cost evaluation, hiring contractors and generating tenders. The engineering department carries out the process without consulting community members. 'The agencies responsible for construction and maintenance generally have little accountability to the communities in which they build, and there is no sense of ownership among the inhabitants or their organizations for the new toilet blocks."[15] Frequently, the quality of the toilet block structure is bad; water supply is minimal with poor drainage. Toilets are maintained by workers hired by the municipal agencies and are not accountable directly to community members.

ბის, რესურსების, პრობლემების და ა.შ. სფეროებში იმისათვის, რომ ვიზუალური საშუალებების გამოყენებით ეჩვენებინათ ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ. აღნიშნული რუკები ასევე განსაკუთრებით სასარგებლოა გარეშე ორგანიზაციებთან ერთად გეგმების შემუშავებისათვის.[19] მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მათგანი წერა-კითხვის უცოდინარი იყო ზოგიერთი ქალი გაეცნო სამშენებლო მასალებს და მეთოდებს, რათა თვალი მიედევნებინა სამშენებლო პროცესებისათვის. თავდაპირველად, ჩვენ არ ვიცოდით რა იყო ნახაზი ან ცოკოლი. არ ვიცოდით რა იყო ფუნდამენტი ან როგორ ხდებოდა კედლების ლესვა. მაგრამ, თანდათანობით, ჩვენ უფრო მეტს და მეტს ვსწავლობდით და ახლა საპირფარეშოების აშენება დახუჭული თვალებით შეგვიძლია.[20]

რაც უფრო მეტი ქალთა ჯგუფი ეცნობოდა მშენებლობის მართვისა და ხელმძღვანელობის საკითხებს, მით უფრო მეტ თავდაჯერებულობას ავლენდნენ ისინი მთავრობის ოფიციალურ პირებთან საკვირაო თათბირებზე ურთიერთობის და მოლაპარაკებების პროცესში.[21] ისეთი ახალი უნარ-ჩვევების შეძენა, როგორიცაა ცემენტის მოზელა და სხვა სამშენებლო საქმიანობა ადამიანებს აძლევს საშუალებას გახდნენ უკეთესი ხელმძღვანელები და ასევე გაზარდონ საკუთარი შანსები უკეთესი სამუშაო ადგილების პოვნასთან დაკავშირებით. საზოგადოების წევრებისთვის მართვის და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების მიცემა მათ მართვის და მეწარმეობის მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს უვითარებს. საზოგადოების წევრები სწავლობენ როგორ წარმართონ მოლაპარაკებები ადგილობრივ ხელისუფლებასთან პოზიტიურ საზოგადოებრივ პროექტებში და არა ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა გამოსახლებები.[22] ამასთან ერთად, „ის ადამიანები, რომლებიც აშენებენ მათ (საზოგადოებრივ საპირფარეშოებს) საკუთარ გამოცდილებას იყენებენ სხვა რაიონებში, ქალაქებში და თავად ხდებიან ინსტრუქტორები. ამგვარად, იდეების ევოლუცია და დახვეწა ხდება რეალურ პრაქტიკაში, სხვადასხვა სიტუაციებში“.[23] ღარიბ რაიონებში მიმდინარე სწავლისა და სწავლების აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, საინფორმაციო ბაზის განვითარებას და ხელს უწყობს უფრო ფართო საზოგადოების ჩართულობას მათ საცხოვრებელ ტერიტორიებზე განხორციელებულ საზოგადოებრივი განვითარების პროექტებში.

საზოგადოების ჩართულობის საფუძველზე, ალიანსის მიერ აშენებული თითოეული საპირფარეშო ბლოკი ერთმანეთისგან განსხვავ-

Consequently toilets are usually left dirty and community members have to pay an additional price for the workers to perform their duty and clean them. Important maintenance and repair work is ignored and toilets become unusable leading to people using open spaces close to the toilets for defecation. Such unsanitary conditions cause serious health problems leading to high infant and child mortality rates. Women are especially vulnerable because in order 'to protect their modesty, they often wait until nightfall to defecate in the open - but this need to wait until dark also causes widespread gastric disorders'.[16]

'Solutions such as "pay and use" toilets charging 1 rupee per use, proved to be an extremely expensive alternate for poor families to use every day. In the 1980s, the Alliance (SPARC [Society for the Promotion of Area Resource Centre], NSDF [National Slum Dwellers Federation] and Mahila Milan) received aid from international donors and proceeded to do community-managed slum surveys to demonstrate the need and inadequacy of public provision'.[17] It built toilet blocks to demonstrate the capacity of community-based organizations. In 2001, the Alliance won a contract for building and maintaining community toilets in the city of Pune, where it had been 'supporting a vibrant saving and credit movement among women slum dwellers'.[18]

Involving the community in the design and building of the toilet block helped empower locals and build community capacity. The Mahila Milan initiated savings groups, and members pooled their money into savings accounts. These savings were then available to be used in forms of 'crisis loans' and help finance infrastructure projects like the community toilets. With the help of the Alliance, community groups also did surveys and mapping exercises to understand their needs and present themselves comprehensively to city officials. 'The Alliance also builds their skills in mapping services, settlements, resources, problems, etc., so that they get a visual representation of how their present physical situation relates to them. These maps are also particularly useful in developing plans for improvements with external agencies.'[19] Although many were illiterate, some women learned about building materials and techniques in order to be able to oversee the construction process. 'In the beginning, we did not know what a drawing or a plinth was. We did not understand what a foundation was or how to do the plastering. But as we went along, we learnt more and more and now we can build toilets with our eyes closed.'[20]

'As more women's groups understood how to manage and oversee construction, they reported more confidence in interacting and negotiating with government officials during weekly meetings.'[21] 'Learning new skills such as mixing cement and other construction work will allow individuals to be better supervisors as well as increase their chances of getting better jobs. By allowing community members to supervise and make decisions in the project, important characteristics of leadership and entrepre-

დება მოსახლეობის საჭიროებებისა და სპეციფიკიდან გამომდინარე. ზოგადი კეთილმოწყობის სამუშაოები მოიცავს ვენტილაციის სისტემის გაუმჯობესებას, უფრო მაღალი ხარისხის შენობებს ცალ-ცალკე შესასვლელებით კაცებისა და ქალებისათვის და ასევე ბავშვების და ინვალიდების საჭიროებების გათვალისწინებას. ზოგიერთ საპირფარეშო ბლოკში არსებობს საზოგადოებრივი ოთახი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობისათვის შეიკრიბონ. საზოგადოებრივ საპირფარეშოებში ასევე არსებობს საპირფარეშოს მომვლელის საცხოვრებელი ოთახი, რომელიც უზრუნველყოფს მას საარსებო წყაროთი და საცხოვრებელი ფართით, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს იცხოვროს უფრო დაბალი ანაზღაურების ხარჯზე. საბოლოო ჯამში, საპირფარეშო ბლოკების ფასი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწესებულ ფასზე 5 %-ით დაბალი იყო. საზოგადოებრივი საპირფარეშოებით სარგებლობისთვის დაწესდა თვიური გადასახადი ერთ ოჯახზე 20 რუპიის ოდენობით, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ოჯახების მიერ საპირფარეშოებით სარგებლობის ხარჯები.[24]

ალიანსის დახმარებით მოსახლეობის წარმომადგენლებმა შეძლეს გამხდარიყვნენ უფრო მეტი, ვიდრე მომსახურების უბრალო „მიმღებები", ხოლო მათი ჩართულობის ინტენსიურობა პასუხობდა ოთხივე დონეს. საწყის ეტაპზე, მოსახლეობის წარმომადგენლებმა დააპროექტეს საპირფარეშოები, ხოლო *ალიანსმა* ააშენა 114 საპირფარეშო ბლოკი. მუნიციპალურმა ორგანოებმა შეადგინეს მშენებლობის, ელექტროგაყვანილობის და წყლის მომარაგების სისტემების კაპიტალური ხარჯთაღრიცხვა. *ალიანსმა* და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დააპროექტეს, ააშენეს და ექსპლუატაციას უწევდნენ საპირფარეშო ბლოკებს.[25] საზოგადოების ჩართულობამ ასევე ხელი შეუწყო კარგი მართვის მაჩვენებლების, მათ შორის, გამჭირვალობის და პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას. ჩატარდა საკვირაო შეხვედრები, სადაც იხილებოდა სამუშაოების მსვლელობა და მასთან დაკავშირებულ საკითხები, ეწყობოდა შეხვედრები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მთავრობის ოფიციალურ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებზე მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები პირები, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს ხარჯებთან და ლოკაციებთან დაკავშირებით. აღნიშნულის დემონსტრირება მოახდინას ქალების ჯგუფებმა, რომლებმაც გამართეს მოლაპარაკებები კომერციულ სტრუქ-

neurship are developed. Community members learn to handle negotiations with local authorities in a positive community-building project instead of over issues such as evictions.'[22] Additionally, 'The people who build them [community toilets] take their experiences to other settlements, other cities, and become trainers themselves. In this way, the evolution and refinement of ideas occur in practice, in different situations.'[23] This process of learning and teaching within slum communities facilitates knowledge, creates a wider information base and enables more communities to self-engage in community development projects affecting them.

'With community input, each toilet block built by the Alliance is different depending on community requirements and specifications. However, common improvements include more ventilation, better quality buildings with different entrances for men and women and also take into account safety handles for children and the disabled. Some toilet blocks include a community room where people can convene and socialise. Community toilets also included a room for the caretaker to live, ensuring his livelihood and housing, thereby allowing community members to negotiate lower wages. Ultimately, the cost of the toilet blocks was 5 per cent lower than projected by the local authorities. A monthly pass for 20 Rupees per family using the community toilets was introduced significantly reducing budget costs for toilet usage in households.'[24]

With the help of the Alliance, community members were able to be more than mere 'recipients' of services and their intensity of participation met all four levels. In the initial phase, community members designed the toilets and the Alliance built 114 toilet blocks. The municipal authority provided the 'capital cost of construction', electricity and water supply. The Alliance and community organizations 'designed, built and maintained the toilet blocks',[25] As community involvement increased good governance characteristics like transparency and accountability increased as well. Weekly meetings were held to discuss progress and issues, maintaining communication with all stakeholders, the government officials, NGOs and community members. During these meetings, community members were central decision makers and able to decide on costs and location. This was demonstrated by local women's groups who negotiated with traders to reduce costs for raw materials being used in construction. Also, with the support of the Alliance, the now 'experienced' community members were able to share their knowledge and experience working as partners with local authorities, with members of other slum settlements.[26] 'The Alliance was awarded more contracts by the city government and was also invited to Mumbai by the Municipal Corporation to initiate a bigger programme in partnership with the World Bank to build 340 toilet blocks.'[27]

ტურებთან მშენებლობაში გამოყენებულ ნედლეულის ფასების შემცირებასთან დაკავშირებით. ალიანსმა, უკვე „გამოცდილმა" მოსახლეობის წარმომადგენლებმა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება პარტნიორების რანგში გაუზიარეს ადგილობრივ ხელისუფლებას, სხვა ღარიბი რაიონების მაცხოვრებლებს.[26]

2011 წელს „ტფილისის ჰამქრმა" სარჩელი შეიტანა სასამართლოში, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, "იმელის" შენობისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის უკანონოდ მოხსნის თაობაზე.

2011 წელს "თბილისის ჰამქრის" მეცადინეობით უზნაძის ქ. N54-ის სადარბაზოს ავთენტური კარი თავის ადგილს დაუბრუნდა.

რადოსვეტა კიროვა
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია,
ასპირანტი

უძველესი მემკვიდრეობა პანელურ კორპუსებს შორის. ვილა რუსტიკა, ჰაჯი დიმიტარის უბანი, სოფია

ანოტაცია

ძველი ვილა რუსტიკას (II-IV სს. ახ. წ.) ნაშთები - 6 სასოფლო-სამეურნეო ნაგებობის მომცველი კომპლექსი, საცხოვრებელი და მავზოლეუმი - 1966 წელს აღმოაჩინეს, სოფიის ჰაჯი დიმიტარის უბანში პანელური კორპუსების მშენებლობისას. ნაშთების გათვალისწინებით, შეიცვალა გენერალური ურბანული გეგმა - მავზოლეუმის ყველაზე ფასეული საძირკველი კორპუსებს შორის იდგა, ეზოში, ხოლო დანარჩენი სიძველენი - საცხოვრებელი, ფერმის ნაგებობანი და ეზო ამჟამად ახალი კორპუსების საძირკვლებს ქვეშაა მოქცეული.

ორმოც წელზე მეტი ხნის შემდეგ, თითქმის აღარავის ახსოვს ვილა რუსტიკას ძველი ნაშთები, ამ ტიპის უდიდესი ვილისა სერდიკას (სოფია) მიდამოებში. ისინი მიწის, ფერფლისა და ნაგვის ფენებითაა დაფარული, რადგან ახლო-მახლო მოსახლეობა კომპოტებსა და წვენებს ხარშავდა ძველი წყობის საძირკვლებზე, ხოლო კვეთილობით შემკულ ქვებს საფარად იყენებდა.

პროექტი “ხელახალი წარმოჩენა, კონსერვაცია და სოციალიზაცია რომაული ვილა რუსტიკას ნაშთებისა სოფიას ჰაჯი დიმიტარის უბანში” 2010 წლის ივნისში დაიწყო სოფიის მუნიციპალიტეტის პროგრამის - “კულტურა” - ფინანსური მხარდაჭერით. ინიციატივას ახორციელებს სამი არქიტექტორისგან (ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების კვლევის ცენტრის დოქტორანტები) შემდგარი ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაცია “ტრანსფორმერებთან”, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის განყოფილებასთან და მერთან (ქ-ნი ევა მიტოვა) პარტნიორობით.

ნაშთების ხელახალი წარმოჩენა მხოლოდ მოხალისეთა მუშაობით განხორციელდა, რომელთაც ზედამხედველობას არქეოლოგი უწევდა. მოხალისეთა შორის იყვნენ სტუდენტები, მოსწავლეები, არქიტექტორები, მუსიკოსები, ეკონომისტები და ა.შ. ისინი ხელახლა თხრიდნენ ძველ ნაშთებს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით.

მოხალისეთა მუშაობის თანადროულად მომზადდა პროექტი, რომლის მიზანია ნაშთების სათანადო კონსერვაცია, ადექვატური განათებისა და მისასვლელის უზრუნველყოფა, სა-

Radosveta Kirova
Bulgarian Academy of Sciences, PhD Student of Architecture

ANCIENT HERITAGE AMONG THE PANEL BLOCKS.VILLA RUSTICA, HADJI DIMITAR QUARTER, SOFIA

ABSTRACT

The remains of an ancient villa rustica (II-IV century A.C.) - a complex of six agricultural buildings, a residential mansion and a mausoleum were discovered by fall back in 1966 when building the panel blocks of the Hadji Dimitar Quarter in Sofia. The general urban plan had been changed in favour of the remains - and the most valuable foundations of the mausoleum stood among the blocks - in the courtyard, while the rest of the ancient - the residential and farm buildings and farmyard now lay under the new blocks foundations.

Evidences suggest that the villa had been destroyed and looted by the Gothic invasion of III century. According to the archeologist Magdalene Stancheva, who researched the object in 1967, the area of the yard is about 5dka. The two originally built to store grains (horrea) measuring 14/9m subsequently added another. Another outbuildings impresses with its size - the long side and 50 meters. There were found 250 silver coins from the III century in clay pot. The entrance to the mausoleum is from south. The plan is symmetrical, with three series-connected spaces. At the northern end of the mausoleum there are four brick burial chambers with dimensions of 2.30 1.25 m, which may have been lined with marble. After the Gothic invasion the mausoleum was reused by the local Thracian population as a cemetery shrine.

More than 40 years after, almost nobody remembers about the ancient remains of the villa rustica, the biggest villa of the type around Serdica (Sofia). They were covered by layers soil, ash and garbage, as the citizens nearby have been boiling compotes and juices on the ancient masonry foundations and using the carved stones for a shelter.

The project for "Re-displaying, Conservation and Socialization of the remains of an ancient Roman villa rustica in Hadji Dimitar Quarter Sofia" began in June 2010 with the financial aid of by the Programme "Culture" of Sofia Municipality. The initiative was carried out a team of three architects, PhD students in the Centre for Art Studies, Bulgarian Academy of Sciences, with the partnership of NGO "Transformers" and the local Municipality Division and its mayor Mrs. Eva Mitova.

The redisplaying of the remains was carried out exclusively by volunteers work, by supervision of an archeologist. Students, pupils, architects, musicians, economists etc. were among the volunteers who dig out the ancient remains back with the help of the local citizens.

ინფორმაციო დაფების განთავსება და დასვენებისა და რეკრეაციის მიმზიდველ ადგილად ობიექტის გადაქცევა.

ფინანსური დახმარება არასაკმარისი აღმოჩნდა, ამდენად, განხორციელდა მხოლოდ გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები ზამთრისთვის, მაქსიმალურად იაფი, ეკოლოგიურად თავსებადი მასალების გამოყენებით - პალეტები და მეორადად გამოყენებული ვინილი სარეკლამო ფარებიდან.

პროექტის პოპულარიზაციის მიზნით, 2010 წლის სოფიის არქიტექტურის კვირეულის ფარგლებში, ადგილობრივი თემისთვის მოეწყო საგანგებო ღონისძიება - "კომპოტ-კოკტეილის წვეულება".

პროექტი კვლავაც გრძლედება - საპროექტო ჯგუფი ახლა დამატებითი დაფინანსების მოპოვებას ცდილობს.

http://villarustica-sofia.blogspot.com

The project was designed simultaneously with the volunteers work and aims a proper conservation of the remains, providing an adequate lighting and access, placing of information boards and making the object an attractive place for rest and recreation.

Financial aid proved to be insufficient, so only an emergency conservation work for the winter season was executed with the cheapest possible, eco-friendly materials - pallets and reused vinyl from advertisements.

A special event as a part of Sofia Architecture Week 2010- "Compote-cocktail party" for the local community was organized to popularize the project.

The project is still in progress - the team, responsible for it is now applying for additional funding.

http://villarustica-sofia.blogspot.com

ANCIENT HERITAGE AMONG THE PANEL BLOCKS. VILLA RUSTICA, H.DIMITAR QUARTER, SOFIA

VOLUNTEERS' WORK FOR RE-DISPLAYING OF THE REMAINS >>COMPOTE COCKTAIL PARTY >> EMERGENCY CONSERVATION

საინფორმაციო პლაკატი. უძველესი მემკვიდრეობა პანელურ კორპუსებს შორის. ვილა რუსტიკა, ჰაჯი დიმიტარის უბანი, სოფია. პლაკატი: კიროვა

გორან ნიკჟიჩი
ქ. სპლიტის მუნიციპალიტეტის ძველი ქალაქის სამსახურის უფროსი

სპლიტი - მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაცია

გარკვეული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ყველა ხორვატიული ძეგლი ადრიატიკის სანაპიროზე მდებარეობს, გარდა ერთი, ბუნების ძეგლისა - პლიტვიცეს ტბები - რომელიც ქვეყნის ცენტრალურ, მაღალმთიან ნაწილშია განლაგებული.

დუბროვნიკის ძველი ქალაქი, ალბათ, ყველაზე ცნობილი ხორვატიული ძეგლია. სტარი გრადის ვაკე ჰვარის კუნძულზე ტერიტორიის განვითარების კარგად შენარჩუნებულ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, რომლის არსებობაც, ბერძნული ოკუპაციიდან მოკიდებული, ორი ათას წელზე მეტს ითვლის. ტროგირის შუასაუკუნოვან ქალაქში დღემდე დაცულია მაღალმხატვრული, რომანული და აღორძინების ხანის ქანდაკების მდიდარი მემკვიდრეობა. შიბენიკის კათედრალი, ქვის უნიკალური ნაგებობა, მოხდენილი თხელი ქვის გარსით, რომელიც, იმავდროულად კამარაც არის და გადახურვაც, დამშვენებულია გუთურ-რენესანსული სტილის უმშვენიერესი სკულპტურით. ზედმიწევნით კარგად შენარჩუნებული VI საუკუნის უვფრასიუსის ბიზანტიური ბაზილიკა პორეჩში დახვეწილი მოზაიკითაა შემკული.

1979 წელს სპლიტის ისტორიული ცენტრი დიოკლეტიანეს სასახლით აღიარებულ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლად, როგორც ყველა ეპოქის კარგად შენარჩუნებული არქიტექტურის გამო, ისე იმის გათვალისწინებითაც, რომ დღემდე სპლიტი ყველა ურბანული ფუნქციის მატარებელი ცოცხალი ორგანიზმია.

305 წელს გადამდგარი იმპერატორის ვილად დაარსებული, სპლიტი შუასაუკუნოვან ქალაქად განვითარდა, შეინარჩუნა რა ყველა ეპოქის კვალი და ერთ ჰარმონიულ მთლიანობად გარდაიქმნა.

საინტერესოა, თვალი გადავდენოთ იმას, თუ როგორ შეიძლება ძეგლის არასწორმა, იდეალიზირებულმა აღქმამ მიგვიყვანოს არასწორ არქეოლოგიურ და კონსერვაციულ გადაწყვეტილებებამდე. დიოკლეტიანეს სასახლეს ხშირად იხსენიებდნენ როგორც იდეალური ნაგებობის “ტიპიურ, ქრესტომათიულ” მაგალითად - გამაგრებული საიმპერატორო ვილა, იდილიურ ლანდშაფტში განთავსებული, გვიანანტიკური არქიტექტურის მიღწევა, რომლი-

Goran Nikšic
Head of the Service for the Old City Core

SPLIT - CONSERVATION OF A WORLD HERITAGE SITE

Due to specific historic circumstances, Croatian sites entered on the UNESCO World Heritage List are all located on the Adriatic coast, apart from the natural heritage site of the Plitvice Lakes which lies in the central, mountainous area of the country.

The Old City of Dubrovnik is perhaps the best known Croatian site. The Plain of Stari Grad on the island of Hvar displays a well preserved ancient land division, dating from the period of Greek occupation more than two thousand years ago. The medieval town of Trogir has a rich heritage of highest quality sculpture from Romanesque and Renaissance periods. The Cathedral of Šibenik, a unique building constructed entirely of stone, covered with the elegant thin stone shell which is at the same time the vault and the roof, contains some of the finest sculpture in a mixed Gothic-Renaissance style. The remarkably well preserved Byzantine sixth-century basilica of Euphrasius in Porec is covered with fine mosaics.

In 1979 the historic core of Split with Diocletian's Palace was declared a World Heritage Site on account of its well preserved architecture from all periods, but also because of the fact that it is still a living organism with all urban functions.

Founded in 305 as a villa of a retired emperor, Split developed into a medieval town, keeping traces from all periods and incorporating them into one harmonic whole.

It is interesting to see how a wrong, idealized perception of the monument can lead to wrong decisions in archaeology and conservation. Diocletian's Palace has often been described as a "typical, textbook" example of an ideal building type - a fortified imperial villa set in an idyllic landscape, a Late Antique achievement from which Byzantine and medieval architecture have developed.

On account of that idealized image since the early nineteenth century until very recently a series of purifications, destructive archaeological excavations and "heavy" reconstructions have taken place, favouring the antique building, opening up views that never existed, and sometimes destroying large portions of the city's historic fabric.

The lack of valorisation as a vital part of the conservation procedure can lead to oversimplification and to false "solutions" of problems. We have recently seen contrasting approaches to conservation - from an almost romantic reconstruction to strict preservation, with no changes allowed (e.g. the 2010 re-designation of the historic core conservation area). It seems that conservation is not advancing, but undergoing cycles and often repeating old mistakes. Some mistakes can be avoided with a multi-

სგანაც განვითარდა ბიზანტიური და შუასაუკუნოვანი ხუროთმოძღვრება.

ამ იდეალიზებული იმიჯის გამო, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ვიდრე უახლოეს წარსულამდე, ჩატარდა მთელი რიგი "განწმენდითი", დამანგრეველი არქეოლოგიური გათხრები და "მძიმე" სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ანტიკური ნაგებობის უკეთ წარმოსაჩენად, გაიხსნა არასდროს არსებული ხედები და, ზოგ შემთხვევაში, განადგურდა ისტორიული ქსოვილის დიდი მონაკვეთები.

ვალორიზაციის, როგორც საკონსერვაციო პროცედურის სასიცოცხლო ნაწილის, იგნორირებამ შეიძლება მიგვიყვანოს პრობლემების გადაჭარბებულ გამარტივებასა და მცდარ "გადაწყვეტილებებამდე". ბოლო დროს შეინიშნება კონტრასტული მიდგომები კონსერვაციისადმი - თითქმის რომანტიკული რეკონსტრუქციებიდან დაწყებული, მკაცრ კონსერვაციამდე, რომელიც არ უშვებს არანაირ ცვლილებებს (მაგ. ისტორიული ბირთვის კონსერვაციის ზონის ხელახალი რეგისტრაცია 2010 წელს). ისე ჩანს, თითქოს კონსერვაცია კი არ ვითარდება, არამედ წრეზე ბრუნავს და ხშირად იმეორებს ძველ შეცდომებს. ზოგ შეცდომას შეიძლება თავი ავარიდოთ მრავალდისციპლინური მიდგომით და ღია დიალოგით.

disciplinary approach and an open dialogue.

Following recent archaeological excavations, historical research and architectural analysis, the traditional image of Diocletian's Palace has been challenged and the building reinterpreted as a very complex combination of a textile manufacture in the northern half, the imperial apartment in the southern quarter, and in between the religious buildings (the temple of Jupiter and the Emperor's Mausoleum, with the Peristyle square in the middle).

The key to such new interpretation was the research of the extensive water supply and sewage systems which were found only in the northern half of the building, thus proving that the textile-making activity was planned from the beginning as a means of financing the life of the retired emperor, his family and court.

The historic core of Split has been threatened by the rapid growth of the modern city, by the pressure of commercialization on the ground level of properties, and by unfavorable changes in the social structure of the population. Badly managed and steadily growing "cultural" tourism has made an additional impact on the quality of life in the historic core.

During the last two centuries the historic centre of Split has been a laboratory for practicing theoretical conservation principles. The centre of Split (like many other historic cities) has often been understood as a container of fixed values, almost "frozen in

Historic core of Split - a UNESCO World Heritage Site since 1979. photo: City of Split
სპლიტის ისტორიული ცენტრი, UNESCO -ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი 1979 წლიდან. ფოტო: სპლიტის მერია

ლინარული მიდგომითა და ღია დიალოგით.

ბოლოდროინდელი არქეოლოგიური გათხრების, ისტორიული კვლევისა და არქიტექტურის ანალიზის შედეგად, დიოკლეტიანეს სასახლის ტრადიციული აღქმა გამოწვევის წინაშე დადგა, ხოლო ნაგებობა ხელახლა იქნა ინტერპრეტირებული, როგორც ძალზე რთული კომპლექსი - ქსოვილების საწარმო ჩრდილოეთ ნახევარში, საიმპერატორო აპარტამენტები სამხრეთ ნაწილში, მათ შორის კი რელიგიური ნაგებობანი (იუპიტერის ტაძარი, იმპერატორის მავზოლეუმი, პერისტილის მოედნით შუაში).

ამ ახალ ინტერპრეტაციას საფუძვლად დაედო წყლის მომარაგებისა და კანალიზაციის განვითარებული სისტემების კვლევა, რამაც გამოავლინა მათი არსებობა მხოლოდ ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში და დაადასტურა, რომ ქსოვილის წარმოება თავიდანვე იყო განსაზღვრული, როგორც გადამდგარი იმპერატორის, მისი ოჯახისა და კარის ფინანსური უზრუნველყოფის წყარო.

სპლიტის ისტორიულ ბირთვს საფრთხე შეუქმნა თანამედროვე ქალაქის სწრაფმა ზრდამ, პირველ სართულებზე განლაგებული ქონების კომერციალიზაციის წნეხმა და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის არასახარბიელო ცვლილებებმა. ცუდად მართულმა და მუდმივად მზარდმა “კულტურულმა” ტურიზმმა დამატებითი ზეგავლენა მოახდინა ცხოვრების დონეზე ისტორიულ ბირთვში.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სპლიტის ისტორიული ცენტრი იქცა კონსერვაციის თეორიული პრინციპების საცდელ ლაბორატორიად. სპლიტის ცენტრი (მრავალი სხვა ისტორიული ქალაქის მსგავსად) ძალზე ხშირად გაიაზრებოდა, როგორც ურყევ ღირებულებათა საცავი, თითქმის “დროში გაყინული”. ღირებულებებზე ორიენტირებული კონსერვაცია აღიარებს, რომ ღირებულებანი - და, შესაბამისად, კულტურული მნიშვნელოვანების მქონე იდეები - არაა უცვლელი, არამედ დროთა განმავლობაში ცვალებადობა-განვითარებას განიცდის. კულტურა პროცესია და არა ფიქსირებული მნიშვნელობის მქონე ნივთების ნაკრები.

დღეს ჩვენ შეგვიძლია გადავხედოთ ჩვენს მიდგომას კონსერვაციისადმი და შეცვლილი პერსპექტივით თავიდან დავიწყოთ.

ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობების რესტავრაცია, როგორიცაა კათედრალი (დიოკლეტიანეს მავზოლეუმი), ბაპტისტერიუმი (ბუპიტერის ტაძარი) და ოქროს კარიბჭე, გამოიყენება რესტავრაციის კარგ მაგალითად, რათა წარმოაჩინონ ის საბაზისო პრინციპები, რომელთაც უნდა მივსდიოთ ყოველდღიურ პრაქtime". A responsible values-centred conservation should acknowledge that ideas of cultural significance are not fixed, but evolve over time. Culture is a process, not a set of things with fixed meaning.

Today, we are in a position to reconsider our approach to conservation, and make a fresh start with a changed perspective.

Restoration of key buildings such as the Cathedral (Diocletian's mausoleum), the Baptistery (the Temple of Jupiter) and the Golden Gate has being used as good practice examples in order to display the basic principles which should be followed in everyday practice. Most important of these principles are conservation rather than restoration, emphasizing the maintenance of properties and reconstruction of urban infrastructure. The use of traditional materials and techniques is combined with the most sophisticated modern technology, such as the use of lasers for cleaning of stone and for 3D scanning, or the non-destructive investigation techniques such as the geo-radar.

Back in 1979, the historic core was inscribed on the UNESCO list of World Heritage sites according to the usual practice of the time - without well defined borders, without a buffer zone, and without a Management Plan. Thirty years later, the making of a comprehensive Management Plan was not only an urgent need, but also an obligation according to the new UNESCO standards.

A management plan for a cultural heritage site is the most holistic and comprehensive document, which provides the vision, direction, tools and suggested actions for the long term, sustainable protection of the site and its cultural values. It is a cultural value driven plan. At the same time, it should take into consideration other values, as expressed by different stakeholders.

A management plan should cover all the existing tools which make the development and protection of the site feasible, and make sure that there are linkages which make these tools useful (for example - legal tools alone, without enforcement, do not function; conservation plans without skilled professionals are just papers; different projects, including plans for infrastructure, without proper coordination mechanism among the different responsible authorities, might cause damage or waste resources; no consideration for community values and needs make the plans non sustainable; etc.). A management plan is a living document, and should be easily amended, updated, extended and implemented in phases.

The objective of the Plan is to preserve the Spirit of the Place (Genius Loci) by minimizing conflicts between cultural values and stakeholders' values, with a need for development and change. It proposes a new model of management, in order to improve the planning and coordination of activities which aim at better quality of life of its inhabitants and of the economy, while securing the long-term, sustainable protection of cultural values of the place.

However, it is not a substitute for detailed plans and conservation plans, which should be prepared

ტიკაში. ამ პრინციპთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია - უფრო კონსერვაცია, ვიდრე რესტავრაცია, ძეგლის ყოველდღიურ მოვლა-პატრონობასა და ურბანული ინფრასტურქტურის რეკონსტურქციაზე ყურადღების გამახვილებით. ტრადიციული მასალისა და ტექნიკის გამოყენება უნდა ერწყმოდეს თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებს, როგორიცაა ლაზერის გამოყენება ქვის გასაწმენდად თუ 3D სკანირებისთვის, ან არადესტრუქციული კვლევითი ტექნოლოგიები, მაგ., გეო-რადარი.

1979 წელს, სპლიტის ისტორიული ბირთვი შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მაშინდელი ტიპიური პროცედურების გავლით - კარგად განსაზღვრული საზღვრების, ბუფერული ზონის და მენეჯმენტის გეგმის გარეშე. 30 წლის შემდეგ, ყოვლისმომცველი მენეჯმენტის გეგმის შემუშავება არა მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობა იყო, არამედ, UNESCO-ს ახალი სტანდარტების შესაბამისად, ვალდებულებასაც წარმოადგენდა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მენეჯმენტის გეგმა ჰოლისტიკური და ყოვლისმომცველი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს ხედვას, მიმართულებას, ინსტრუმენტებს და

as needed and following recommendations of the management plan and its action plan.

We are convinced that in order to make the Plan sustainable it is very important to achieve consensus and understanding of its scope and objectives. That is why the City has organized a series of round tables for different stakeholders, interested in the issues concerning the historic core. Interestingly enough, the Management Plan has become a political issue because these discussions about the plan were used as a platform to criticize the overall situation in the old city core, but also the inability of the local government to cope with the problems of running the city in general, and the lack of adequate democratic procedures in making strategic decisions.

Even before the Management Plan for the historic core of Split has been officially adopted, the City has initiated several projects in line with the Action Plan. Some of these projects have been finished, others are in progress. Following the recent removal of the signage which disfigured the facades of old buildings and spoiled the overall ambiance of the historic core, a new information and presentation system was put in place. Small and unobtrusive panels were mounted on facades with bilingual (Croatian and English) information about the meaning of street names and directions toward the main landmarks, about individual listed buildings and about the businesses located

Badly managed "cultural" tourism has made an impact on the quality of life in the historic core. photo: G. Nikšic
ცუდად მართულმა "კულტურულმა" ტურიზმმა გავლენა იქონია ქალაქის ცენტრში ცხოვრების ხარისხზე. ფოტო: გ.ნიკჟიჩი

გრძელვადიან მოქმედებათა გეგმას, ძეგლისა და მის კულტურულ ფასეულობათა სიცოცხლისუნარიან დაცვას. ესაა კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული გეგმა. ამავე დროს, იგი უნდა ითვალისწინებდეს სხვა ფასეულობებსაც, რომელიც მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისთვის.

მენეჯმენტის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა არსებულ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის განვითარებასა და დაცვას, ასევე კავშირებს, რომელიც ამ ინსტრუმენტებს ქმედითს ხდის (მაგ., საკანონმდებლო ბაზა, ქმედითუნარიანობის გარეშე არ მუშაობს; კონსერვაციის გეგმები, გამოცდილი პროფესიონალების გარეშე მხოლოოდენ ქაღალდია; სხვადასხვა პროექტებმა, ინფრასტრუქტურული გეგმების ჩათვლით, სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებათა შორის კოორდინაციის სათანადო მექანიზმის გარეშე, შეიძლება ავნოს ძეგლს ან გამოიწვიოს რესურსების უქმად ხარჯვა; ადგილობრივი თემის ღირებულებებისა და საჭიროებების იგნორირებამ შეიძლება გეგმები არაქმედითუნარიანი გახადოს და ა.შ.). მენეჯმენტის გეგმა ცოცხალი დოკუმენტია, შესაძლებელი უნდა იყოს მასში ცვლილებების ადვილად შეტანა, განახლება, განვრცობა და ფაზებად მისი განხორციელება.

მენეჯმენტის გეგმის ამოცანაა ადგილის სულის (Genius Loci) შენარჩუნება, კულტურულ ღირებულებათა და დაინტერესებულ მხარეთა ღირებულებებს შორის კონფლიქტების შემცირების გზით, განვითარებისა და ცვლილების აუცილებლობის პირობებში. იგი მართვის ახალ მოდელს გვთავაზობს, რათა გაუმჯობესდეს დაგეგმვა და იმ ქმედებათა კოორდინაცია, რომელიც მიზნად ისახავს მისი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკის განვითარებას, ამასთანავე, კულტურულ ფასეულობათა გრძელვადიანი, მდგრადი დაცვის უზრუნველყოფას. თუმცა, იგი არ ცვლის დეტალურ გეგმებს და კონსერვაციის გეგმებს, რომელიც უნდა მომზადდეს საჭიროებისამებრ და უნდა მიყვებოდეს მენეჯმენტის გეგმისა და მისი სამოქმედო გეგმის რეკომენდაციებს.

ჩვენ გვწამს, რომ მენეჯმენტის გეგმის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია, მიღწეულ იქნას მისი მიზნისა და ამოცანების სწორი გაგება და კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ ქალაქის ხელისუფლებამ მოაწყო სერია მრგვალი მაგიდებისა ისტორიული ბირთვით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეთათვის. ნიშანდობლივია, რომ მენეჯმენტის გეგმა პოლიტიკურ საკითხად იქცა, ვინაიდან ეს განხილვები გამოყენებულ იქნა პლატფორმად, რათა გაკრიტიკებულიყო როგ-

in small streets off the main pedestrian routes. Apart from the great improvement in the orientation and information of visitors, the new signage has changed the way in which the local inhabitants perceive old buildings which had previously often escaped their attention and had been mostly unknown.

A plan for improvement of accessibility of public spaces and most important historic buildings is currently being prepared.

A series of studies of infrastructure in the historic core have been prepared, or are being planned. The historic core of Split, being a living place for 17 centuries, is crossed by infrastructure of all kinds and age, starting with an extensive sewage system of vaulted channels from the Roman period, which is blocked by a thick layer of organic deposit, and has only partly been explored and surveyed.

Planning, implementation and maintenance of infrastructure (above or underground) can have a big impact on the built heritage. Leakage of wet infrastructure may cause stability and conservation problems, in addition to the nuisance to inhabitants and visitors. Excavating for laying sewage and water supply pipes is an intervention in the archaeological context, and can cause conflicts with archaeologists who sometimes wish to excavate large areas, before the location of new infrastructure lines.

In order to raise the public awareness, a great number of conservation projects from the past 30 years have recently been presented in a publication and a large exhibition.

Although much effort has been made during the recent years in restoration of the historic core of Split, some of the difficult issues have not yet been properly addressed. It has proven hard to influence local authorities to put the emphasis on improving living conditions and on the maintenance of urban infrastructure. Conservation activities are usually considered to be luxuries, especially when leaner times force a reassessment of priorities. Our built heritage has a reputation of being a burden to the owners and the community. Restoration is indeed a costly operation, especially after many years of neglect, with poor or nonexistant maintenance. The current situation is quite complex, without a clear vision of the future for the built heritage, and with conflicting interests - political, economic, conservationist and others.

However, recent studies demonstrate that preservation can be a powerful economic engine, by creating more jobs, increasing tax revenue, raising property values, and encouraging community reinvestment, while improving energy efficiency. Historic preservation is much more than nostalgia; it should be recognized as a powerful tool for economic development and community revitalization.

ორც საერთო ვითარება ქალაქის ისტორიულ ბირთვში, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების უუნაროობა, დაეძლია, ზოგადად, ქალაქის მიმდინარე პრობლემები და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას სათანადო დემოკრატიული პროცედურების ნაკლებობა.

ვიდრე სპლიტის ისტორიული ბირთვის მენეჯმენტოს გეგმა ოფიციალურად დამტკიცდებოდა, ქალაქის ხელისუფლებამ მოქმედებათა გეგმის შესაბამისი რამოდენიმე პროექტი წამოიწყო. ამ პროექტების ნაწილი დასრულებულია, ნაწილი კი ჯერაც მიმდინარეობს. ბოლო დროს, ისტორიული ფასადებისა და ისტორიული ბირთვის გარემოს დამამახინჯებელი ძველი საინფორმაციო აბრების მოხსნის შემდეგ, დამუშავდა და დაინერგა ახალი საინფორმაციო და საპრეზენტაციო სისტემა.

ფასადებზე დამაგრდა მცირე ზომის, უპრეტენზიო, ორენოვანი (ხორვატიული და ინგლისური) საინფორმაციო პანელები, რომელიც ხსნის ქუჩების დასახელებას, უთითებს მიმართულებას მთავარი ღირსშესანიშნაობებისკენ, იძლევა ცნობებს ინდივიდუალურ ძეგლებსა და მთავარი საფეხმავლო ქუჩების მიმდებარე პატარა ქუჩებზე განლაგებული კომერციული დაწესებულებების შესახებ. გარდა იმისა, რომ საგრძნობლად გაუჯობესდა ვიზიტორების ინფორმირებულობა და ისტორიულ გარემოში მათი ორიენტირება, ახალმა საპრეზენტაციო სისტემამ შეცვალა ადგილობრივ მოსახლეობაში ძველი შენობების აღქმა, რომელიც ხშირად არ ხვდებოდა მათი ყურადღების არეში და, შესაბამისად, მათთვის უცნობი რჩებოდა.

ამჟამად მზადდება საზოგადოებრივი სივრცეებისა და უმნიშვნელოვანესი ისტორიული ნაგებობების ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გეგმა.

მომზადდა ან იგეგმება ისტორიული ქალაქის ბირთვის ინფრასტრუქტურის კვლევები. სპლიტის ისტორიული ბირთვი, რომელიც უკვე 17 საუკუნეა ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, დასერილია სხვადასხვა ტიპისა და ეპოქის ინფრასტურქტურით, დაწყებული რომაული პერიოდის, კამაროვანი არხების განვითარებული საკანალიზაციო სისტემით, რომელიც ჩახერგილია ორგანული ნალექის სქელი ფენით და მხოლოდ ნაწილობრივ თუა შესწავლილი.

ინფრასტურქტურის (როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა) დაცვის დაგეგმვამ, განხორციელებამ და ყოველდღიურმა მოვლა-პატრონობამ შეიძლება მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა იქონიოს არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე. დაზიანებული მილებიდან წყლის ჟონვამ, გარდა მოსახლეობისა და ვიზიტორების საყოფაცხოვრებო პრობლემებისა, შეიძლება გამოიწვიოს ნაგებობათა სტაბილურობისა და კონსერვაციის პრობლემები. მიწის სამუშაოები კანალიზაციისა და წყალმომარაგების მილების გასაყვანად იწვევს ჩარევას არქეოლოგიურ კონტექსტში, რამაც შეიძლება წარმოშვას კონფლიქტი არქეოლოგებთან, რომელთაც ზოგჯერ სურთ უფრო დიდი არეალის გამოკვლევა, იქამდე, ვიდრე ახალი ქსელი მოეწყობა.

საზოგადოების გათვიცნობიერებულობის ამაღლების მიზნით, 30 წლის მანძილზე განხორციელებული მრავალი საკონსერვაციო პროექტის პოპულარიზაცია მიღწეულ იქნა ბოლო დროს საგანგებო პუბლიკაციითა და მასშტაბური გამოფენით.

მართალია, ბოლო წლებში სპლიტის ისტორიული ბირთვის რესტავრაციისთვის სერიოზული ძალისხმევა იქნა გაწეული, მაინც რამდენიმე პრობლემური საკითხი დღემდე სათანადო ყურადღების გარეშეა დატოვებული. რთული გამოდგა, ადგილობრივი ხელისუფლების იძულება, მეტი ყურადღება დაეთმო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისთვის. მემკვიდრეობის დაცვა, როგორც წესი, ფუფუნებადაა მიჩნეული, განსაკუთრებით, როდესაც სიდუხჭირე პრიორიტეტების გადახედვას ითხოვს. ჩვენი არქიტექტურული მემკვიდრეობა მეპატრონეებისა და ადგილობრივი თემისთვის ტვირთად ითვლება. რესტავრაცია მართლაც ძვირადღირებული საქმიანობაა, განსაკუთრებით, მრავალწლიანი მიუხედავობისა და უყურადღებობის პირობებში. დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ რთულია - არ არსებობს მკაფიო ხედვა არქიტექტურული მემკვიდრეობის მომავლისა, სახეზეა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საკონსერვაციო და ა.შ. ინტერესთა კონფლიქტი.

თუმცა, უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ ძეგლთა დაცვა შეიძლება გახდეს მძლავრი ეკონომიკური იარაღი სამუშაო ადგილების შექმნის, საგადასახადო შემოსავლების ზრდის, ქონების ღირებულების ამაღლების, ადგილობრივი თემის რეინვესტირების წახალისების და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მეშვეობით. კულტურული მემკვდირეობის დაცვა ბევრად მეტია, ვიდრე ნოსტალგია; იგი უნდა ვაღიაროთ ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თემის რევიტალიზაციის მძლავრ იარაღად.

იუკა იოკილეტო
ICCROM

მოსაზრებანი საზოგადოებასა და ისტორიული გარემოს შესახებ

შესავალი

რამდენიმე საკითხი წინასწარ უნდა დავაზუსტოთ. ეს საკითხები მოიცავს მემკვიდრეობისა თუ მემკვიდრეობითობის კონცეფციას, რომელიც თავის მხრივ შეეხება წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებულ მატერიალურ თუ არა მატერიალურ რესურსებს. ეს რესურსები, მთელ თავის ფორმათა და ასპექტების მრავალფეროვნებით, იმდენად შეიძლება იქნას მიჩნეული მემკვიდრეობად, რამდენადაც მათ საზოგადოება აღიარებს ასეთად, როგორც, საკუთარ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ბუნებრივ გარემოში, სისტემატიურად განვითარებად ფასეულობათა, რწმენის, ცოდნის და ტრადიციების გამოხატულებას.

დღეისათვის მიჩნეულია, რომ მემკვიდრეობა, რომელიც მოიცავს კულტურული და ბუნებრივი რესურსების ერთობას, არ არის სტატიკურ მდგომარეობაში; არამედ, იგი ცოცხალია და სისტემატიურ ევოლუციას განიცდის. ზოგჯერ ეს ევოლუცია გადამეტებულია და მემკვიდრეობით მიღებული რესურსის მახასიათებლების ხელყოფის მიზეზი ხდება, ზოჯგერ კი იწვევს მემკვიდრეობის გაპარტახებასა და მივიწყებას. იდეალურ შემთხვევაში ევოლუციამ უნდა გაითვალისწინოს ის ხარისხობრივი თვისებები და ფასეულობანი, რომელნიც ხანგრძლივი დროის მანძილზე გარკვეულ ადგილთან ასოცირდებოდა. ნებისმიერი ცვლილება თუ ტრანსფორმაცია პროპორციული უნდა იყოს მემკვიდრეობით მიღებულ რესურსებსა და მათ გარემოში.

როგორც კულტურული ისე ბუნებრივი მემკვიდრეობის რესურსების სიცოცხლისუნარიანი მართვა ნიშნავს, საზოგადოების მიერ მემკვიდრეობად ინდეტიფიცირებული რესურსების კონსერვაციის და მართვის მისწაფებასა და გახორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის მნიშვნელოვნება არ შემოიფრგლება მხოლოდ ძეგლებითა და ღირსშესანიშნავი ადგილებით. 2005 წელს, ICOMOS გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ე.წ. ***ქსი'ანის დეკლარაცია მემკვიდრეობის, ნაგებობათა, ღირსშესანიშნაობათა და არეალთა გარემოს კონსერვაციის შესახებ.*** ეს დეკლარაცია ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ გარემოს წვლილი მემკვიდრეობის ღირებულებისა და თავისებური ხასიათის განსაზღვრაში. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სცდება ხილულ მიმართებებს.

Jukka Jokileto
ICCROM

CONSIDERATIONS ON COMMUNITY AND HISTORIC AREAS

SOME PRELIMINARY ISSUES

There are a number of precisions that need to be done to start with. These include particularly the concept of heritage or inheritance, which refers to the tangible and/or intangible resources inherited from the past. Such resources in their diverse forms and aspects can be considered heritage so far as they are recognized as such by the community as a reflection and expression of their constantly evolving values, beliefs, knowledge and traditions in their social, cultural, economic and environmental setting.

By now, it is understood that heritage, which includes the integration of cultural and natural resources, is not in a static state of being. Rather it is living and in constant evolution. Sometimes, this evolution is excessive causing damage to the inherited features of the property, sometimes it results in abandonment and neglect. Ideally, the evolution should take into account the qualities and values that have been associated with the place over time. Any change or transformation should be proportional within the inherited resource and its setting.

Culturally and environmentally sustainable management of Heritage Resources is understood as the vocation and practice of conserving and managing resources identified by society as heritage. It should be however immediately noted that the significance of heritage is not limited to a monument or a site. In fact, in 2005, the ICOMOS General Assembly adopted the so-called *Xi'an Declaration on the Conservation of the Setting of Heritage Structures, Sites and Areas*. This Declaration stresses the importance to acknowledge the contribution of the setting to the significance and distinctive character of heritage. Such relationship goes beyond the visual relation.

The 1970s were a period of great interest in the development of urban conservation strategies. The 1975 European Architectural Heritage Year can be seen as paradigm in this regard. It produced the *European Charter of the Architectural Heritage*, drafted by the Council of Europe. This charter recognizes that architectural heritage does not consist only of the most important monuments, but also of groups of less important buildings in old towns and characteristic villages in their natural and manmade settings. The charter notes that this heritage is in danger, and states that there is need for **integrated conservation** to avert the dangers. Integrated conservation is achieved by the application of sensitive restoration techniques and the correct choice of appropriate functions. This charter was further reconfirmed in the declaration of the closing conference in Amsterdam, always in 1975.

1970-იან წლებში დიდი იყო ინტერესი ურბანული კონსერვაციის სტრატეგიათა განვითარებისადმი. 1975 წლის ევროპული არქიტექტურის მემკვიდრეობის წლად გამოცხადება გარკვეული პარადიგმა იყო ამ კუთხით. ამის შედეგად მივიღეთ ევრო საბჭოს მიერ დამუშავებული ***არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპული ქარტია.*** ეს ქარტია აღიარებს, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობა არა მარტო განსაკუთრებული მნიშვნელობის ძგლებისგან შედგება, არამედ ასევე მოიცავს ძველ ქალაქებსა და სახასიათო სოფლებში არსებულ ნაკლებ მნიშვნელოვან შენობათა ჯგუფებს, მათ ბუნებრივ და ადამიანის მიერ შექმნილ გარემოში. ქარტია მიუთითებს, რომ ეს მემკვიდრეობა საფრთხეშია და აცხადებს, რომ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ***ინტეგრირებული კონსერვაცია.*** ინტეგრირებული კონსერვაცია მიიღწევა მგრძნობიარე სარესტავრაციო ტექნიკის გამოყენებითა და შესაფერისი ფუქციის სწორად შერჩევის მეშვეობით. ეს ქარტია შემდგომში ხელახლა დამტკიცდა ამსტერდამის კონფერენციის დეკლარაციით, 1975 წელს.

სწორედ ევროპული ქარტიით შთაგონებულმა, UNESCO-მაც გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით, რის შედეგადაც 1976 წელს დამუშავდა ***რეკომედაციები ისტორიული არეალების დაცვისა და თანამედროვე როლის შესახებ.*** ქარტიის ძირითადი პრინციპია, რომ ისტორიული არეალები და მათი შემოგარენი უნდა განიხილებოდეს, როგორც შეუცვლელი უნივერსალური მემკვიდრეობა; ხოლო რეკომენდაციაში ნათქვამია:

> *ყოველი ისტორიული არეალი და მისი შემოგარენი უნდა განიხილებოდეს მთელი თავისი სისრულით და დაუნაწევრებელი მთლიანობით, რომლის ბალანსი და თავისებური ხასიათი დამოკიდებულია მისი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან შერწყმაზე და რომელიც ისევე მოიცავს ადამიანის მოღვაწეობას, როგორც ნაგებობებს, სივრცით ორგანიზაციას და შემოგარენს. ყველა ღირებული ელემენტი, ადამიანის მოღვაწეობის ჩათვლით (რაგინდ მოკრძალებული იყოს იგი), მნიშვნელოვანია მთლიანობასთან მიმართებით და არ უნდა იქნას უგულვებელყოფილი.*

ისტორიული არეალები და მათი შემოგარენი დაცული უნდა იყოს ყველა ტიპის დაზიანებისგან, ანუ არასწორად წარმოებული და არამგრძნობიარე ცვლილებებისგან, რომელიც ვნებს მათ ავთენტურობას. ნებისმიერი რესტავრაცია სამეცნიერო პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს და დიდი ყურადღებაა საჭირო ჰარმონიისა და ესთეტური შეგრძნების მიმართ, რაც გამოწვეულია შენობათა ჯგუფების შემქმნელი სხვადასხვა ნაწილის შეხამებითა თუ კონტრასტულობით

Almost certainly inspired by the European charter, UNESCO also took an initiative in the same direction, resulting in the 1976 *Recommendation concerning the Safeguarding and Contemporary Role of Historic Areas*. The basic principle is that historic areas and their surroundings should be regarded as forming an irreplaceable universal heritage. And, the recommendation continues:

> *Every historic area and its surroundings should be considered in their totality as a coherent whole whose balance and specific nature depend on the fusion of the parts of which it is composed and which include human activities as much as the buildings, the spatial organization and the surroundings. All valid elements, including human activities, however modest, thus have a significance in relation to the whole which must not be disregarded.*

Historic areas and their surroundings should be actively protected against damage of all kinds, i.e. misguided or insensitive changes that will impair their authenticity. Any restoration work undertaken should be based on scientific principles, and great attention should be paid to the harmony and aesthetic feeling produced by the linking or the contrasting of the various parts which make up the groups of buildings and which give to each group its particular character.

In this regard, it is interesting also to recall a more recent document adopted by the Japanese ICOMOS in 2000, called The 'Machinami Charter': *Charter for the Conservation of Historic Towns and Settlements of Japan*. The Japanese word '*machinami'* is often translated as 'historic town'. However, this is not quite exact, because the word rather refers to the relationships of the physical and intangible elements in the historic area, and its physical and spiritual aspects, which have been created by a 'bond of spirits'. Interesting is that this bond links the buildings and the people. Another feature of the same charter is the concept '*shuuraku'*, which is used for a settlement, and contains an idea of a community's surrounding natural and cultural environment.

In 2005, the Council of Europe adopted the *Framework Convention on the Value of Cultural Heritage for Society*, so-called Faro Convention The principle of this convention is that every person has a right to engage with the cultural heritage of their choice, while respecting the rights and freedoms of others. According to the convention, **cultural heritage** is defined as:

> *a group of resources inherited from the past which people identify, independently of ownership, as a reflection and expression of their constantly evolving values, beliefs, knowledge and traditions. It includes all aspects of the environment resulting from the interaction between people and places through time.*

The convention proposes that necessary steps should be taken to recognize the role of cultural heritage in the construction of a peaceful and democratic society, in the promotion of cultural diversity, and

და რაც განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს შენობათა თითოეულ ჯგუფს.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავიხსენოთ იაპონიის ICOMOS მიერ მიღებული, შედარებით ბოლოდროინდელი, 2000 წლის დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება "მაჩინამის ქარტია": ***იაპონიის ისტორიული ქალაქებისა და დასახლებათა კონსერვაციის ქარტია*** . იაპონური სიტყვა "მაჩინამი" ხშირად ითარგმნება, როგორც ისტორიული ქალაქი, თუმცა ეს მთლად ზუსტი არ არის, ვინაიდან ეს სიტყვა უფრო ისტორიულ არეალში ფიზიკური და არამატერიალური ელემენტების ურთიერთობას ეხება, რომელიც "სულიერების ერთობით" არის შემნილი. საინტერესოა, რომ ეს ერთობა ადამიანებს აკავშირებს შენობებთან. იმავე ქარტიის კიდევ ერთი სპეციფიკაა "შუურაკუს" კონცეფცია, რომელიც დასახლებებისთვის გამოიყენება და ადგილობრივი თემის კულტურული და ბუნებრივი გარემოს იდეას შეეხება.

2005 წელს, ევროპის საბჭომ მიიღო, ***საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა შესახებ ჩარჩო კონვენცია,*** ე.წ. ფაროს კონვენცია. ამ კონვენციის ძირითადი პრინციპია ის, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჩართული იყოს მის მიერ არჩეული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, ისე, რომ პატივს სცემდემს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებას. ფაროს კონვენციის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობა გასაზღვრულია, როგორც:

> *წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული რესურსების ჯგუფი, რომელსაც ხალხი, მფლობელობისგან დამოუკიდებლად, განსაზღვრავს, როგორც საკუთარი, სისტემატიურად განვითარებადი ფასეულობების, რწმენის, წარმოდგენების, ცოდნის და ტრადიციების ანარეკლსა და გამოხატულებას. ეს მოიცავს, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ხალხისა და ადგილის ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი გარემოს ყველა ასპექტს.*

კონვენცია გვთავაზობს, რომ საჭიროა, ვაღიაროთ კულტურული მემკვიდრეობის როლი მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში, კულტურული მრავალფეროვნების განვითარებაში და დაინტერესებულ საზოგადოებებში, ინსტიტუციებსა და კერძო პირებში კომპეტენციის სინერგიის გაზრდაში. კერძოდ, კონვენცია წარმოგვიდგენს "მემკვიდრეობით დაინტერესებული საზოგადოების" ცნებას:

> *მემკვიდრეობით დაინტერესებული საზოგადოება შესდგება ადამიანებისგან, ვისთვისაც ფასეულია კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიური ასპექტები, რომელიც მათ სურთ, სამოქალაქო აქტივობის ფარგლებში, შეინარჩუნონ და გადასცენ მომავალ თაობას.*

working for greater synergy of competencies among all the public, institutional and private actors concerned. In particular, the convention introduces the notion of 'heritage community':

> ***a heritage community*** *consists of people who value specific aspects of cultural heritage which they wish, within the framework of public action, to sustain and transmit to future generations.*

The Parties to the convention undertake to recognize the public interest associated with elements of the heritage, and to enhance the value of heritage through its identification, study, interpretation, protection, conservation and presentation. The convention also makes reference to the *United Nations Declaration of Human Rights* of 1948, and the *International Covenant on Economic, Social and Cultural Rights* of 1966. While these do not specify cultural heritage, the issue human rights is introduced into the most recent UNESCO doctrine, for example the 2003 Convention defining intangible cultural heritage, as well as in the 2005 *Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions*, which states: 'Cultural diversity can be protected and promoted only if human rights and fundamental freedoms, such as freedom of expression, information and communication, as well as the ability of individuals to choose cultural expressions, are guaranteed.'

LANDSCAPE APPROACH

What should we conclude from the above considerations? We can recall that while the 1964 Venice Charter mainly focused on 'monuments and sites', a notion that was taken over to the name of ICOMOS, a broader concept was already on its way. Indeed it is noted in article 1: 'The Concept of an historic monument embraces not only the single architectural work but also the urban or rural setting in which is found the evidence of a particular civilisation, a significant development or an historic event.' It is mainly in the 1970s that we go further and look at the definitions beyond monuments and sites, recognizing the totality of the environment as a potential heritage. To this is added that the heritage place includes human activities even if modest. Indeed, this issue is further emphasized in the 2003 and 2005 conventions of UNESCO, which speak of the intangible cultural heritage and the diversity of cultural expressions. In this regard, the definition of a heritage community with the responsibility of care for its heritage is introduced in the Council of Europe Faro Convention in 2005.

From the 1970s, an increasingly holistic approach has emerged in regard of the built and natural environment, and its identification as heritage. While culture and nature had already been brought together under the 1972 World Heritage Convention of UNESCO, in reality they remained separate until the 1990s. It is only then, simultaneously on the initiative of the Council of Europe and UNESCO, that the concept of **cultural landscape** is formally recognized as

კონვენციის წევრები ვალდებულებას იღებენ, აღიარონ მემკვიდრეობის ელემენტებთან ასოცირებული საზოგადოების ინტერესი და გააუმჯობესონ მემკვიდრეობის ფასეულობა მისი გამოვლენის, კვლევის, ინტერპრეტაციის, დაცვის, კონსერვაციის და პრეზენტაციის გზით. კონვენცია ასევე ეყრდნობა ***გაერთიანებული ერების 1948 წლის დეკლარაციას ადამიანის უფლებების შესახებ*** და 1966 წლის ***საერთაშორისო კონვენციას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ***. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი სპეციფიურად არ ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, ადამიანის უფლებათა საკითხები შეტანილია UNESCO შედარებით ახალ დოქტრინაში, მაგალითად, 2003 წლის კონვენციაში, რომელიც არამატერიალურ მემკვიდრეობას ეხება, ისევე როგორც 2005 წლის ***კონვენციაში კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების შესახებ***, რომელიც აცხადებს: *კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევში, თუკი დაცულია ადამიანის უფლებები და ისეთი ფუნდამენტური თავისუფლება, როგორიცაა: გამოხატვის თავისუფლება, ინფომაციისა და კომუნიკაციის თავისუფლება და ასევე ინდივიდის შესაძლებლობა, აირჩიოს კულტურული გამოხატვის ფორმა.*

